თარგმანი გივი კიკილაშვილისა

ჯანი როდარი

ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში

ეს ჯელსომინო
რა გვყოლია და ვინ გვყოლია:
საკმარისია დააღოს პირი, —
ბურთი ბადეშია და უკვე გოლია!

თავი პირველი

ამ წიგნში მოთხრობილია ჯელსომინოს თავგადასავალი. ეს ამბავი თავიდან ბოლომდე თვითონ მიამბო და სანამ მოყოლას დაამთავრებდა, ცოტას გადარჩა, არ დავყრუვდი, თუმცა ყურები წინასწარ ბამბით მაგრად გამოვიტენე. აბა, რა უნდა მექნა, ჯელსომინოს ისეთი ძლიერი ხმა აქვს, მისი ჩურჩულიც კი მშვენივრად ესმით რეაქტიული თვითმფრინავის მგზავრებს, ზღვის დონიდან და თვით ჯელსომინოს თავს ზემოთ ათი ათასი მეტრის სიმაღლეზე რომ დაფრინავენ.

ახლა ჯელსომინო სახელგანთქმული ტენორია. კაცს ვერ ნახავთ ჩრდილო პოლუსიდან სამხრეთ პოლუსამდე, რომ მისი სახელი არ გაეგონოს. როცა ჯელსომინო მომღერალი გახდა, უფრო ტკბილხმოვანი, უფრო დიდებული სახელი დაირქვა. თქვენ ეს სახელი გაზეთებში ბევრჯერ შეგხვედრიათ და ალბათ უჩემოდაც კარგად იცით. ბავშვობაში კი მას «ჯელსომინოს» — «ჟასმინს» ეძახდნენ. მოდი, ჩვენს მოთხრობაშიც ასე მოვიხსენიოთ.

მაშ ასე, იყო ერთი პატარა ბიჭი ჯელსომინო, თუმცა ტანად სხვა ბიჭებზე პატარა იყო, მაგრამ ისეთი მჭექარე ხმა ჰქონდა, კაცს დააყრუებდა. ეს მისი დაბადებისთანავე გამოირკვა.

იმ ღამეს, როცა ჯელსომინო დაიბადა, მისი თანასოფლელები რაღაც ხმამ გამოაღვიძა. მათ ფაბრიკის საყვირი ეგონათ და ლოგინებიდან წამოცვივდნენ. რის საყვირი, რა საყვირი, ჯერ შუაღამეც არ გადასულიყო. თურმე ნუ იტყვით, სოფელი ჯელსომინოს ტირილმა გამოაღვიძა. ის ყველა სხვა ახალდაბადებული ბავშვივით ხმას ისინჯავდა. საბედნიეროდ, მალე ისწავლა ძილი და დილამდე ტკბილად ეძინა, როგორც სძინავს ყველა წესიერ ადამიანს ჟურნალისტებისა და ღამის ყარაულების გარდა. ახლა ჯელსომინო ტირილს ზუსტად დილის შვიდ საათზე იწყებდა, სწორედ იმ დროს, როცა ხალხს უნდა გაეღვიძა და სამუშაოზე წასულიყო. ფაბრიკის საყვირი აღარავის სჭირდებოდა და მალე უქმად გდებისაგან დაჟანგდა.

ჯელსომინო ექვსი წლისა გახდა თუ არა, სკოლაში მიაბარეს. სიის ამოკითხვისას მასწავლებელი ასო «ჯ»-მდე მივიდა და მისი სახელიც ამოიკითხა!

— ჯელსომინო!

— აქ ვარ! — მხიარულად უპასუხა ჯელსომინომ.

უცებ გრგვინვა გაისმა. გრიფელის დაფა ჩაიმსხვრა და აქეთ-იქით გაიფანტა.

— ვინ ესროლა დაფას ქვა? — მკაცრად იკითხა მასწავლებელმა და ხელი სახაზავისკენ წაიღო.

ყველა გაინაბა.

— კარგი, ხელახლა ამოვიკითხოთ სია, — თქვა მასწავლებელმა, — შენ ისროლე ქვა? — რიგრიგობით ეკითხებოდა ყველას.

— მე არა, არც მე, — ამბობდნენ შეშინებული მოწაფეები.

ბოლოს მასწავლებელმა ჯელსომინოს სახელამდეც მიაღწია. ჯელსომინო წამოხტა და გულწრფელად უპასუხა:

— მე არ ვყოფილვარ, ბატონო მასწ.....

მაგრამ ვერც კი მოასწრო სიტყვის დამთავრება და ფანჯრის მინებმა ზრიალი მოიღო იატაკზე.

ახლა მასწავლებელი ყურადღებით ათვალიერებდა კლასს და ნამდვილად ხედავდა, რომ არც ერთ მოწაფეს არ უსვრია შურდული, ორმოცივე მოწაფე გაუნძრევლად იჯდა.

«ფანჯარა ნამდვილად გარედან ჩაამტვრია ვიღაც აბეზარმა ბიჭმა, — გაიფიქრა მასწავლებელმა. — იმის ნაცვლად რომ სკოლაში იარონ, ქუჩა-ქუჩა დაეხეტებიან და ჩიტებს ბუდეებს უნგრევენ. ერთხელაც იქნება, დავიჭერ და ყურით მივათრევ პოლიციაში».

იმ დღეს ყველაფერი ამით დამთავრდა. მეორე დღეს მასწავლებელმა კიდევ ამოიკითხა სია და კვლავ მივიდა ჯელსომინოს სახელამდე.

— აქ ვარ! — ამაყად უპასუხა ჩვენმა ჯელსომინომ, აქაო და მოწაფე ვარო.

«ზრრრ!..» — კვლავ აზრიალდა ფანჯრები. ნახევარი საათის წინ ჩასმული მინები ქვაფენილს დაემსხვრა,

— საოცარია, — თქვა მასწავლებელმა, როგორც კი შენს სახელს ვახსენებ, მაშინვე რაღაც უნდა დაგვემართოს. აჰა, გასაგებია, შენ, ჩემო ბიჭიკო, ძალზე მაღალი ხმა გაქვს. შენი ხმისაგან ჰაერი, როგორც ციკლონის დროს, ისე ირხევა. დღეიდან მხოლოდ ჩურჩულის ნება უნდა მოგცეთ, თორემ სკოლა და მთელი ჩვენი სოფელი ნანგრევებად იქცევა. შევთანხმით?

შემკრთალი და დარცხვენილი ჯელსომინო შეეცადა, თავი გაემართლებინა:

— ბატონო მასწავლებელო, მე ხომ არ...

«ჩლახ!» — გაისმა პასუხად ახალთახალი დაფის ხმა. ეს დაფა სკოლის დარაჯს ის-ის იყო მოეტანა მაღაზიიდან.

— აჰა, ხომ გეუბნებოდი... — თქვა მასწავლებელმა.

ჯელსომინოს გული ამოუჯდა და თვალებიდან ცერის სიმსხო ცრემლები გადმოსცვივდა.

მასწავლებელს შეებრალა, თავზე ხელი გადაუსვა და ალერსიანად უთხრა:

— ყური კარგად დამიგდე, შვილო! შენი ხმა ან გაგაბედნიერებს ან მთლად დაგღუპავს. ჯერჯერობით კი ეცადე, ეგ ხმა რაც შეილება ნაკლებად გამოიყენო. ამასთან, ისიც კარგად დაიხსომე, რომ ბრძნულად მეტყველება ვერცხლია წმინდა, ხოლო დუმილი ოქროა რჩეული.

ამ დღიდან დაიწყო ჯელსომინოს წამება, იმის შიშით, რომ კიდევ არ მოეხდინა ფათერაკი, გაკვეთილზე პირში ცხვირსახოცჩატენილი იჯდა. მაგრამ ესეც არ შველოდა, მისი ხმა ისევ ძველებურად ჭექდა და თანაკლასელებს თითები სულ

ყურებში დასაცობად ჰქოდათ მომარჯვებული. მასწავლებელი ცდილობდა, რაც შეიძლება, იშვიათად მიეცა შეკითხვა. არავინ იფიქროს, თითქოს ჯელსომინო ცუდად სწავლობდა. ის ყოველთვის სამაგალითო მოწაფედ ითვლებოდა და მასწავლებელს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მისგან უსათუოდ სწორ პასუხს მიიღებდა.

სკოლაში რაც გადახდა, ჯელსომინომ თავისიანებს სადილობისას უამბო და ჭიქებს სულ მიჟმიჟელა აუტეხა. ამის შემდეგ სახლშიც აუკრძალეს ხმის ამოღება.

საწყალი ჯელსომინო თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამოისუნთქავდა ხოლმე, როცა თავს მარტო დაიგულებდა, ამიტომაც გარბოდა სოფლიდან, წავიდოდა ტყეში ან მდინარეზე და როცა დარწმუნდებოდა, მეზობლების ფანჯრებს ახლა კი ნამდვილად ვეღარაფერს დავაკლებო, მწვანიანზე წამოგორდებოდა, თავს ბალახებში ჩარგავდა და დაიწყებდა სიმღერას. ცოტა ხანში მიწა იღვიძებდა, თხუნელები, ჭიები, ჭიანჭველები და მიწის სხვა ბინადარნი თავიანთ სამყოფელს ტოვებდნენ და თავგზააბნეულნი გარბოდნენ. ეგონათ, სადაცაა მიწა იძვრისო.

ჯელსომინოს მხოლოდ ერთხელ დაავიწყდა სიფრთხილე, ეს ამბავი სტადიონზე, კვირა დღეს, ფეხბურთის გადამწყვეტი მატჩის დროს მოხდა.

ჯელსომინო მაინცდამაინც დიდი გულშემატკივარი არ იყო, მაგრამ თამაშმა თანდათან ისიც გაიტაცა. მისი სოფლის გუნდი შეტევაზე გადადიოდა. (მე ფეხბურთისა არაფერი გამეგება და არც ის ვიცი, «შეტევაზე გადასვლა» რას ნიშნავს, მაგრამ ჯელსომინომ ასეთი გამოთქმა იხმარა. თქვენ კი, მგონი, გაიგებთ — ალბათ წაუკითხავს არ ტოვებთ სპორტულ გაზეთებს).

— მიდი, მიდი! — ყვიროდნენ ჯელსომინოს თანასოფლელები,

— მიდი! — დაიყვირა ჯელსომინომაც, რაც ძალა და ღონე ჰქონდა.

სწორედ ამ დროს მარჯვენა გარემარბი ცენტრალურ თავდამსხმელს აწვდიდა ბურთს, მაგრამ რაღაც უხილავი ძალის წყალობით ბურთმა შუაგზაზე მიმართულება იცვალა, მეკარეს ფეხებში გაუძვრა და ბადეში გაეხვია!

— არის! — ყვიროდნენ ჯელსომინოს სოფლელები.

— აი, დარტყმაც ამასა ჰქვია! — იჭაჭებოდა ერთი მათგანი. — დაინახეთ, როგორ მოჭრა ბურთი? რა ზუსტად დაარტყა? სულ მილიმეტრობით ჰქონდა გამოზომილი. გენაცვალე ოქროს ფეხებში!

მაგრამ ჯელსომინო მალე მოვიდა გონს და მიხვდა, რაც ჩაიდინა.

«ეჭვიც არ მეპარება, — გაიფიქრა მან, — ბურთი ჩემმა ხმამ შეაგდო. ჩუმად უნდა ვიჯდე, თორემ რას დაემგვანება სპორტი. ახლა კი მეტი გზა არა მაქვს, შეცდომა უნდა გამოვასწორო და ბურთი ჩვენს კარშიაც შევაგდო».

თამაშის მეორე ნახევარში შეტევაზე მოწინააღმდეგე გუნდი გადავიდა. ჯელსომინომაც აღარ დააყოვნა და დაიყვირა. ბურთი ახლა მისი სოფლელების კარის ბადეში გაეხვია. ადვილად წარმოიდგენთ, რა დღეში ჩავარდებოდა მაშინ ჯელსომინო, როცა მრავალი წლის შემდეგაც კი აი ესა თქვა:

— იმ ბურთის შეგდებას საკუთარი მარჯვენის მოჭრა მერჩია, მაგრამ მეტი რა გზა მქონდა, უნდა შემეგდო.

რა თქმა უნდა, სხვა მის ადგილას, ულაპარაკოდ თავის გუნდს მიემხრობოდა, მაგრამ ჯელსომინო ალალმართალი, პატიოსანი ანკარა მთის წყაროსავით სპეტაკი ბიჭი იყო და ამას არ იზამდა. იგი კარგი ჭაბუკი დადგა. თუმცა სხვებისაგან არც სიმაღლით და არც ჯან-ღონით არ გამოირჩეოდა. პირიქით, სიმართლე რომ ვთქვათ, თავის ტოლებზე პატარა და სუსტი იყო. მოკლედ, თავის სახელს — ჟასმინს სავსებით შეეფერებოდა. კიდევ კარგი, რაიმე მძიმე სახელი არ ერქვა, თორემ მისი სიმძიმისაგან შეიძლება წელშიაც მოკაკვულიყო.

ჯელსომინოს დიდხანს არ უსწავლია, სკოლიდან გამოვიდა და მებაღეობას მოჰკიდა ხელი. ახლაც, ალბათ, მებაღე იქნებოდა და არც მე მომიხდებოდა მისი თავგადასავლის მოყოლა, ერთი უსიამოვნო ამბავი რომ არ გადახდენოდა, მოითმინეთ, ყველაფერს დაწვრილებით გაიგებთ.

აუჯანყდა საწყალს მთელი სოფელი,
ჯელსომინოს არა სწყალობს ბედი,
სოფლად აღარ ედგომება მეტი!

თავი მეორე

ერთხელ, დილაადრიანად, ჯელსომინო ხეხილის დასახედად წავიდა. მსხალი უკვე დამწიფებულიყო. მსხალმა ასე იცის, გარედან არაფერი ემჩნევა, ნამდვილად კი თავისთვის, ნელ-ნელა მწიფდება. ერთ მშვენიერ დღეს შეხვალთ ბაღში და ნახავთ, რომ უკვე მწიფს და მოკრეფა აღარ უნდა დაუგვიანო.

«აფსუს,»— გაიფიქრა ჯელსომინომ, — კიბე რომ გამომეყოლებინა, რა კარგი იქნებოდა. გავბრუნდები და წამოვიღებ, თან კავსაც გამოვაყოლებ, თორემ კენწეროებზე ვერ მივწვდები».

მაგრამ უცებ თავში გაუელვა: «მოდი, ერთი ჩემს ხმას ვცდი, ვნახოთ, რა გამოვა».

ბევრი აღარ უფიქრია, დადგა ერთი მსხლის ქვეშ, აიხედა მაღლა და ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად დაიყვირა:

— მსხლებო, აბა, დაბლა ჩამოცვივდით!

«ტყაპ-ტყუპ! ტყაპ-ტყუპ!» — სეტყვასავით წამოვიდა მსხალი.

ჯელსომინო ყოველ ხესთან მიდიოდა და შესძახოდა: «აბა, ახლა თქვენც ჩამოცვივდით!» მსხლებიც თითქოს მის ძახილს ელოდნენ, წყდებოდნენ და ბზრიალ-ტრიალით მოდიოდნენ დაბლა. მთელი ბაღი მსხლებით მოიფინა. ჯელსომინომ სიხარულისგან აღარ იცოდა, რა ექნა.

«ბიჭოს, ეს რა მოვიგონე, აქამდე ხომ კრეფისაგან წელი მომწყდებოდა, — ფიქრობდა იგი, — რა ძალა მადგა, იმდენს რომ ვწვალობდი, მაგრამ აბა რა ვიცოდი, თუ ხმა კიბის და კავის მაგივრობას გამიწევდა».

იმ დროს, როცა ჯელსომინო ამ ამბავში იყო, მისი მომიჯნე გლეხი სიმინდს თოხნიდა. მან ყური მოჰკრა მსხლების ტყაპა-ტყუპს და ღობიდან გადაიხედა, მაგრამ გაკვირვებისაგან პირი ღია დარჩა. ჯერ სიზმარში ეგონა თავი, თვალებს იფშვნეტდა, ერთი-ორჯერ ხელიც შემოიკრა სახეში, რომ გამოფხიზლებულიყო. მერე დარწმუნდა, ყველაფერი სიზმარი კი არა, ცხადიაო და შეშინებული გაიქცა ცოლისკენ.

— მოდი აქ, დედაკაცო, რა გაჩვენო, — ხმის კანკალით უთხრა ცოლს, — ჯელსომინო ნამდვილად ავი სულია.

ცოლმა უყურა ჯელსომინოს, უყურა, მერე მუხლებზე დაეცა და შეღაღადა:

— ღმერთო დიდებულო, ნამდვილად წმინდანია, სასწაულმოქმედია!

— რას ამბობ, დედაკაცო, სასწაულმოქმედი კი არა, ჯადოქარია!

— მე შენ გეუბნები, სასწაულმოქმედია-მეთქი!

აქამდე ცოლ-ქმარს ერთმანეთში სიტკბოება ჰქონდათ, ახლა კი ქმარმა თოხს წამოავლო ხელი, ცოლმა ბარი მოიმარჯვა და ორივენი მზად იყვნენ,

ერთმანეთისათვის თავები გაეხეთქათ, ოღონდ თავისი გაეტანათ. მაგრამ ქმარი გონს მოეგო და უთხრა:

— მოდი, მეზობლებს დავუძახოთ, იმათაც შეხედონ თავისი თვალით და ვნახოთ, რას იტყვიან.

ცოლს მოეწონა ქმრის აზრი. იფიქრა, ცოტა ენას მოვიქავებ ლაპარაკითო, ბარი გადააგდო და მეზობლების დასაძახებლად წავიდა.

ჯერ არც კი დაბინდებულიყო და ახალი ამბავი უკვე მთელმა სოფელმა იცოდა. ხალხი ორ ნაწილად გაიყო. ზოგი ამტკიცებდა, ჯელსომინო სასწაულმოქმედიაო, ზოგიც ჯადოქრობას სწმებდა. დავა თანდათან მწვავდებოდა, თანდათან მატულობდა, როგორც ტალღები მატულობს ზღვაზე, როცა ძლიერი ქარი ამოვარდება. ზოგან ნამდვილი ჩხუბიც გაიმართა და ერთი-ორი კაცი მსუბუქად დაზიანდა. ერთმა გლეხმა, მაგალითად, ტუჩები დაითუთქა, რადგან ჩხუბში გართულმა ჩიბუხი უკუღმა ჩაიდო პირში. პოლიციელები ბატებივით დაიბნენ და აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ხან ერთ ჯგუფთან მიდიოდნენ, ხან მეორესთან, ხან მესამესთან და ეხვეწებოდნენ, დაწყნარდითო.

ყველაზე უფრო თავგამოდებული მოჩხუბრები ჯელსომინოს ბაღისაკენ გაემართნენ. ერთნი იმიტომ მიდიოდნენ, სასწაულის სამახსოვროდ რაიმე წამოვიღოთო, მეორენი კი იმუქრებოდნენ, ჯადოქრის ბაღი უნდა ავჩეხოთო.

ამდენი ხალხის დანახვაზე ჯელსომინომ იფიქრა, ნამდვილად სადმე ხანძარი გაჩნდაო. დასტაცა ვედროს ხელი და გარეთ გამოვარდა, მაგრამ დაინახა, რომ ხალხი მის სახლთან გაჩერდა. მერე ლაპარაკიც გაარჩია:

— შეხედეთ, შეხედეთ, — ყვიროდნენ ერთნი, — სასწაულმოქმედი, სასწაულმოქმედი!

— სასწაულმოქმედი კი არა, ის არ გინდათ? ავსულია, ნამდვილი ჯადოქარია! ვერ ხედავთ, ხელში მოჯადოებული ვედრო უჭირავს!

— თუ ღმერთი გწამთ, წავიდეთ აქედან, თორემ ეგ ვედრო ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის.

— კარგი ერთი, ვედრო რას გვიზამს!

— ხალხო, რამ დაგაბრმავათ, ვერ ხედავთ, ვედრო მდუღარე კუპრითა აქვს სავსე? ერთი წვეთიც რომ მოგხვდეს, გათავდა! გინდა მთელი ქვეყნის ექიმები თავზე დაგეხვიონ, აღარაფერი გეშველება.

ჯელსომინო წმინდანია, წმინდანი!

— ჯელსომინო, ჩვენ ვხედავდით, რასაც აკეთებდი ბაღში: შენ მსხალს უბრძანე, დამწიფდიო და დამწიფდა, მერე უბრძანე, ჩამოცვივდიო და ჩამოცვივდა.

— რამ გადაგრიათ? — გაეცინა ჯელსომინოს. — ყველაფერი ჩემი ხმის ბრალია. საკმარისია, ერთი დავიყვირო და ჰაერი ისე შეირხევა, გეგონებათ, ქარიშხალი ამოვარდაო.

— მართალია, მართალი! — დაუძახა ერთმა ქალმა. — შენს ხმას სასწაულის მოხდენა შეუძლია.

— რა სასწაული, რის სასწაული, ეგ ჯადოქარია, ჯადოქარი! — აყვირდნენ სხვები.

ჯელსომინო გაბრაზდა, ვედრო მიწაზე დაახეთქა, სახლში შევარდა და კარი ურდულით გადაკეტა.

«ეჰ, მორჩა, დღეიდან აღარ მომასვენებენ, — ფიქრობდა ჯელსომინო, — ფეხს ვერ გადავდგამ ვერსად, რომ ვინმე არ ამედევნოს. საღამოობით ხომ ჩემს მეტი აღარაფერი ექნებათ სალაპარაკო. ყველა ჯადოქარს დამიძახებს. პატარა ბავშვებს ჩემი

სახელით შეაშინებენ. არა, მე აქ აღარ დამედგომება, ან რა დამრჩენია სოფელში დედ-მამა დამეხოცა, მეგობრები ომში დაიღუპნენ. ავდგები და წავალ, ქვეყანა დიდია, იქნება ჩემმა ხმამ ბედსა მწიოს. ბევრი ხომ მხოლოდ სიმღერით ცხოვრობს! ეს, ცოტა არ იყო, უცნაურია — მღერიან, ამით თვითონ სიამოვნებენ და ფულს კი იღებენ. მაგრამ, ასეა თუ ისე, ბევრი ცხოვრობს სიმღერით. იქნებ ბედმა მეც გამიღიმოს და მომღერალი გავხდე!»

ბევრი აღარ უფიქრია. თუ რამ ებადა, ბოხჩაში გამოკრა და ქუჩაში გავიდა.

მთელ სოფელს მის სახლთან მოეყარა თავი. იდგნენ და ყაყანებდნენ.

ჯელსომინოს არავისათვის შეუხედავს, ჩუმად ჩაიარა და გზას დაადგა. კარგა მანძილი რომ გაიარა, შეჩერდა და უკან მოიხედა. უნდოდა, უკანასკნელად შეეხედა თავისი სახლისთვის.

ხალხი კიდევ არ დაშლილიყო. ისე იშვერდნენ მისკენ თითებს, თითქოს მოჩვენება ყოფილიყო.

«ახი არ იქნება, მაგათ ერთი კარგი ოინი ვუყო?» — გაიფიქრა ჯელსომინომ, დაბერა ფილტვები და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დაიყვირა:

— ნახვამდის!

უნდა გენახათ, ის საცოდავები რა დღეში ჩაცვივდნენ. კაცებმა ხელის განძრევაც ვერ მოასწრეს, უცაბედად მოვარდნილმა ქარმა ქუდები გადახადა. ისინი გამწარებულები გაეკიდნენ თავიანთ ქუდებს. მათში ერთი-ორი ხნიერი ქალიც ერია, რომელთაც ქარმა პარიკები მოაძრო და ახლა მელოტი თავები მზეზე ისე უბრწყინავდათ, თითქოს საგულდაგულოდ გაუპრიალებიათო.

ჯელსომინოს ასეთი ოინი თავის დღეში არ უქნია. ახლა უყურებდა ამ ამბავს და სიცილით კვდებოდა.

— მშვიდობით, მშვიდობით! — ერთხელ კიდევ დაიძახა და გზა განაგრძო.

ქუდები და პარიკები ერთმანეთში აირივნენ, მერე წეროებივით გამწკრივდნენ, ღრუბლებს შეერივნენ და მალე თვალს მიეფარნენ. აი, რა ძალა ჰქონდა ჯელსომინოს ხმას. შემდეგ ეს ქუდები რამდენიმე კილომეტრის იქით იპოვეს. ერთი-ორი ქუდი კი თურმე საზღვარზედაც გადასულიყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ჯელსომინომაც გადალახა საზღვარი და ისეთ საკვირველ ქვეყანაში მოხვდა, რომლის მსგავსი მთელი დედამიწის ზურგზე არსად არის.

ჯელსომინო უცნაურს
გაეცნობა კატას —
კატა გოგოს კედელზე
ცარცით დაუხატავს.

თავი მესამე

ჯელსომინომ ამ უცხო ქვეყანაში სულ პირველად ვერცხლის ფულს მოჰკრა თვალი, ფული ყველას დასანახად ეგდო ტროტუარზე და მზეზე ბრწყინავდა.

«საოცარია, — გაიფიქრა ჯელსომინომ, — რატომ არავინ იღებს, მე კი ნამდვილად არ გავუშვებ ხელიდან. ცოტაოდენი ფული მქონდა, მაგრამ გუშინ საღამოს გამითავდა. დღეს პირში ლუკმა არ ჩამიდვია. თუმცა, სჯობია, ჯერ გავიგო, იქნებ ვინმეს დაუვარდა».

იქვე ახლოს რამდენიმე კაცი იდგა. ისინი ჯელსომინოს უყურებდნენ და მალულად რაღაცას ლაპარაკობდნენ. ჯელსომინომ ფული აიღო, მივიდა მათთან და აჩვენა.

— ბატონებო, ეს ფული თქვენ ხომ არ დაგკარგვიათ? —ჰკითხა ჩურჩულით, რათა თავისი ხმით არ შეეშინებინა.

— დაიკარგე აქედან, — გაბრაზდა ერთი მათგანი, — და თუ თავი არ მოგძულებია, მაგ ფულს მოერიდე!

— უკაცრავად, ბატონო, — დაიბნა ჯელსომინო, — მაპატიეთ.

მერე იქვე ახლოს მაღაზია დაინახა და იქით გაემართა, აბრაზე დიდი ასოებით ეწერა: «სასურსათო და სხვა საქონელი».

ვიტრინაში რვეულები, საღებავების ყუთები და მელნის შუშები ელაგა. არსად ჩანდა არც ძეხვი და არც მურაბის ქილები.

ჯელსომინოს პირველად გაუკვირდა, მერე კი გაიფიქრა, ალბათ ეს იქნება ის «სხვა საქონელიო» და მაღაზიაში შევიდა.

— საღამო მშვიდობისა, — თავაზიანად მიესალმა ნოქარი.

ნეტა რას ამბობს, — გაიფიქრა ჯელსომინომ, — ჯერ ხომ შუადღეც არაა. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს.

— პური არა გაქვთ? — ჰკითხა მან ჩურჩულით, თუმცა მისი ჩურჩული კარგა ხმამაღლა ლაპარაკს უდრიდა.

— ინებეთ, ბატონო! რამდენი გნებავთ? ერთი შუშა თუ ორი, წითელი თუ შავი?

— არა, შავი არ მინდა, — უპასუხა ჯელსომინომ. — რა თქვით, შუშაო? თქვენ რა, პურს შუშით ჰყიდით?

ნოქარმა გადაიხარხარა.

— მაშ რანაირად გინდათ რომ გავყიდოთ? აბა, პურის დაჭრა, ვის გაუგონია. არა, თქვენ მარტო შეხედეთ, რა მშვენიერი პური გვაქვს! — ამბობდა ნოქარი და თან თაროზე მუთითებდა, სადაც ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულიყვნენ მელნის შუშები.

რა ფერის მელანს არ ნახავდით აქ, მაგრამ საჭმლის ნასახი არსად იყო. ყველის ნამცეცები კი არა, ვაშლის ქერქი რა არის, ვაშლის ქერქიც არსად ეგდო.

«ეს კაცი სრულ ჭკუაზე არაა, — გაიფიქრა ჯელსომინომ, — სჯობია, არ შევედავო».

— საუცხოო პურია, — დაეთანხმა მაშინვე, თან წითელი მელნის შუშაზე უთითებდა და ნოქარს უყურებდა, აბა ერთი რას იტყვისო.

— მოგეწონათ, არა? — სიხარულისაგან სახე გაუბრწყინდა ნოქარს, — მართლაც, ამისთანა მწვანე პურს ვერსად იშოვით.

— მწვანეო?

— როგორ, ვერ ხედავთ? ოჰ, მაპატიეთ, ალბათ თვალს გაკლიათ.

ჯელსომინო მშვენივრად ხედავდა, რომ წინ წითელი მელნის შუშა ედგა, მაგრამ ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თავი როგორ დაეღწია ამ გადარეული ნოქრისაგან და მიზეზს ეძებდა, უცებ თავში მშვენიერი აზრი მოუვიდა.

— ბატონო ჩემო, იცით რა, — უთხრა ნოქარს, — პურისთვის ცოტა გვიან შემოვივლი, ახლა კი, თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, კაცმა კარგი მელანი სად უნდა იშოვოს?

— დიდი სიამოვნებით, ჩემო ბატონო, — უპასუხა ნოქარმა და ზედ თავაზიანი ღიმილი დააყოლა, — აგერ აქვე, ჩემი მაღაზიის პირდაპირ, მთელს ქალაქში ყველაზე საუკეთესო საკანცელარიო ნივთების მაღაზიაა.

იმ მაღაზიის ვიტრინაში ლამაზად ეწყო სხვადასხვანაირი პურები, ათასნაირი ნამცხვარი, მაკარონი ყველის კვერები და ძეხვი.

«რა თქმა უნდა, — ეჭვი აღარ ეპარებოდა ჯელსომინოს, — ეს კაცი ნამდვილად ვერ არის სრულ ჭკუაზე, მელანი პურად ეჩვენება, პური კი მელნად. სჯობია, დროზე მოვცილდე».

ის გადავიდა ქუჩის მეორე მხარეს, შევიდა მაღაზიაში და ნახევარი კილო პური მოითხოვა.

— პური? — თავაზიანად შეეკითხა ნოქარი. — შეგეშალა, ჩემო კარგო. პური, აგერ, იმ მაღაზიაში იყიდება. ჩვენ მხოლოდ საკანცელარიო ნივთებით ვვაჭრობთ. — მან ამაყად მოავლო თვალი უხვად დაწყობილ სანოვაგეს.

«ახლა კი მივხვდი, ამ ქვეყანაში ყველაფერი უკუღმა ესმით, პურზე თუ თქვი, პურიაო, კაციშვილი ვერაფერს გაიგებს», — გაიფიქრა ჯელსომინომ და ნოქარს მიუბრუნდა:

— თუ შეიძლება, ნახევარი კილო მელანი ამიწონეთ.

ნოქარმა აწონა ნახევარი კილო პური, კოხტად გაახვია ქაღალდში და მიაწოდა.

— თუ შეიძლება, ცოტა აი ესეც ამიწონეთ, — ჯელსომინომ არ იცოდა, რა სიტყვა ეხმარა ყველის მაგივრად და ხელით აჩვენა.

— საშლელი გნებავთ, ხომ? ახლავე მოგართმევთ, ბატონო — ნოქარმა მოჭრა ყველის მოზრდილი ნაჭერი, აწონა და ქაღალდში გაახვია.

ჯელსომინომ შვებით ამოისუნთქა და დახლზე ქუჩაში ნაპოვნი ვერცხლის ფული დააგდო. ნოქარი დაიხარა, კარგა ხანს ათვალიერა, მერე მაღლა შეაგდო, ყური მიუგდო, რა ხმაზე წკრიალებსო, გამადიდებელი შუშაც მოიშველია და კბილითაც გასინჯა. ბოლოს თავი გააქან-გამოაქანა, უკან დაუბრუნა და ცივად უთხრა:

— ყმაწვილო, სამწუხაროდ, თქვენი ფული ნამდვილია.

— მაშ უკან რაღად მიბრუნებთ?: — გაუკვირდა ჯელსომინოს.

— თუ ვერ გაიგეთ, კიდევ გაგიმეორებთ. ეს ფული ნამდვილია და ვერ ავიღებ. ახლა კი აქედან მიბრძანდით და ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ მეზარება პოლიციელის დაძახება. თქვენ რა, ციხე მოგენატრათ? არ იცით, რა მოელის, ვისაც ნამდვილ ფულს უპოვნიან?

— მე ხომ...

— აბა, ხმას ნუ აუწიეთ, ყრუ ხომ არა გგონივარათ! ახლავე მიბრძანდით აქედან და თუ მართლა გინდათ, რაიმე იყიდოთ, ყალბი ფული მოიტანეთ. თქვენი ნავაჭრი აი, აქ, შეფუთული მედება. ხომ გაიგეთ? ღამე მშვიდობისა!

ჯელსომინომ პირზე ხელი დაიფარა, რომ არ დაეყვირა, სანამ დახლიდან კარებამდე მივიდოდა, თავის ხმასთან ასეთი საუბარი ჰქონდა:

ხ მ ა : ერთი რომ დავიყვირო: «აა!»-მეთქი, ამ ვიტრინისაგან აღარაფერი დარჩება, გინდა, დავიყვირო?

ჯ ე ლ ს ო მი ნ ო: ნუ იზამ, გეხვეწები, ნუ იზამ! ხომ ხედავ, ისედაც რა დღეში ვარ, ეს რა ქვეყანაა?!

ხ მ ა: ვიხრჩობი, აღარ შემიძლია ჩუმად ყოფნა, შენ ხარ ჩემი პატრონი, რაიმე მოიფიქრე, თორემ მეტი აღარ შემიძლია.

ჯ ე ლ ს ო მ ი ნ ო: ცოტა მოითმინე, გავიდეთ ერთი ამ მაღაზიიდან. არ მინდა, დავაქციო ეს უბედური, არა, ამ ქვეყანაში რაღაც საშინელება ტრიალებს.

ხ მ ა: მაშინ რაც შეიძლება, ჩქარა გავიდეთ, მეტი აღარ შემიძლია, ერთი წუთიც და დავიყვირებ, ერთი წუთიც და უკვე გვიან იქნება.

ჯელსომინო, რაც კი შეეძლო, გაიქცა, ერთ პატარა ქუჩაზე შეუხვია და მიიხედ-მოიხედა, ნახა, რომ კაცის ჭაჭანება არსად იყო, პირიდან ხელი მოიცილა და გულზე მოწოლილი ბოღმის მოსაშორებლად დაიყვირა: «აა! « და მყისვე დადუმდა. მის ხმაზე ქუჩის ფარანი ჩამოიმსხვრა. ფანჯრის რაფაზე მდგარი ყვავილის ქოთანიც შექანდა და დაბლა გადმოვარდა.

ჯელოსიმინომ ამიოხრა:

— როცა ფული მექნება, აუცლებლად გამოვუგზავნი ფოსტით ქალაქის მმართველობას გატეხილი ფარნის საფასურს და ფანჯრის რაფაზეც ახალ ყვავილის ქოთანს დავდგამ. მგონი, მეტი არაერი გატეხილა.

— მეტი არაფერი გატეხილა, — უპასუხა წვრილი ხმით ვიღაცამ და ორჯერ ჩაახველა.

ჯელსომინომ მიიხედ-მოიხედა და დაინახა კატა, უფრო სწორად, რაღაც არსება, რომელიც შორიდან ძალიან წააგავდა კატას. კატა მთლად წითელი იყო, რაღაც მუქი წითელი, თითქმის შინდისფერი, თანაც მხოლოდ სამი თათი ჰქონდა. ეს კიდევ არაფერი, მეტი საკვირველება რაღა გინდათ — კატა ნამდვილი კი არა, დახატული იყო, აი, ისეთი, ბავშვები რომ ხატავენ კედლებზე.

—აი, კიდევ საოცრება, არსად გამიგია, რომ კატა ლაპარაკობდეს! — გაოცდა ჯელსიმინო.

— ჰო, მე ცოტა უცნაური კატა ვარ და ამას არცა ვმალავ. წერაც ვიცი და კითხვაც, რადგან ცარცის შვილი ვარ.

— ვისი შვილი?

— ვისი და ცარცისა. ამ კედელზე ერთმა გოგონამ დამხატა სკოლაში მოპარული წითელი ცარცის ნატეხით, მაგრამ როცა მხატავდა, თავზე პოლიციელი წამოადგა და დაფეთებული გაიქცა. ამიტომ მხოლოდ სამი თათი დამიხატა, მეოთხე ვეღარ მოასწრო, ჰოდა, დავრჩი ასე უთათო. ამიტომ სახელად ფეხცანცარა ციცუნია დავირქვი. ახლა ცოტა მახველებს, მე ხომ მთელი ცივი ზამთარი ამ გათოშილ კედელზე გავატარე.

ჯელსომინომ კედელს შეხედა. იმ ადგილას, სადაც ფეხცანცარა ციცუნია ეხატა, ისეთი კვალი დარჩენილიყო, როგორსაც კედელზე დიდი ხნის დაკიდებული სურათი ტოვებს ხოლმე.

— მერე, რანაირად გადმოხტი კედლიდან? — შეეკითხა ჯელსომინო.

— ამაში კი შენს ხმას უნდა ვუმადლოდე, — უპასუხა ფეხცანცარა ციცუნიამ, — კიდევ კარგი, ზედმეტი არ მოგივიდა, თორემ კედელს შეანგრევდი. ამას, ვინ იცის, რამდენი უსიამოვნება მოჰყვებოდა. მე კი ბედმა გამიღიმა. ო, რა კარგია დედამიწაზე სიარული, თუნდაც მხოლოდ სამი თათი გქონდეს. აი, შენ მხოლოდ ორი ფეხი გაქვს, მაგრამ მაინც გყოფნის, ხომ მართალია, არა?

— მყოფნის კი არა, ჩემთვის ესეც მეტია, — უპასუხა ჯელსომინომ, — ცალფეხა რომ ვყოფილიყავი, სახლიდნ ფეხსაც ვერ მოვიცვლიდი.

— შენ რაღაც გუნებაზე ვერა ხარ, — შენიშნა ფეხცანცარა ციცუნიამ. — რა მოგივიდა?

ჯელსომინო უკვე იწყებდა თავგადასავლის მოყოლას, მაგრამ ამ დროს ქუჩაზე ნამდვილი კატა გამოჩნდა. მას ყველა თათი თავის ადგილზე ჰქონდა. ჩაფიქრებული მიდიოდა და ჩვენს მეგობრებს ისე ჩაუარა გვერდზე, ზედაც არ შეხედა.

— მიაუ! — დაუძახა ფეხცანცარა ციცუნიამ.

კატების ენაზე «მიაუ» იგივეა, რაც ჩვენი «გამარჯობა».

კატა გაჩერდა. იგი, ცოტა არ იყოს, გაოცებული, უფრო სწორად, განრისხებული იყურებოდა.

— მე ფეხცანცარა ციცუნია მქვია, შენა? — ჰკითხა ჩვენმა ციცუნიამ.

ნამდვილი კატა ცოტა ხანს ყოყმანობდა, მერე კი უხალისოდ ჩაიღრინა:

— მე მურას მეძახიან.

— რა თქვა? — იკითხა ჯელსომინომ. მან მართლაც ვერაფერი გაიგო.

— ამბობს, მურა მქვიაო.

— რას ამბობ, მურა ხომ ძაღლის სახელია.

— დიახ, ძაღლის სახელია.

— ვეღარაფერი გამიგია, — მხრები აიჩეჩა ჯელსომინომ. — ჯერ იყო და იმ გადარეულმა ნოქარმა პურის ნაცვლად მელანი შემომაჩეჩა, ახლა კიდევ ამ უცნაურ კატას გადავეყარე, რომელსაც ძაღლის სახელი ჰქვია.

— ჩემო კარგო, მაგ სულელს თავი ძაღლი ჰგონია. აი, ნახე, — უთხრა ფეხცანცარამ და კატას ერთხელ კიდევ მისცა მდაბალი სალამი: — მიუ!

— ჰამ, ჰამ! — დაიყეფა კატამ. — რას კნავი, არა გრცხვენია? კატა არა ხარ?

— დიახ, კატა ვარ, — უპასუხა ფეხცანცარა ციცუნიამ, — თუმცა მხოლოდ სამი თათი მაქვს, ისიც წითელი ცარცით დახატული, მაგრამ მაინც კატა ვარ.

— შენც შეგარცხვინა ღმერთმა და შენი თათებიც, შე მოღალატე, შე მატყუარა! დამეკარგე აქედან! ეს რა დამემართა, ხმა რაზე გაგეცი! ოჰ, სადაცაა წვიმა წამოვა. წავალ, ქოლგას წამოვიღებ. — კატამ ფეხი ააჩქარა, თან უკან იხედებოდა და იღრინებოდა.

— რა თქვა? — იკითხა ჯელსომინომ.

— წვიმა მოვაო.

ჯელსომინომ ცას ახედა. მცხუნვარე მზე ოქროსფერ სხივებს აფრქვევდა სახლის სახურავებს. ცაზე, სადამდეც კაცს თვალი მიუწვდებოდა, ერთი ნამცეცი ღრუბელი არსად ჩანდა.

— ალბათ აქ ასეთი ავდარი იცის, — თქვა ჯელსომინომ. — როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში ყველაფერი თავდაყირა დგას.

— ძვირფასო ჯელსომინო, შენ ცრუთა ქვეყანაში მოხვდი და ნურაფერს გაიკვირვებ, ამ ქვეყნის კანონებით ყველა მოქალაქე ვალდებულია, იცრუოს და ვაი იმას, ვისაც სიმართლის თქმაზე წაასწრებენ, ტყავს გაძრობენ ჯარიმებით.

ბევრ რამეს ხედავდა ფეხცანცარა ციცუნია თავისი კედლიდან, ბევრი რამ იცოდა ცრუთა ქვეყანაზე და ჯელსომინომ მისგან ყველაფერი დაწვრილებით გაიგო.

აქ, ამ თავში, ბავშვებო,
ყური ვუგდოთ კატას,
ცრუთა ქვეყანაზე
ის გვიამბობს მართალს.

თავი მეოთხე

— ყური კარგად დამიგდე... — დაიწყო ფეხცანცარა ციცუნიამ.

მაგრამ მე ბევრ დროს არ დაგაკარგვინებთ და მოკლედ მოგიყვებით.

დიდი ხნის წინათ, მანამდე, ვიდრე ჯელსომინო ჩავიდოდა ამ უცხო ქვეყანაში, იქაურობას მეკობრეები დაეპატრონენ. მეკობრეებს მეტად სასტიკი და გაიძვერა ბელადი ჰყავდათ, მეტსახელად ჯაკომონს ეძახდნენ. ჯაკომონი მაღალი, მსხვილ-

მსხვილი, ხანში შესული კაცი იყო. სიბერის მოახლოება როცა იგრძნო, გადაწყვიტა, მეკობრეობისთვის თავი გაენებებინა და რაიმე წყნარი საქმისათვის მოეკიდა ხელი.

— წავიდა ჩემი სიჭაბუკე, — ამბობდა იგი, — მომბეზრდა ზღვაზე ხეტიალი. ახლა ის მირჩევნია, სადმე ერთი პატარა კუნძული დავიპყრო და ჩემთვის ვიცხოვრო. ჩემს ბიჭებს, რა თქმა უნდა, არ დავივიწყებ. ზოგს კარისკაცობას ვუბოძებ, ზოგს მეჯინიბედ დავნიშნავ, ზოგს ჩაფრად და ზოგსაც მალემსრბოლად. გულნაკლულს არავის დავტოვებ, ყველას მოვიმადლიერებ.

რაკი ერთი აეკვიატა ეს სურვილი, მერე ვეღარ მოიცილა და დაიწყო შესაფერი კუნძულის ძებნა. მაგრამ არც ერთი კუნძული არ მოსწონდა, ყველა ეპატარავებოდა, თუ ღმერთი გაუწყრებოდა და მოეწონებოდა, მაშინ მისი ბიჭები იწუნებდნენ. ერთს კალმახი უყვარდა და ისეთ კუნძულს მოითხოვდა, სადაც აუცილებლად იქნებოდა მდინარე, მეორეს კინო-თეატრი უნდოდა, მესამეს ბანკი, სადაც თავის ნაძარცვ-ნაალაფევს შეინახავდა.

— რაღა მაინცადამაინც კუნძული აუჩემებიათ? ნეტავი მითხრა, კუნძულის გარდა აღარაფერია ქვეყანაზე? — ამბობდნენ სხვები.

ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მეკობრეებმა ერთი დიდი სახელმწიფო დაიპყრეს, ამ სახელმწიფოს დედაქალაქში იმდენი ბანკი, კინო და თეატრი იყო, რამდენსაც მოისურვებდი. ქვეყანა სავსე იყო მდინარეებით, მდინარეები სავსე იყო კალმახით. კვირა დღით შეიძლება ამ მდინარეზე ნავებით სეირნობა. ნურაფერს გაიკვირვებთ, ჩვენს დედამიწაზე ძალიან ხშირად ხან ერთ, ხან მორე ქვეყანაში ძალაუფლებას ხელში ყაჩაღები ჩაიგდებენ ხოლმე. ქვეყნის დაპყრობის შემდეგ ჯაკომონმა დაირქვა მეფე ჯაკომონ პირველი, მან სიტყვა შეასრულა და თავისი ძმაკაცებიც არ დატოვა უყურადღებოდ. ზოგი ადმირალად დანიშნა, ზოგი მინისტრად, ზოგი კარისკაცად, ზოგი ფარეშად და ზოგიც მეხანძრეთა რაზმის უფროსად.

რასაკვირველია, ჯაკომონმა გამოსცა მკაცრი კანონი, რომელიც ყველას ავალებდა, მისთვის «დიდო მეფეო? დაეძახა, ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებდა, ენის ამოგლეჯა ემუქრებოდა. ამასაც არ დაჯერდა, მინისტრებს დაავალა, მოეხდინათ ლექსიკონის რეფორმა, რომ ჯაკომონზე სიმართლე ვერასოდეს ვერავის ეთქვა.

— საჭიროა ყველა სიტყვის შეცვლა, — გასცა ბრძანება ჯაკომონმა. — მაგალითად, სიტყვა «მეკობრე» უნდა ნიშნავდეს პატიოსან კაცსა. ჰოდა, როცა ვინმე იტყვის, ჯაკომონი მეკობრეაო, ახალ ენაზე ამას ისე გაიგებენ, რომ მე პატიოსანი კაცი ვარ.

— ვფიცავთ ყველა ვეშაპს, რაც კი გვინახავს, როცა ზღვაზე დავნავარდობდით, ბრწყინვალე აზრია! — ერთხმად დაიყვირეს აღფრთოვანებულმა მინისტრებმა. — თქვენი სიტყვები ოქროს ასოებით უნდა ჩაიწეროს.

— ხომ ყველამ კარგად გაიგეთ? — ბრძანა ჯაკომონმა. — ახლა საქმეს მოჰკიდეთ ხელი. გამოუცვალეთ სახელი ყველა საგანს, ყველა ცხოველს, ყოველ ადამიანს! პირველ რიგში, დილით ერთმანეთს «დილა მშვიდობისა» კი არ უნდა ვუსურვოთ, არამედ «ღამე მშვიდობისა». ამას არაფერი აჯობებს. ჩემი ქვეშევრდომები ყოველ დღეს სიცრუით დაიწყებენ. საღამოობით კი ძილის წინ, რასაკვირველია, ყველამ უნდა თქვას «დილა მშვიდობისა».

— დიდებულია! — შეხტა სიხარულისაგან ერთი მინისტრი. — თუ გინდა, რომ ვინმეს უთხრა: «რა მშვენივრად გამოიყურებით», ასე უნდა მიმართო: ისეთი სახე გაქვთ, კაცი ზედ არ შეგაფურთხებთ».

ლექსიკონის რეფორმის ჩატარების შემდეგ გამოიცა კანონი, რომლის ძალითაც სიცრუე სავალდებულო ხდებოდა. აი, მაშინ კი ყველაფერი აირ-დაირია.

თავდაპირველად ხალხი ვერ შეეჩვია ახალ წესებს და ხშირად ეშლებოდათ. პურის საყიდლად საფუნთუშეში შედიოდნენ. იქ კი ახლა ფანქრები და რვეულები იყიდებოდა, პურით კი საკანცელარიო საქონლის მაღაზია ვაჭრობდა, ანდა, როცა პარკში დასეირნობდნენ, ვარდებს შეხედავდნენ და ამბობდნენ:

— ერთი შეხედეთ, რა მშვენიერი ვარდებია!

ამისი თქმა და ბუჩქიდან ბორკილმომარჯვებული ჩაფრის გამოხტომა ერთი იყო.

— ყოჩაღ. აი ეს მესმის! თქვენ რა, კანონები არ იცით? რა უფლება გაქვთ, რომ სტაფილოს ვარდს ეძახით?

—მაპატიეთ, მაპატიეთ, — იმეორებდა შეშინებული დამნაშავე, მერე ფაცაფუცით გარბოდა სხვა ყვავილებისაკენ. — ო, რა მშვენიერი ჭინჭარია! — ხმის კანკალით აქებდა ყოჩივარდას,

— მოქალაქე, ეგ აღარაფერს გიშველით, თქვენ კანონი უკვე დაარღვიეთ. ახლა ციხეში წაგიყვანთ და იქ გასწავლიან კარგად, როგორ უნდა სიმართლის თქმა!

მაგრამ რაც სკოლაში ხდებოდა, იმისი წარმოდგენაც კი ძნელია, ჯაკომონმა მთლად შეაცვლევინა გამრავლების ტაბულა, ახალი წესით მიმატების ნაცვლად გამოკლება უნდა ეწარმოებინათ, გამრავლების ნაცვლად კი — გაყოფა. თვითონ მასწავლებლებიც იბნეოდნენ და აღარ იცოდნენ, როგორ გაესწორებინათ დავალება.

ო, რა გაიხარეს უქნარებმა! რაც მეტ შეცდომას დაუშვებდნენ. უფრო გულდაარხეინებული იყვნენ, იცოდნენ, უკეთეს ნიშანს მიიღებდნენ.

ეს კიდევ არაფერი. უნდა გენახათ, რა შინაარსებსა წერდნენ. ყველაფერი ხომ შებრუნებულად უნდა დაეწერათ. მაგალითისათვის მოგიყვანთ თემას: «წარმტაცად გატარებული დღე», ამ თემისათვის ერთი მოწაფე ყალბი ოქროს მედლით დააჯილდოვეს:

«გუშინ გადაუღებლად წვიმდა. რა სჯობია კოკისპირულ წვიმაში სეირნობას. ხალხმა, როგორც იქნა, გადაყარა ქოლგები და საწვიმარები, ყველამ გაიძრო პიჯაკი და სახელოგადაწეული პერანგებით ქუჩებს მოეფინა. საშინლად მძულს მზიანი ღამე. გარეთ ვერ გახვალ, დასველებისა გეშინია. ხარ ასე გამომწყვდეული სახლში, ზიხარ კარებთან და შეჰყურებ, რა გულისგამაწყალებლად უკაკუნებენ მზის სხივები კარის კრამიტებს».

ამ ნაშრომს სათანადოდ ვერ შეაფასებთ, თუ არ იცით, რომ «კარის კრამიტები» ამ ქვეყნის ენაზე ფანჯრის მინებს ჰქვია.

მგონი კმარა. ადვილად წარმოიდგენთ, რა დღეში იქნებოდა იქაური ხალხი, როცა ცხოველებსაც აიძულებდნენ, ეცრუათ. ძაღლები კნაოდნენ, კატები იყეფებოდნენ, ცხენები ძროხებივით ბღაოდნენ., ძროხები კი ჭიხვინებდნენ. გალიაში ჩამწყვდეული ზოოპარკის ლომი ვალდებული იყო, თაგვივით ეწრუწუნა, ხოლო თაგვები ლომებივით ბდღვინავდნენ.

მხოლოდ თევზები და ფრინველები გრძნობდნენ თავს თავისუფლად. ისინი აინუნშიაც არ აგდებდნენ ჯაკომონ მეფის კანონებს. თევზებს, როგორც ვიცით, პირი წყლითა აქვთ სავსე და ლაპარაკი არ შეუძლიათ, ამიტომ ტყუილსაც ვერავინ ათქმევინებს, მაინც ვერ დაიჭერდნენ. ამიტომ ისინი თავიანთ ნებაზე დაფრინავდნენ და ჭიკჭიკებდნენ. ხალხი შურით უყურებდა ფრინველებს და ოხრავდა:

— რა ბედნიერები არიან, მაგათ ვერც დაიჭერენ და ვერც დააჯარიმებენ.

უსმენდა ჯელსომინო ფეხცანცარა ციცუნიას, უსმენდა და ნაღველი უფრო და უფრო ემატებოდა.

«რა გამაძლებინებს ამ ქვეყანაში? — ფიქრობდა ის. — ჩემი დაწყევლილი ხმით სიმართლე რომ ვთქვა, ჯაკომონ მეფის მთელი პოლიცია ფეხზე დადგება. არადა, ისეთი ურჩი ხმა მაქვს, ბევრიც რომ ვეხვეწო, თავისას მაინც არ დაიშლის».

— აი ასეთია, ჩემო ძმაო, ამ ქვეყნის ამბავი. — დაამთავრა ფეხცანცარა ციცუნიამ, — ახლა კი, იცი, რას გეტყვი? შიმშილისაგან კუჭი მიცხვება.

— მე კი უკვე გადამავიწყდა შიმშილი.

— შიმშილი ერთადერთი რამაა ქვეყანაზე, რისი დავიწყებაც შეუძლებელია, დრო შიმშილს ვერაფერს აკლებს. პირიქით, რაც მეტი დრო გავა, უფრო მეტად მოგშივა. ფიქრი არ არის, რამეს ვიშოვით. მაგრამ ჯერ მინდა, ამ კედელს, რომლის ტყვეობაშიც ამდენი ხანი გავატარე, სახსოვარი დავუტოვო.

მან სწორედ იმ ადგილას, სადაც მანამდე თვითონ იყო მიხატული, წითელი ცარცის თათით მიაწერა:

მიაუ! გაუმარჯოს თავისუფლებას!

საჭმლის შოვნა არც ისე იოლი გამოდგა. ისინი დიდხანს დაეხეტებოდნენ ქუჩა-ქუჩა. ჯელსომინო თავჩაღუნული მიდიოდა და ქვაფენილს დასჩერებოდა, ეგებ სადმე ყალბი ფული ვიპოვოო. ფეხცანცარა ციცუნია კი სულ აქეთ-იქით იყურებოდა და ნაცნობებს ეძებდა.

— გამოჩნდა, როგორც იქნა, — წამოიძახა ბოლოს გახარებულმა ციცუნიამ და ჯელსომინოს მოხუცი ქალი დაანახა. ქალს ხელში პარკი ეჭირა და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა.

— ვინ არის ეგ ქალი?

— დეიდა სარიყლაპია, კატების მეგობარი. ყოველ საღამოს უპატრონო კატები ჯაკომონ მეფის სასახლის ბაღთან იყრიან თავს და დეიდა სარიყლაპიას მათთვის საჭმლის ნარჩენებით სავსე პარკი მიაქვს.

დეიდა სარიყლაპია მართლაც სარივით მაღალი (ორ მეტრს აღარაფერი უკლდა), ხმელ-ხმელი, მკაცრი შესახედაობის ქალი იყო, ერთი შეხედვით კაცს ეგონებოდა, ეს ისეთი დედაბერია, ალბათ სულ ცოცხით ერეკება კატებსო, ფეხცანცარა ციცუნიას ნათქვამიდან კი სულ საწინააღმდეგო გამოდიოდა.

ჯელსომინო და მისი მეგობარი ფეხდაფეხ მიჰყვნენ დეიდა სარიყლაპიას და გავიდნენ პატარა მოედანზე, რომლის იქით სამეფო ბაღის ქონგურებიანი კედელი მოჩანდა. კედელზე სულ წვეტიანი ბოთლის ნამსხვრევები იყო ჩარიგებული, შიმშილისაგან გაძვალტყავებული ათიოდე კატა ყეფა-წკმუტუნით დაესია დეიდა სარიყლაპიას.

— ო, თქვე ტუტუცებო, თქვე ყეყეჩებო! — ჩაიკნავლა ფეხცანცარა ციცუნიამ, — მე თქვენ გაჩვენებთ სეირს.

წამოყარა თუ არა დეიდა სარილაპიამ პარკიდან საჭმლის ნარჩენები, ფეხცანცარა ციცუნია იმ წუთასვე შევარდა კატების ხროვაში და დაიკნავლა — მიაუ!

მყეფარა კატების ქვეყანაში კატის კნავილი ისეთი საკვირველება იყო, რომ საწყალმა ფისუნებმა გაოცებისაგან პირი დააღეს და ქანდაკებებივით ადგილზე გაქვავდნენ. ფეხცანცარა ციცუნიამ სასწრაფოდ დასტაცა პირი ვირთევზას თავსა და ხერხემალს, ერთი ნახტომით კედელს თავზე მოექცა და ბაღში ისკუპა.

ჯელსომინომ გაიხედ-გამოიხედა, მასაც უნდოდა სამეფო ბაღში გადაძრომა, მაგრამ შეამჩნია, რომ დეიდა სარიყლაპია ეჭვის თვალით უყურებდა და გადაიფიქრა.

«ეს ქალი ნამდვილად ერთ აურზაურს ატეხს», — გაიფიქრა ჯელსომინომ, თავი ისე დაიჭირა, თითქოს თავისთვის მიდიოდა და ვითომც აქ არაფერიაო, მეორე ქუჩაზე შეუხვია.

კატები გონს მოვიდნენ, აყეფდნენ და ისე წაესივნენ დეიდა სარიყლაპიას, ცოტას გადარჩა, კაბის კალთები არ შემოახიეს. მაგრამ დედაბერი კატებზე მეტად იყო გაოგნებული, ბოლოს ამოიოხრა, პარკში თუ რამ იყო დარჩენილი კატებს დაუყარა, ერთხელ კიდევ შეხედა იმ კედელს, რომელზედაც ფეხცანცარა ციცუნია გადაძვრა და შინისკენ თავჩაღუნული გაეშურა.

ჯელსომინომ კი, შეუხვია თუ არა მეორე ქუჩაზე, მაშინვე იპოვა ყალბი ფული, რომელსაც ამდენხანს ეძებდა. იყიდა პური და ყველი, ან როგორც ამ ქვეყანაში ეძახდნენ — «საშლელი და შუშა მელანი». მალე საღამოს ბინდიც ჩამოწვა. ჯელსომინო მთელი დღის ხეტიალმა დაღალა და საშინლად ეძინებოდა. სადღაც ღია კარს მიაგნო, სარდაფში ჩავიდა, კუთხეში დაყრილ ქვანახშირზე მიეგდო და მაშინვე ჩაეძინა.

ფეხცანცარა ციცუნია
ფანჯარასთან მისულია,
უთვალთვალებს ჯაკომონს,
ხმას არა და არ იღებს,
ითვლის მეფის პარიკებს.

თავი მეხუთე

ჯელსომინოს ჯერ ტკბილად სძინავს და არც იცის, რომ ახალი თავგადასავალი სწორედ ძილში გადახდება. ამ თავგადასავალს მერე მოგიყვებით, ახლა კი ფეხცანცარა ციცუნიას კვალს გავყვეთ, ვნახავთ, სად მიგვიყვანს.

ვირთევზას თავი და ხერხემალი ციცუნიას ძალიან ეგემრიელა. თავის სიცოცხლეში პირველად ჭამა საჭმელი. მან ხომ მთელი სიცოცხლე კედელზე მიხატულმა გაატარა და არც კი იცოდა, რა იყო შიმშილი.

სამეფო ბაღშიც პირველად იყო და ამიტომ ყველაფერს გაფაციცებით ათვალიერებდა, როცა მაღლა აიხედა, სასახლის ზედა სართულზე განათებული ფანჯრები შენიშნა.

— ეჰ, რატომ აქ არ არის ჯელსომინო, სერენადას არ უმღერებს და ფანჯრებს მთლად არ ჩაულეწავს მეფე ჯაკომონს, — თქვა ციცუნიამ. — თუმცა, მგონი, მეფე საძილედ ემზადება, ამ სანახაობას თუ არ ვუყურე, არ იქნება.

ციცუნია სწრაფად აცოცდა ზედა სართულზე და განათებული ფანჯრიდან ჩაიხედა, უზარმაზარ დარბაზში მეფის საწოლ ოთახამდე ორ რიგად ჩამწკრივებულიყვნენ მსახურები, ფარეშები, კარისკაცები, მრჩევლები, ადმირალები, მინისტრები და სხვა წარჩინებული პირები. ისინი თავს მდაბლად უკრავდნენ დასაძინებლად მიმავალ ჯაკომონს. უზარმაზარი, გაბღენძილი ჯაკომონი ისეთი საზარელი შესახედავი იყო, რომ კაცს შიშის ჟრუანტელს მოჰგვრიდა. თუმცა კი,

სილამაზით თვალს მოგტაცებდათ მისი ხშირი, გრძელი, ოქროსფერი ხვეული თმა და იასამნისფერი პერანგი, რომელზედაც თავისი სახელი ჰქონდა ამოქარგული.

ყველა თავს უკრავდა მოახლოვებულ ჯაკომონს და მოწიწებით ეუბნებოდა:

— დილა მშვიდობისა, დიდო მეფეო!.. ბედნიერ დღეს გისურვებთ, მბრძანებელო!

ჯაკომონი დროდადრო ჩერდებოდა და გემრიელად ამთქნარებდა, მაშინვე რომელიმე კარისკაცი პირზე ხელს ზრდილობიანად აფარებდა. მერე ჯაკომონი ისევ მიდიოდა წინ, თან თავისთვის ბუტბუტებდა:

— ამ დილას სულ არა ვარ ძილის ხასიათზე. თავს ჩიტივით მსუბუქად ვგრძნობ.

რასაკვირველია, ჯაკომონის ნათქვამი პირიქით უნდა გავიგოთ. ის სხვებს აიძულებდა, ეცრუათ, და ისე მიეჩვია ტყუილს, რომ სხვაზე ნაკლებ აღარც თვითონ ცრუობდა და თავისი ტყუილისა თვითონვე სჯეროდა.

— დიდო მეფეო, ისეთი სახე გაქვთ, კაცი ზედ არ შეგაფურთხებთ! — მოწიწებით უთხრა ერთმა მინისტრმა.

ჯაკომონმა თვალები გადაუტრიალა მინისტრს, მაგრამ მალე გაახსენდა, რომ ეს სიტყვები სულ სხვანაირად უნდა გაეგო. მინისტრს უნდოდა ეთქვა, რა კარგ ფერზე ხართო. ამიტომ მეფემ გაიღიმა, კიდევ დაამთქნარა, მერე თავის ამალას მიუბრუნდა, დასამშვიდობებლად ხელი დაუქნია, პერანგის კალთები აიკრიფა და საწოლ ოთახში შევიდა.

ფეხცანცარა ციცუნიამაც მეორე ფანჯარასთან გადაინაცვლა და ახლა საწოლ ოთახში შეიჭყიტა.

როგორც კი მარტო დარჩა, ჯაკომონი მაშინვე სარკეს ეცა და ოქროს სავარცხლით გულმოდგინედ დაუწყო ვარცხნა თავის მშვენიერ ოქროსფერ კულულებს.

«როგორ უვლის თმას, —გაიფიქრა ციცუნიამ. — ღირს კიდეც ასეთი თმის მოვლა. ამ თმის პატრონი ან მხატვარი უნდა იყოს, ან მუსიკოსი. ნეტავი მეკობრეობა რამ დააწყებინა».

ამასობაში ჯაკომონმა სავარცხელი თავის ადგილას დადო, საფეთქლებთან კულულებზე ფრთხილად მოიკიდა ხელი და მაღლა აიქნია. წამში გამოჩნდა ხელისგულივით მოტვლეპილი თავი. ასე მარდად ინდიელიც კი ვერ გადააძრობდა სკალპს თავის მსხვერპლს.

— პარიკი! — აღმოხდა გაოცებულ ციცუნიას.

დიახ, მშვენიერი ოქროსფერი კულულები პარიკი გამოდგა. დიდებული მეფე დაკოჟიჟებულ, მეჭეჭებიან, არასასიამოვნო ვარდისფერ მელოტ თავს თურმე პარიკით იფარავდა. ჯაკომონმა სევდიანად ამოიოხრა და დაკოჟიჟებული თავი მოიფხანა, შემდეგ კი კარადა გამოაღო. ფეხცანცარა ციცუნიას გაოცებისაგან თვალები კინაღამ გადმოსცვივდა, კარადა სავსე იყო ათასნაირად დავარცხნილი ქერა, შავი და ლურჯი თმის პარიკებით. ჯაკომონს პარიკების მთელი კოლექცია ჰქონდა, თუმცა ხალხში მხოლოდ ოქროსფერ პარიკს ატარებდა. ძილის წინ კი, როცა მარტო რჩებოდა, ხან რომელ პარიკს იკეთებდა, ხან რომელს და სიქაჩლეზე დარდს ამით იქარვებდა, თითქმის ყველა წესიერ კაცს გარკვეულ ასაკში თმა სცვივა და ეს არავის არ ეთაკილება. მაგრამ ჯაკომონს სიკვდილი ერჩივნა თავისი მოტვლეპილი თავის ყურებას.

ფეხცანცარა ციცუნია უყურებდა და ეცინებოდა, ჯაკომონი ხან ერთ პარიკს ისინჯავდა, ხან მეორეს. თავი მოსწონდა. სარკესთან ისე ტრიალებდა, როგორც პრიმა-

ბალერინა სცენაზე გამოსვლის წინ, ხან პირდაპირ იყურებოდა სარკეში, ხან პროფილს ისინჯავდა, კისრის დასათვალიერებლად კი პატარა სარკეს იშველიებდა, ბოლოს გადაწყვიტა, იასამნისფერ პერანგს ასეთივე ფერის პარიკი მოუხდებაო. არჩეული პარიკი მელოტ თავზე მაგრად ჩამოიჭიმა, ჩაწვა ლოგინში და სინათლე ჩააქრო.

ფეხცანცარა ციცუნია ნახევარ საათს კიდევ ტრიალებდა მეფის სასახლესთან, ყველა სართულს ჩამოუარა, ყველა ფანჯარაში შეიჭვრიტა, რასაკვირველია, საქებური არაა სხვის ფანჯრებში ყურება. როგორ გგონიათ, თუ კართან მიპარვა და ყურის გდება საძრახისია, ფანჯრიდან ოთახებში ჭყეტა რითია უკეთესი! თუმცა ამას თქვენ ვერც მოახერხებთ, რადგან არც კატები ხართ და არც მუშაითები. ციცუნიას ყველაზე მეტად ერთი მოხუცი კარისკაცი მოეწონა. ძილის წინ მოხუცმა მუნდირი გაიძრო, აქეთ-იქით მიყარ-მოყარა მაქმანები, ორდენები, იარაღი და იცით, რითი შეიმოსა? — მეკობრის ძველისძველი ტანსაცმლით. ჩაიცვა ჭრელი ქურთუკი, შარვალი მუხლებამდე აიკაპიწა, მარჯვენა თვალზე შავი სახვევი აიფარა და იმის მაგივრად რომ ლოგინში ჩაწოლილიყო, საწოლს ზემოთ აღმართულ გავალაკზე აფოფხდა, იაფფასიანი ჩიბუხი გააჩაღა და ხარბად მოქაჩა. როგორც ჩანს, ბებერ მეკობრეს მთავარი ანძის ზედა ძელზე ჯდომა მოენატრა. თამბაქოს ბოლზე ციცუნიას, ცოტას გადარჩა, ხველა არ აუვარდა.

დახეთ, რა ძალა ჰქონია სიმართლეს, — ჩაილაპარაკა ჩვენმა ციცუნიამ, — ამ ბებერ მეკობრესაც კი უყვარს თავისი ნამდვილი სამოსელი.

«ბაღში ღამის გათევა სახიფათოა, შეიძლება ყარაულებმა დაგიჭირონ,» — გაიფიქრა ციცუნიამ და ბაღიდან უკანვე გადაცოცდა. კედელს იქით ქალაქის ცენტრალური მოედანი იყო, ამ მოედანზე იკრიბებოდა ხალხი ჯაკომონ მეფის სიტყვის მოსასმენად. ფეხცანცარა ციცუნიამ მიათვალიერ-მოათვალიერა იქაურობა, ეგება ღამის გასათევი ადგილი სადმე ვიპოვოო, მაგრამ უცებ მარჯვენა თათზე რაღაც ქავილი იგრძნო.

— რაღა ვქნა, — ჩაილაპარაკა თავისთვის, — ჯაკომონ მეფისაგან ან ბებერი მეკობრისგან რწყილი ხომ არ შემაცოცდა?

მაგრამ ქავილი რაღაც სხვანაირი იყო. ნუ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ თათი გარედან კი არა, შიგნიდან ექავებოდა.

— ახლა კი მივხვდი, — ჩაილაპარაკა მან, — ნამდვილად, ისევ კედელზე წერის სურვილმა მომიარა. წეღანაც, როგორც კი მიწას პირველად დავაკარე თათი — დიდ მადლობას ვუძღვნი ამისთვის ჯელსომინოს — ზუსტად ასეთი ქავილი ვიგრძენი. მეტი რა გზა მაქვს, ცრუთა მეფეს მოკიხვა უნდა დავუტოვო.

ციცუნია ფეხაკრეფით მიუახლოვდა მეფის სასახლეს და დარაჯები დაათვალიერა. როგორც ამ უკუღმართი ქვეყნის წესი იყო, დარაჯებს მაგრად ეძინათ. მათი ხვრინვისაგან ყურთასმენა აღარ იყო. დროდადრო დაცვის უფროსი საყარაულოებს ჩამოივლიდა და ვაი ვისაც მღვიძარეს მიუსწრებდა.

— მეც ეს მინდა, —გაუხარდა ფეხცანცარა ციცუნიას და წითელი ცარცით დახატული თათით (რასაკვირველია, მარჯვენა თათით), სასახლის კედელზე, ზედ მთავარ შესასვლელთან მიაწერა:

ჯაკომონ მეფე პარიკს ატარებს!

— სწორედ ზედგამოჭრილია ეს ადგილი ამ წარწერისთვის, — თქვა ციცუნიამ, როცა თავისი ნახელავი შეამოწმა. — მოდი, ახლა შესასვლელის მეორე მხარეზეც დავწერ.

თხუთმეტიოდე წუთში ერთი ასგან მაინც დაწერა ეს სიტყვები. ბოლოს იმ მოწაფესავით დაიღალა, დაშვებული შეცდომებისათვის რომ დასაჯეს და დავალების რამდენჯერმე გადაწერა დაავალეს.

— აბა, ახლა კი ნანა.…

იქვე მოედნის შუაში აღმართული იყო მარმარილოს სვეტი. სვეტს ჯაკომონ მეფის გმირობის ამსახველი ქანდაკებები ამშვენებდა. ერთგან ჯაკომონ მეფე მტრებს მუსრს ავლებდა, მეორეგან თავის ქონებას ღარიბებს ურიგებდა, მესამეგან ქოლგას იგონებდა, რათა თავისი ქვეშევდრომები წვიმისაგან დაეფარა. რასაკვირველია, ჯაკომონს ასეთი რამეები სიზმარშიც არ მოლანდებია.

სვეტის თავზე საკმაო ადგილი იყო. ფეხცანცარა ციცუნია იქ თავისუფლად დაეტეოდა, თანაც, თავს უშიშრად იგრძნობდა. ბევრი აღარ უფიქრია, ქანდაკებიდან ქანდაკებაზე გადაცოცდა, სვეტს თავზე მოექცა, რომ არ ჩამოვარდნილიყო, კუდით მეხამრიდს დაეხვია და თვალის დახუჭვაც კი ვერ მოასწრო, მაშინვე ჩაეძინა.

იდგა ხორხოცი, ხარხარი,
ყაყანი გასაკვირველი —
ხალხის ბრბომ გამოაღვიძა
დილით ჯაკომონ პირველი

თავი მეექვსე

ფეხცაცუნა ციცუნია უთენია საშინელმა ღრიანცელმა გამოაღვიძა.

«წარღვნაა თუ რა უბედურებაა» — წამოვარდა გულგახეთქილი ციცუნია და სვეტიდან გადმოიხედა. მოედანზე ზღვა ხალხი ირეოდა და ხმაურობდა. ციცუნია მაშინვე მიხვდა, რომ სასახლის კედელთან ამოდენა ხალხი მისმა წარწერამ მოაგროვა.

ჯაკომონ მეფე პარიკს ატარებს!

ცრუთა ქვეყანაში ერთიბეწო სიმართლეც კი გაცილებით მეტ ხმაურს იწვევს, ვიდრე ატომური ბომბის აფეთქება. მოედანზე თავმოყრილი ხალხის ხმაურზე და სიცილზე უფრო მეტი და მეტი ხალხო გროვდებოდა. მოდიოდა ახალ-ახალი ტალღა ქალაქის ყველა კუთხიდან.

ახალმოსულებს პირველად ეგონათ, ხალხი რაღაცას ზეიმობსო.

— რა მოხდა? ომში გავიმარჯვეთ?

— არა, უფრო მეტი, უფრო მეტი!

— მეფეს ტახტის მემკვიდრე შეეძინა?

— უფრო მეტი, უფრო მეტი!

— აბა, მაშ გადასახადები გაუუქმებიათ!

ბოლოს ისინიც კითხულობდნენ წარწერას და სიცილით იგუდებოდნენ. ამ დროს იასამნისფერი პერანგით და პარიკით მორთულ-მოკაზმული ჯაკომონი საწოლში ნებივრობდა. ყიჟინმა და სიცილ-ხარხარმა ისიც გამოაღვიძა. მან მიირბინა ფანჯარასთან და მოედანს გადახედა.

— დიდებულია! — სიამოვნებით მოიფშვნიტა ხელები ჯაკომონმა. — შეხედეთ, როგორ უყვარს ხალხს თავისი მეფე! მათ თავი მოიყარეს ჩემს სასახლესთან, რომ ძილი ნებისა მისურვონ. ეჰეი, ფარეშებო, კარისკაცებო, ადმირალებო! სად ხართ, მომართვით სკიპტრა და სამეფო მოსასხამი! მსურს, აივანზე გავიდე და სიტყვა წარმოვთქვა.

კარისკაცები, ცოტა არ იყოს, უნდობლად უყურებდნენ ხალხის მხიარულებას.

— იქნებ ჯობდეს, ვინმე ჩაგზავნოთ ამბის გასაგებად?

— დიდო მეფეო, ვაითუ რევოლუცია დაიწყო?

— რას სულელობთ, ვერ ხედავთ, ხალხი როგორ მხიარულობს?

— სწორედ ეგ გვაშინებს, რომ ასე მხიარულად არიან.

— ნუთუ არ გესმით, ხალხი ჩემს სიტყვას ელის და სიხარულისაგან აღარ იცის, რა ქნას. სად არის ჩემი მდივანი?

— აქ გახლავართ, დიდო მეფეო!

ჯაკომონ მეფის მდივანს დღენიადაგ იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი წინასწარდაწერილი სიტყვებით გამოტენილი უზარმაზარი საქაღალდე. შიგ ეწყო ყველანაირ თემაზე დაწერილი სიტყვები, ზოგი მსმენელთა გულის ასაჩუყებლად, ზოგი შესაქცევად და ზოგიც ჭკუის სასწავლებლად, მაგრამ ყველა სიტყვა ერთმანეთს გავდა იმით, რომ მათში არც ერთი სიტყვა არ იყო მართალი.

მდივანმა გახსნა საქაღალდე, ამოიღო ერთი ფურცელი და წაიკითხა სათაური:

— «სიტყვა ფლავის მოშენებაზე».

— არა, საჭმელზე ლაპარაკი არ მინდა, თორემ შეიძლება ვინმეს მადა გაეხსნას და ყური აღარ დამიგდოს.

— «სიტყვა ცხენ-საქანელას გამოგონებაზე», — წაიკითხა მეორე სათაური მდივანმა.

— აი, ეს კი ზედგამოჭრილი იქნება. ყველამ იცის, რომ ცხენ-საქანელა მე გამოვიგონე. ჩემს გამეფებამდე ამ სათამაშოს ხსენებაც არსად იყო.

— დიდო მეფეო, თმის ფერზეც მაქვს სიტყვა.

— ძალიან კარგი, მე სწორედ ეგ სიტყვა მინდოდა! — პარიკის სწორებით თქვა ჯაკომონმა, მდივანს ფურცლები ხელიდან გამოსტაცა და აივანზე გავარდა.

ჯაკომონის გამოჩენაზე ხმაური უფრო გაძლიერდა, შორიდან ძნელი იყო გარჩევა, ხალხი ხარხარებდა თუ მეფეს ტაშით ესალმებოდა. უნდობლად განწყობილმა კარისკაცებმა ეს ხმაური სიცილად მიიღეს და ხალხს უფრო ეჭვით დაუწყეს ყურება. ჯაკომონმა კი იფიქრა, ჩემი დანახვა უხარიათო, მადლობის ნიშნად მომხიბლავად გაიღიმა და სიტყვის კითხვა დაიწყო.

ამ სიტყვის მთლიანად წაკითხვის იმედი ნუ გექნებათ. სულ ერთია მაინც ვერაფერს გაიგებთ, იქ ხომ ყველაფერი უკუღმართად იყო ნათქვამი. მე მოკლედ გადმოგცემთ იმას, რაც ჯელსომინოს ამ სიტყვიდან დაამახსოვრდა.

აი, დაახლოებით რა თქვა ჯაკომონ მეფემ:

— რა არის თავი უთმოდ? — გაძარცვული ყვავილების ბაღი.

— ბრავო! — გაისმა ხალხში. — მართალია! მართალი!

მართალიაო? — ამ სიტყვებზე ნაკლებად ეჭვიანმა კარისკაცებმაც კი ცქვიტეს ყური. ჯაკომონი კი მშვიდად განაგრძობდა ლაპარაკს:

— სანამ მე გავმეფდებოდი ამ ქვეყანაში, სასოწარკვეთილი ხალხი თმებს იგლეჯდა და ერთი მეორეზე მელოტდებოდა. პარიკმახერებმა უსაქმობისაგან აღარ იცოდნენ, რა ექნათ.

— ბრავო! — დაიძახა ვიღაცამ. — გაუმარჯოს პარიკმახერებს, გაუმარჯოს პარიკებს!

ჯაკომონი შეკრთა. ეს ქარაგმულად ნათქვამი სიტყვა გულზე მოხვდა, მაგრამ ეჭვი მალე უკუაგდო და განაგრძო:

— მოქალაქენო, ახლა მე გეტყვით, ოქროსფერი თქმა რატომ არის მწვანე თმაზე უფრო მშვენიერი.

ამ დროს ერთმა კარისკაცმა ჯაკომონს სახელოზე მოქაჩა და ყურში ჩასჩურჩულა:

— დიდო მეფეო, დიდი უბედურება დაგვატყდა თავს.

— თქვი, რა მოხდა?

— ჯერ აღმითქვით, რომ სიმართლის თქმისთვის ენას არ ამომკვეთენ!

— აღმითქვამს!

— ვიღაცას კედელზე დაუწერია, რომ თქვენ პარიკს ატარებთ და ხალხი ამაზე იცინის.

მეფე ისე შეკრთა, რომ ფურცლები ხელიდან გაუცვივდა და ხალხში გაიფანტა. ფურცლებს პატარა ბიჭები იტაცებდნენ და მიარბენინებდნენ. ჯაკომონისთვის რომ ეთქვათ, მთელი სასახლე გადაგიწვესო, ისე არ გაცოფდებოდა. მან ჟანდარმებს ხალხი მოედნიდან გაარეკინა, მერე ბრძანა, ენა მოკვეთეთ იმ კარისკაცს, ვინც დაბლა ჩავიდა და უსიამოვნო ამბავი სასახლეში ამოიტანაო. კარისკაცი იხვეწებოდა, ენას ნუ მომკვეთთო. საცოდავს შიშისაგან სულ დაავიწყდა, რომ უნდა ეთხოვა, ცხვირს ნუ მომჭრითო. მაშინ შეიძლება მისთვის ცხვირი მოეჭრათ და ენა იქნებ როგორმე მთელი შერჩენოდა.

ჯაკომონმა ესეც არ იკმარა. ქვეყნის ყველა კუთხეში დაიგზავნა ბრძანება, სადაც იუწყებოდნენ, რომ ასი ათასი ყალბი ტალერი მიეცემოდა იმას, ვინც მეფის შეურაცხმყოფელს გასცემდა. სასახლის წინ, მოედანზე, სვეტის სიახლოვეს თავზეხელაღებული მჯღაბნელის თავის მოსაკვეთად უზარმაზარი გილიოტინა დადგეს.

— ვაი ჩემს დღეს! — შეიცხადა ფეხცანცარა ციცუნიამ და კისერი მოისინჯა, თან ცდილობდა, სვეტზე საიმედოდ დამალულიყო. — სიმართლე რომ ვთქვა, არ ვიცი, რა ჰქვია ცრუთა ენაზე შიშს, მაგრამ თუ სიმამაცე ჰქვია, მაშინ ახლა ჩემს სიმამაცეს საზღვარი არა აქვს.

შეშინებულმა ფისუნიამ მთელი დღე ბაწრის გორგალივით დახვეულმა გაატარა თავის სამალავში, საღამოს, როცა დარწმუნდა, ახლა კი არავითარი ხიფათი არ მელისო, ნელ-ნელა ჩამოცოცდა სვეტიდან, თან ფრთხილად იყურებოდა აქეთ-იქით, რომ არავის არ შეემჩნია. როგორც კი მიწაზე გაჩნდა, მაშინვე უნდოდა გაქცევა. მისი უკანა თათები მზად იყვნენ, მოეკურცხლათ, მაგრამ სწორედ ამ დროს წინა მარჯვენა თათზე ისევ იგრძნო არასასიამოვნო ქავილი.

— აჰა, ისევ დამეწყო, — დაიკრუტუნა ფეხცანცარა ციცუნიამ. — მეტი გზა არა მაქვს, ისევ უნდა დავწერო სადმე ჯაკომონ მეფის «ქება-დიდება», თორემ ქავილი თავს არ გამანებებს, ცხადია, რახან კედელზე დახატული დავიბადე, მთელი სიცოცხლე ჯღაბნაში უნდა გავატარო. მაგრამ ახლომახლო კედელი რომ არსად მოჩანს. მოდი, აი, იქ დავწერ.

ციცუნიამ ჯაკომონ მეფისადმი მიმართული ახალი ეპისტოლე გილიოტინის დანაზე დაწერა. აი, რა შინაარსისა იყო წითელი ცარცის თათით დაწერილი ეპისტოლე:

მოჰქრის ცნობა ყოველ მხრიდან, —
ამას აღარ ველოდით:
«მეფე პარიკს ატარებს,
ბრძანებულა მელოტი!»

ქავილმა იმწამსვე გაუარა, მაგრამ ფეხცანცარა ციცუნიამ შენიშნა, რომ თათი რამდენიმე მილიმეტრით დაუმოკლდა.

— ერთი თათი ისედაც არა მაქვს, — თქვა მან, — თუ ასე ვწერე, მეორე თათიც მთლად წამეშლება და მერე რაღა მეშველება. როგორღა ვიარო.

— ჯერჯერობით მე დაგეხმარები, — გაისმა ზურგს უკან ვიღაცის ხმა.

ეს მარტო ხმა რომ ყოფილიყო, ფეხცანცარა ციცუნია გაქცევით უშველიდა თავს, მაგრამ ხმასთან ერთად ორი გრძელი ხელი მარწუხივით ჩაეჭიდა და აღარ უშვებდა. ხმაც და ხელებიც ეკუთვნოდა მოხუცებულ ქალს, რომელსაც ორი მეტრი სიმაღლე და მკაცრი შესახედაობა ჰქონდა.

დეიდა სარიყლაპია!

— ჰო, მე ვარ, — ჩაიდუდუნა მოხუცმა ქალმა, — ახლა ჩემს სახლში წაგიყვან და იქ გასწავლი, როგორ უნდა ჩემი კატების ვახშმის მოტაცება და კედელზე ცარცით წერა.

დეიდა სარიყლაპიამ ფეხცანცარა ციცუნია თავშალში გაახვია. ციცუნია არ გაძალიანებია. მით უმეტეს, რომ სასახლის კარიბჭიდან რამდენიმე ჟანდარმი გამოვიდა.

«კიდევ კარგი, დეიდა სარიყლაპიამ მოასწრო მაგათ, — გაიფიქრა ფეხცანცარა ციცუნიამ, — ჯაკომონ მეფის ხელში ჩავარდნას, ამ ქალთან ყოფნა მირჩევნია.»

ფეხცანცარა ციცუნია
არა ჰკარგავს წუთს:
ზის და კნავილს ასწავლის
შვიდ პაწია კნუტს.

თავი მეშვიდე

დეიდა სარიყლაპიამ ფეხცანცარა ციცუნია სახლში მიიყვანა და სავარძელზე მიაკერა. დიახ, დიახ, ნემსითა და ძაფით მიაკერა, ისე, როგორც სუფრაზე ამოსაქარგ ნახატს მიაკერებენ ხოლმე. თანაც სანამ ძაფს მოწყვეტდა, ორჯერ ამოუხვია და მაგრა გამონასკვა. ახლა კი ნაკერი აღარ დაირღვეოდა.

— დეიდა სარიყლაპია, — მალე მოვიდა ხასიათზე ფეხცანცარა ციცუნია, — ეს ოქროსფერი ძაფი რაღა უბედურებაა! სულ ჯაკომონის პარიკი მიდგას თვალწინ, ლურჯი ძაფით მაინც მიმაკერეთ! ჩემს ბეწვს ლურჯი ფერი უფრო მოუხდება.

— პარიკზე ლაპარაკს თავი გაანებე, — უპასუხა დეიდა სარიყლაპიამ. — მე მხოლოდ ის მინდა, წყნარად იჯდე შინ და გუშინდელივით არ გამექცე. საოცარი ცხოველი ჩანხარ, შენგან დიდ საქმეებს მოველი.

— მე მხოლოდ კატა ვარ და მეტი არაფერი, — მოკრძალებით თქვა ფეხცანცარამ.

— შენ კნავილი იცი. ჩვენს დროში შენისთანა კატები ძალიან ცოტანი არიან. ცოტანი კი არა, სულ არ არიან; კატებმა ძაღლებივით ყეფა მოინდომეს, მაგრამ კარგად ვერ ახერხებენ, რადგან ყეფისათვის არ არიან დაბადებულნი. მე კი კატები მიყვარს.

ძაღლები თვალის დასანახად მეჯავრება. სახლში შვიდი კატა მყავს. ახლა მათ სამზარეულოში, პირსაბნის ქვეშ სძინავთ. როგორც კი ხმას ამოიღებენ, მაშინვე მინდა სახლიდან გავრეკო. ერთი ასჯერ მაინცა ვცადე, მათთვის კნავილი მესწავლებინა, მაგრამ ყურიც არ მათხოვეს, არ მენდობიან.

ფეხცანცარა ციცუნიას თანდათან უფრო მოსწონდა მოხუცი ქალბატონი. მან ხომ პოლიციისაგან იხსნა ციცუნია და თან მყეფარე კატებისაგანაც თავმობეზრებული იყო.

— კატებზე ხვალ ვილაპარაკოთ. ამ საღამოს ჩვენ სხვა საქმე გვექნება, — თქვა დეიდა სარიყლაპიამ, მომცრო თაროსთან მივიდა, ერთი წიგნი გადმოიღო და სათაური ფეხცანცარა ციცუნიას დაანახა.

— «ტრაქტატი ზნეობაზე». — წაიკითხა ციცუნიამ.

დეიდა სარიყლაპია ფეხცანცარა ციცუნიას პირდაპირ სავარძელზე მოხერხებულად მოეწყო და განაცხადა:

— ახლა ამ წიგნს მთლიანად წაგიკითხავ, პირველი თავიდან ბოლო თავამდე.

— რამდენ გვერდიანია ეგ წიგნი, დეიდა?

— ცოტა, სულ რაღაც რვაას ოცდაოთხი გვერდია სარჩევის ჩათვლით. სარჩევს, რასაკვირველია, არ წაგიკითხავ. აბა, დავიწყოთ: «თავი პირველი. რატომ არ უნდა ვწერდეთ საკუთარ სახელებს კედლებზე. სახელი ასე ადვილად ხელწამოსაკრავი არაა, სახელს უნდა გავუფრთხილდეთ. დახატეთ კარგი სურათი და შეგიძლიათ ქვემოთ თქვენი სახელი მოაწეროთ. შექმენით ლამაზი ქანდაკება და მის კვარცხლბეკს თქვენი სახელი დაამშვენებს. გამოიგონეთ კარგი მანქანა და უფლება გექნებათ, მას თქვენი სახელი უწოდოთ. მხოლოდ ის, ვინც ვერაფერს ქმნის, კედელზე უკეთეს ადგილს ვერ პოულობს თავისი სახელის დასაწერად».

— ამაზე მეც თანახმა ვარ, — თქვა ფეხცანცარა ციცუნიამ, — მაგრამ მე ხომ კედელზე ჩემი სახელი კი არა, ჯაკომონის სახელი დავწერე!

— გაჩუმდი და ყური კარგად დამიგდე. «თავი მეორე. რატომ არ უნდა ვწერდეთ კედლებზე ჩვენი მეგობრების სახელებს».

— მე მხოლოდ ერთადერთი მეგობარი მყავდა, — თქვა ციცუნიამ. — ერთი მეგობარი მყავდა და ისიც დავკარგე. არ მინდა ამ თავის მოსმენა, არ მინდა, რომ გული ამიჩუყდეს.

— მეტი გზა არა გაქვს, უნდა მომისმინო. ბევრიც რომ ეცადო, მაგ სავარძლიდან ფეხს მაინც ვერ მოიცვლი.

მაგრამ სწორედ იმ წუთას ზარის ხმა გაისმა და დეიდა სარიყლაპია კარის გასაღებად გაემართა. ოთახში ასე ათი წლის გოგონა შემოვიდა. გოგონა რომ იყო, კეფაზე ცხენის კუდივით შეკრული თმები თუ მიგახვედრებდათ, თორემ სხვანაირად ბიჭისაგან ვერ გაარჩევდით, რადგან სპორტული შარვალი და ჭრელუჯრედებიანი ხალათი ეცვა.

— რომოლეტა! — შეჰყვირა ფეხცანცარა ციცუნიამ.

გოგონა დააკვირდა ციცუნიას, ცდილობდა, გაეხსენებინა, სად ენახა.

— სად გვინახავს ჩვენ ერთმანეთი?

— როგორ თუ სად? — თქვა ფეხცანცარა ციცუნიამ. — შენ ხომ თითქმის დედად მეკუთვნი. განა ჩემი ფერი არაფერს გაგონებს?

— როგორ არა, — უპასუხა რომოლეტამ, — იმ ცარცის ნატეხს მაგონებს, ერთხელ სკოლიდან რომ წამოვიღე.

— წამოიღე? — ჰკითხა დეიდა სარიყლაპიამ. — მერე, მასწავლებელს დაეკითხე?

— მინდოდა მეთხოვა, მაგრამ ვეღარ მოვასწარი, — აუხსნა რომოლეტამ, — რადგან დიდი დასვენების ზარი დაირეკა.

— ძალიან კარგი, — თქვა ფეხცანცარა ციცუნიამ, — შეგიძლიათ, იმ ცარცის ნატეხის შვილად ჩამთვალოთ. აი, ამიტომა ვარ განათლებული კატა: ვიცი ლაპარაკი, წერა-კითხვა და ანგარიში. რასაკვირველია, ჩემთვის ოთხივე ფეხი რომ დაგეხატა, უფრო მადლობელი ვიქნებოდი, მაგრამ არც ახლა ვარ უკმაყოფილო.

— მეც ძალიან მიხარია შენი ნახვა, — გაიღიმა რომოლეტამ, — შენ ალბათ იმდენ ახალ ამბავს მიამბობ, რომ...

— ჩემს გარდა ყველა კმაყოფილი ხართ, — შეაწყვეტინა დეიდა სარიყლაპიამ, — მე მგონი, არც ერთს არ გაწყენთ იმისი ცოდნა, რაც ჩემს წიგნში წერია. რომოლეტა. აი, აქ დაჯექი!

გოგონამ ფეხსაცმელები აქეთ-იქით მიყარ-მოყარა, სავარძელი ახლოს მიაცურა, ზედ ჩამოჯდა და ფეხები მაღლა აიკეცა. დეიდა სარიყლაპიამ მესამე თავის კითხვა დაიწყო. ამ თავში განმარტებული იყო, კედლებზე რატომ არ უნდა ვწერდეთ გამვლელთათვის შეურაცხმყოფელ სიტყვებს. ფეხცანცარა ციცუნია და რომოლეტა ყურადღებით უსმენდნენ. სავარძელზე მიკერებულ ციცუნიას მეტი რაღა დარჩენოდა, რომ არ ესმინა. რომოლეტა კი თუმცა ჩუმად იჯდა, მაგრამ ამას ეშმაკობით ჩადიოდა. თუ რატომ ეშმაკობდა გოგონა, მალე თქვენც მიხვდებით.

მეათე თავამდე როცა მიაღწია, დეიდა სარიყლაპიას მთქნარება აუტყდა. ჯერ თითო გვერდის წაკითხვაზე ორჯერ ამთქნარებდა, მერე კი მოუმატა: თითო გვერდზე სამ-ოთხჯერ ამთქნარებდა, მერე თითო სტრიქონზე, თითო სიტყვაზე... ბოლოს ისე გემრიელად დაამთქნარა, რომ სანამ პირს მოკუმავდა, თვალებიც დახუჭა და კეთილმა მოხუცმა ტკბილად ჩაიძინა.

— ყოველთვის ასე ემართება, — თქვა რომოლეტამ, — ჩაიკითხავს ნახევარ წიგნს და ჩაეძინება.

— ახლა როგორ მოვიქცეთ? უნდა ველოდოთ, როდის გაიღვიძებს? — ჰკითხა ფეხცანცარა ციცუნიამ. — ისე მაგრად ვარ მიკერებული ამ სავარძელს, დამთქნარება რომ მინდოდეს, პირის გაღებასაც ვერ მოვახერხებ. თანაც როგორ მეჩქარება წასვლა, ერთი მეგობარი მყავს მოსაძებნი. გუშინ საღამოს მერე აღარ მინახავს.

— ახლავე ყველაფერს მოვაგვარებ, — თქვა რომოლეტამ.

მან მაკრატელი აიღო და ძაფი ფრთხილად გამოარღვია. ფეხცანცარა ციცუნია იატაკზე ჩახტა, გაიჭიმა და შვებით ამოისუნთქა.

— ჩქარა, — ჩურჩულით თქვა რომოლეტამ, — სამზარეულოდან გავიპაროთ.

სამზარეულოში ისეთი სიბნელე იყო, თვალში თითი რომ წაეკრათ, ვერ დაინახავდით, მაგრამ იმ კუთხიდან, სადაც ალბათ პირსაბანი იდგა, თოთხმეტი ნაკვერცხალი მწვანედ ანათებდა.

— კატების სუნი მომდის, — თქვა ფეხცანცარა ციცუნიამ, — აქ შვიდი კატა უნდა იყოს, მე შვიდი კატის სუნსა ვგრძნობ.

— დეიდას კნუტები არიან.

პირსაბანთან მხიარულად ახითხითდნენ.

— ჩემო დაიკო, — მოისმა იქიდან, — შენ მარტო კოჭლი კი არა, ბრმაცა ყოფილხარ. ნუთუ ვერ ხედავ, რომ ჩვენც შენისთანა ძაღლები ვართ?

— ოხ, თქვე ცრუპენტელებო! — შესძახა ბრაზმორეულმა ციცუნიამ. — ბედი თქვენი, რომ არ მცალია, თორემ ნახავდით, როგორ აგაკნავლებდით, დეიდა სარიყლაპია მადლობასაც მეტყოდა.

— ჰამ-ჰამ! — ერთხმად დაიყეფა შვიდმა კნუტმა.

ფეხცანცარა ციცუნიამ კოჭლობით გაიარა სამზარეულო და თავისი შვიდი თანამოძმის წინ ჩაცუცქდა.

— მიაუ! — გამომწვევად დაიკნავლა მან.

კნუტები უსიამოვნოდ აიბუზნენ.

— უყურეთ ერთი! — გაიკვირვა ყველაზე პატარა კნუტმა. — მართლა სცოდნია კნავილი.

— ჰო, ძაღლის კვალობაზე საკმაოდ კარგად კნავის.

— მიაუ, — გაიმეორა ფეხცანცარა ციცუნიამ, — მიაუ, მიაუ, მიაუ!

— ეს ნამდვილად ხმების მიმბაძველია, რომელიც რადიოში გამოჰყავთ ხოლმე, — თქვა ყველაზე უფროსმა კნუტმა, — ყურს ნუ ათხოვებთ, მაგას უნდა, რომ ტაში დავუკრათ.

— მიაუ! — კიდევ დაიკნავლა ციცუნიამ.

— ეჰ! — ამოიოხრა ერთმა კნუტმა, — არც მე ვიტყოდი უარს, ასეთი კნავილი რომ ვიცოდე. ყეფა დიდი ხანია მომწყინდა. როგორც კი ყეფას დავაპირებ, ისეთი შიში ამიტანს, ბალანი ამეშლება ხოლმე.

— ოხ, შე ჯიუტო შენა! იცი, ეს რატომ გემართება? — უთხრა ფეხცანცარა ციცუნიამ. — იმიტომ, რომ ძაღლი კი არა, კატა ხარ.

— თუ შეიძლება, შეურაცხყოფას ნუ მაყენებთ. ისიც საკმარისია, რომ ყურს გიგდებთ. ვინ რა იცის, რა სულიერი ხართ.

— მე თქვენისთანა კატა ვარ.

— არ ვიცი, ძაღლი თუ კატა, მაგრამ კნავილი კი მეც მინდა.

— მოდი ერთი, სინჯე, — უთხრა ფეხცანცარა ციცუნიამ. — არ გინდა, გაიგო, რა გემოსია კნავილი. პირში ისეთ სიტკბოს იგრძნობ, თითქოს...

— თითქოს დეიდა სარიყლაპია რძეს გვასმევდეს? — იკითხა ყველაზე პატარა კნუტმა.

— არა, კნავილი ასჯერ უფრო ტკბილია.

— ო, როგორ მინდა, ვსინჯო! — ცრემლები მოერია კნუტს.

— მიაუ, მიაუ, — შემპარავად დაიკნავლა ციცუნიამ. — თამამად, ძმობილო კნუტებო, თამამად, ისწავლეთ კნავილი!

სანამ რომოლეტა გულს მოიჯერებდა სიცილით, ყველაზე პატარა კნუტმა გაუბედავად დაიწყო კნავილი. მას უფრო გაბედულად აჰყვა მეორე, შემდეგ მესამეც შეუერთდა და მალე შვიდივე კნუტი შვიდ ერთმანეთს შეწყობილ ვიოლინოსავით აკნავლდა. ფეხცანცარა ციცუნია კი მათ წასაქეზებლად უფრო უმატებდა ხმას.

— აბა, ახლა რაღას მეტყვით?

— მართლა ძალიან ტკბილი ყოფილა!

— უფრო ტკბილი, ვიდრე დაშაქრული რძეა!

— ჩემო ფეხცანცარა, — წამოიძახა რომოლეტამ, — აქედან დროზე გავაღწიოთ, თორემ ესენი დეიდა სარიყლაპიას გააღვიძებენ.

რომოლეტა და ფეხცანცარა ციცუნია ეზოში გაცვივდნენ.

დეიდა სარიყლაპიას გამოეღვიძა და სამზარეულოს კარი შემოაღო. გაისმა ჩამრთველის ხმა და სინათლის შუქზე გამოჩნდა მოხუცებულის სახე. მას სიხარულის ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა.

— ჩემო ციცუნიებო, ჩემო კარგებო, ძლივს ვეღირსე, ძლივს!

კნუტები ჯერ დაიბნენ. ისინი გაუთავებლად კნაოდნენ, თან შეჰყურებდნენ თავიანთ პატრონს და ვერ გაეგოთ, რას ნიშნავდა მისი თვალებიდან წამოსული

ნაკადულები. მერე კარებს ეცნენ, გარეთ გავარდნენ და მთელი ეზო კნავილით აიკლეს.

დეიდა სარიყლაპიამ ცრემლები შეიმშრალა და კნუტებს თვალი გააყოლა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — იმეორებდა ის. — თქვენ კი გენაცვალეთ, ჩემო კარგებო!

კნუტები კნავილით უპასუხებდნენ:

— მიაუ, მიაუ!

მაგრამ ამ უჩვეულო ამბავს ერთი ვინმე მალულად უთვალთვალებდა. ეს იყო სახლის პატრონი, ბატონი კალიმერი. კალიმერი ისეთი ძუნწი იყო, რომ მთელი სახლი გაქირავებული ჰქონდა, თვითონ კი სხვენზე ცხოვრობდა. თავისთვის ერთი პატარა ოთახიც არ ემეტებოდა. ეს საძაგელი კაცი სულ ჯაშუშივით დაძვრებოდ. დეიდა სარიყლაპიას კალიმერისაგან დიდი ხანია, აკრძალული ჰქონდა სახლში კატების ყოლა. მაგრამ დეიდა სარიყლაპია, რასაკვირველია, მის აკრძალვას არაფრად აგდებდა.

— მე ბინაში ფულს გიხდით! თანაც არც ისე ცოტას! — ეუბნებოდა ის კალიმერს. — ამიტომ ჩემი ნებაა, სახლში ვის ვიყოლიებ და ვის არა.

კალიმერი მთელ დღეს სხვენში იჯდა და სამერცხულიდან უთვალთვალებდა, ვინ რას აკეთებდა. იმ საღამოსაც სამერცხულთან იჯდა და თავისი თვალით დაინახა ყველაფერი. გაიგონა კატების კნავილი და დეიდა სარიყლაპიას ხმა, ყველას გასაგონად რომ აქეზებდა კნუტებს:

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო კარგებო!

— აჰა, ახლა ხომ ჩემს ხელში ხარ! — ხელების ფშვნეტით თქვა კალიმერმა. — მაშ ეს კუდიანი ბებერი უპატრონო ძაღლებს იმიტომ აგროვებს, რომ კნავილი ასწავლოს. მე შენ გაჩვენებ სეირს! ახლავე მივწერ მინისტრს.

მან ფანჯარა მიხურა, საწერ-კალამი და ქაღალდი მოიმარჯვა და დაწერა:

«ბატონო მინისტრო!

უჩვეულო ამბები ხდება. ამ ამბებს ჩვენი ქალაქის მცხოვრებნი ვერაფრით ვერ შეურიგდებიან. ქალბატონი დეიდა სარიყლაპია ასე და ასე იქცევა...

სიცრუის ერთგული დარაჯი».

კალიმერმა წერილი კონვერტში ჩადო და საფოსტო ყუთში ჩასაგდებად გაიქცა. ეს კიდევ არაფერი. სწორედ მაშინ, როცა წერილი ჩააგდო და უკან ბრუნდებოდა, რომოლეტა და ფეხცანცარა ციცუნია ქუჩაზე იდგნენ და ისეთ საქმეს აპირებდნენ, რაზედაც დეიდა სარიყლაპია ალბათ, ერთ ათ თავს მაინც წაუკითხავდა თავისი წიგნიდან.

თქვენ უკვე იცით, რომ ფეხცანცარა ციცუნია თათში ხანდახან რაღაც უცნაურ ქავილს გრძნობდა ხოლმე და ამ დროს არ შეეძლო თავის შეკავება, აუცილებლად რამე უნდა დაეწერა კედელზე. ახლაც მას თავისი სურვილი სისრულეში მოჰყავდა. რომოლეტა კი შურით უყურებდა, რადგან ჯიბეში ერთი ნატეხი ცარციც არ ეგდო. ვერც ერთმა ვერ შეამჩნია კალიმერი.

მაბეზღარამ შეასწრო თუ არა თვალი რომოლეტას და ციცუნიას, მაშინვე გაიფიქრა, აქ რაღაც საჩემო საქმე იქნებაო, ჭიშკარს ამოეფარა და იქიდან უთვალთვალებდა, თუ როგორ დაწერა ფეხცანცარა ციცუნიამ შემდეგი სიტყვები:

შავ დღეში ჩავარდება მეფე,

როცა კატები შეწყვეტენ ყეფას!

რომოლეტა და ფეხცანცარა ციცუნია ჯერ ისევ იმ ქუჩაზე ტრიალებდნენ, კალიმერი კი უკვე წერილს სწერდა მინისტრს:

«თქვენო მაღალკეთილშობილებავ! მაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ ჩვენი მეფის შეურაცხმყოფელი წარწერების ავტორებს დეიდა სარიყლაპიასთან იპოვით. ერთი მისი დისშვილი რომოლეტაა, მეორე კი ერთ-ერთი იმ ძაღლთაგანი, რომლებსაც დეიდა სარიყლაპია აგროვებს, რათა კნავილი ასწავლოს, თუმცა ამას კანონი სასტიკად კრძალავს. იმედი მაქვს, მომცემთ დაპირებულ ჯილდოს — ასი ათას ყალბ ტალერს.

კალიმერ თამასუქი».

ამ დროს ფეხცანცარა ციცუნიამ შეამჩნია, რომ მარჯვენა თათი რამდენიმე მილიმეტრით კიდევ დამოკლებოდა. შეწუხებული დაჰყურებდა თათს და ოხრავდა:

— რა ვქნა, რა ვიღონო, რა მოვიგონო ისეთი, რომ ვწერო და თათი კი არ წამეშალოს.

— მოიცადე, — შესძახა რომოლეტამ, — რა ჩერჩეტი ვარ, რატომ აქამდე ვერ მოვიფიქრე ერთ მხატვარს ვიცნობ, აქვე ახლოს ცხოვრობს. მისი ოთახი სხვენზეა, კარებს არასოდეს არ კეტავს, რადგან ცარიელ-ტარიელია და ქურდებისაც არ ეშინია. შეგიძლია მასთან მიხვიდე და საღებავი სთხოვო. შეიძლება მთელი კოლოფიც მოგცეს, წამოდი, გზას გასწავლი, მერე კი სახლში დავბრუნდები, თორემ დეიდა ალბათ უკვე წუხს, აქამდე სად არისო.

მხატვრის ფუნჯზე ხელს იღებს
ბანანიტო მხატვარი,
საკუთარი ნახატები
დანით დაჭრას — მზად არი.

თავი მერვე

იმ საღამოს მხატვარ ბანანიტოს თვალს რული არ ეკარებოდა. მარტოდმარტო იყო თავის სხვენში. ფეხი მოერთხა ტაბურეტზე, საკუთარ ნახატებს შეჰყურებდა და ნაღვლიანად ფიქრობდა: «არა, ტყუილად ვხარჯავ ამდენ ძალ-ღონეს, მაინც არაფერი გამოდის. ჩემს ნახატებს რაღაც აკლია. რომ ვიცოდე, რა აკლია, ნამდვილ შედევრებს შევქმნიდი, მაგრამ არ ვიცი და როგორ მოვიქცე?»

ამ დროს ფეხცანცარა ციცუნია მისი ფანჯრის რაფაზე შეხტა. ის სახლის სახურავზე აფოფხებულიყო. ეფიქრა, მასპინძელი ტყუილ-უბრალოდ რაზე შევაწუხო, სჯობია, ფანჯრიდან გადავძვრეო.

— ოჰო, ჯერ არ დაუძინია! — ჩუმად დაიკნავლა ციცუნიამ. — რას ვიზამ, აქ უნდა მოვიცადო. რად უნდა ვათქმევინო ვინმეს, უზრდელიაო. როცა ბანანიტო დაიძინებს, მაშინ ავიღებ ცოტაოდენ საღებავს. ის ვერც გაიგებს. მანამდე კი ნახატებს დავათვალიერებ.

მაგრამ როცა ნახატებს შეხედა, სახტად დარჩა.

«ჩემი აზრით, — გაიფიქრა მან, — ამ ნახატებში ყველაფერი გაზვიადებულია. ეს ნაკლი რომ არ ჰქონდეს, მაშინ კაცს კიდევ შეიძლებოდა შეეხედა. აბა, მაინც შევხედოთ! აჰა, ძალიან ბევრი ფეხი დაუხატავს. ამ ცხენს, მაგალითად, ცამეტამდე ფეხი აქვს, მე კი — მხოლოდ სამად-სამი თათი. აბა, ეს სამართალია? აუჰ! იმ კაცს რამდენი ცხვირი აქვს! ერთი... ორი... სამი... სამი ცხვირი! არა მშურს მაგ კაცისა. ვთქვათ, გაცივდა, მაშინ ხომ ერთდროულად სამი ცხვირსახოცი დასჭირდება. მოიცა, მხატვარი, მგონი, რაღაცას აპირებს...»

ბანანიტო მართლაც წამოდგა.

«მე მგონია, ამ ადგილას, მწვანე საღებავი აკლია... კი, კი, ნამდვილად მწვანე საღებავი აკლია», — გაიფიქრა მან.

აიღო მწვანე საღებავი, პალიტრაზე დაასხა და ყველა სურათი მწვანედ დათხაპნა. არ დატოვა არც ცხენის ფეხები, არც იმ უცნაური კაცის სამი ცხვირი და არც თვალები ვიღაც ქალბატონისა. ამ ქალბატონს ექვსი თვალი ჰქონდა — სამ-სამი თვალი ორივე მხარეს.

შემდეგ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და თვალები მოჭუტა, რათა უკეთ შეემოწმებინა თავისი ნახელავი.

— არა, არა, — ჩაილაპარაკა მან, — ამისი ბრალი არა ყოფილა. ნახატებს არაფერი ეშველა.

ბანანიტოს ხმა ფეხცანცარა ციცუნიამდე ვერ აღწევდა, მაგრამ დანახვით კი დაინახა, მხატვარმა მწუხარედ როგორ ჩაჰკიდა თავი.

«ძალიან გამწარებულია, — გაიფიქრა ციცუნიამ და ისევ ნახატებს შეაცქერდა. — ამ ექვსთვლიანი ქალბატონის ადგილას ყოფნას ნამდვილად არ ვისურვებდი. ერთიც ვნახოთ და თვალის სინათლე დააკლდა, მაშინ ხომ ექვსშუშიანი სათვალე უნდა იყიდოს! ექვსშუშიანი სათვალე კი, ვინ იცის, რა ძვირია».

ამასობაში ბანანიტომ სხვა საღებავი დაასხა პალიტრაზე და ისევ მოსდგა სურათებს. როგორც კალია ისე მიხტი-მოხტოდა სურათიდან სურათისკენ.

«ნამდვილად ყვითელი ფერი მოუხდება, — ფიქრობდა ის, — ეჭვიც არ მეპარება, რომ ახლა ყველაფერი რიგზე იქნება».

«რამ გადარია, ერბო-კვერცხს ხომ არ აკეთებს?» — ფიქრობდა ამ დროს ფეხცანცარა ციცუნია.

მაგრამ ბანანიტო უცებ შეჩერდა, იატაკზე დაყარა პალიტრა და ფუნჯი და ფეხით შესდგა, თან ორივე ხელით თმას იგლეჯდა.

«ეჰე... ეს თუ არ გაჩერდა, ჯაკომონ მეფესავით თავზე ერთი ღერი თმა აღარ შერჩება. რა ვქნა, როგორ დავამშვიდო? ვაითუ, გამინაწყენდეს? კატის რჩევისათვის ყური ვის უთხოვებია, რომ მაგან ათხოვოს? თუმცა, ეს არც ისე ადვილია. კატების ენა თითქმის არავინ იცის».

ბანანიტო ბოლოს, როგორც იქნა, მოეშვა თავის თმას.

— კმარა! — გადაწყვიტა მან. — ახლავე სამზარეულოდან დანას გამოვიტან და ამ ნახატებს სულ ნაკუწ-ნაკუწად ვაქცევ. ისე დავაქუცმაცებ, ქონვეთებად გამოდგეს, როგორც ჩანს, მხატვრობა ჩემი საქმე არ ყოფილა.

ბანანიტოს «სამზარეულო» სხვენის კუთხეში მიდგმული პატარა მაგიდა იყო. ზედ პრიმუსი, ერთი პატარა ქვაბი, ტაფა, ორიოდე კოვზი, დანა და ჩანგალი ეწყო. მაგიდა ფანჯარასთან იდგა და ფეხცანცარა ციცუნია იძულებული იყო, ყვავილის ქოთანს ამოჰფარებოდა, ბანანიტო მაინც ვერ დაინახავდა, რადგან თვალები კაკლის სიმსხო ცრემლებითა ჰქონდა სავსე.

«ნეტავ რას აპირებს? — ფიქრობდა ფეხცანცარა ციცუნია. — კოვზი აიღო... მოშივნია საწყალს. არა, კოვზი უკანვე დადო და დანას დასტაცა ხელი. ეს კი, ცოტა არ იყოს, არ მომწონს. ყელი ხომ არ უნდა გამოსჭრას ვინმეს, მაგალითად, თავის კრიტიკოსებს? თუმცა, მაგას უნდა უხაროდეს კიდეც, რომ ასეთი უხეირო ნახატები აქვს. როცა გამოფენაზე გაიტანს, ხალხი სიმართლის თქმას ვერ გაბედავს. ყველა იმას იტყვის, ეს ნახატები შედევრებიაო. გაგიხარიათ, ბანანიტო ბლომა ფულს დახვეტავს».

სანამ ფეხცანცარა ციცუნია ამ ფიქრებში იყო, ბანანიტომ სალესავი ამოიღო და დანის ლესვას შეუდგა.

— ისე უნდა გავლესო, ისე უნდა გავლესო, სამართებელზე უკეთ ჭრიდეს. დაე, კვალიც ნუ დარჩება ჩემი ნახატებისა.

«ალბათ ვიღაცის მოკვლას აპირებს და უნდა, რომ დარტყმა სასიკვდილო იყოს, — გაიფიქრა ციცუნიამ. — მოიცა, მოიცა... თავის მოკვლა ხომ არ უნდა? ეს კიდევ უარესი დანაშაული იქნება. არა, აუცილებლად რაღაც უნდა ვიღონო. ახლა წამის დაკარგვაც არ შეიძლება. თუ ერთხელ ბატებმა რომი იხსნეს, კოჭლ კატას აღარ შეუძლია, სასოწარკვეთილ მხატვარს უშველოს?»

ჩვენს პატარა გმირს ბევრი აღარ უფიქრია, შეუპოვარი კნავილით უშიშრად ისკუპა ოთახში და თავის სამ თათზე მოხერხებულად დახტა. იმავე წამს კარი კინაღამ შემოიმტვრა და სხვენში ქოშინით შემოვარდა გაოფლილი, მტვერსა და კირში ამოსვრილი... აბა, თუ გამოიცნობთ, ვინ?

— ჯელსომინო!

— ფეხცანცარა!

— ო, როგორ მიხარია, რომ კიდევ ვეღირსე შენს დანახვას!

— თვალებს არ ვუჯერებ, ნუთუ ეს შენა ხარ, ჩემო ფეხცანცარა?

— თუ არ გჯერა, დაითვალე, რამდენი თათი მაქვს.

გახარებული ჯელსომინო და ფეხცანცარა ციცუნია ერთმანეთს გადაეხვივნენ და დავლური ჩამოუარეს. გაოცებისაგან პირდაღებულ მხატვარს მომარჯვებული დანა ხელში შერჩა.

იმას, თუ რამ აიძულა ჩვენი ტენორი ამ სიმაღლეზე ასულიყო და მაინცადამაინც ამ დროს რატომ შემოაღო მაინცადამაინც ეს კარი, ყველაფერს დაწვრილებით მომდევნო თავში გიამბობთ.

ჯელსომინოს დირექტორი
დომისოლი ხვდება
და ჭაბუკი, როგორც იქნა,
მომღერალი ხდება.

თავი მეცხრე

ალბათ გახსოვთ, რომ ჯელსომინომ სარდაფის კუთხეში მიყრილ ქვანახშირზე დაიძინა. კაცმა რომ თქვას, ქვანახშირზე წოლა და ძილი არცთუ ისე მოსახერხებელია, მაგრამ ახალგაზრდობამ არჩევანში შესვლა მაინცდამაინც არ იცის. ამიტომ, თუმცა, ჯელსომინოს ქვანახშირის წვეტიანი ნამტვრევები ზურგში ესობოდა, მაინც ტკბილად ეძინა და სიზმრებსაც ხედავდა.

ბოლოს სიმღერაც წამოიწყო.

ძალიან ბევრს ძილში აბოდებს. ჯელსომინოს კი ძილში სიმღერა ჰქონდა აკვიატებული. მაგრამ როცა გაეღვიძებოდა, აღარაფერი ახსოვდა. ვინ იცის, იქნებ

თავისი ხმა ოინსაც უწყობდა — იქნებ იმაზე გაჯავრებული, რომ ჯელსომინო დღისით აიძულებდა, ჩუმად ყოფილიყო, ღამით სამაგიეროს უხდიდა. შეიძლება, იხსომებდა კიდეც, რამდენჯერ ჩააჩუმა დღისით ჯელსომინომ და ცდილობდა, ვალში არ დარჩენოდა — ღამით აენაზღაურებინა.

ჯელსომინო ძილში ხმადაბლა მღეროდა, მაგრამ ეს სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ ნახევარი ქალაქი ლოგინიდან წამოეგდო.

ხალხი ფანჯრებდან იყურებოდა და ჯავრობდა:

— სად ჯანდაბაში დაიკარგნენ ღამის ყარაულები? ამისი ატანა ყოვლად შეუძლებელია, ნუთუ არავის შეუძლია, ამ ლოთს ხმა ჩააკმენდინოს?

ყარაულები დაფეთებულები აწყდებოდნენ აქეთ-იქით, მაგრამ უკაცრიელ ქუჩებში ვერავის პოულობდნენ.

გაეღვიძა თეატრის დირექტორსაც, რომელიც ქალაქის განაპირას ცხოვრობდა, ათი კილომეტრის მანძილზე იმ სარდაფიდან, სადაც ჯელსომინოს ეძინა.

— რა დიდებული ხმა აქვს! — შესძახა მან. — აი, ნამდვილი ტენორი! ნეტავი ვინ მღერის ასე საოცრად? ერთი ხელში ჩამაგდებინა და ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა! მაშინ გენახათ, როგორ მოაწყდებოდა ხალხი ჩემს თეატრს. ეს კაცი ნამდვილად მიხსნიდა გაჭირვებისაგან.

მართლაც, უნდა იცოდეთ, რომ ამ ქალაქში თეატრი დიდ გასაჭირში იყო ჩავარდნილი. უფრო სწორად რომ ვთქვათ, დაღუპვა კარზე ჰქონდა მომდგარი. ცრუთა ქვეყანაში მომღერლები თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ, მაგრამ ისინიც ცდილობდნენ, რაც შეიძლება, ცუდად ემღერათ. აი რატომ: როცა ისინი კარგად მღეროდნენ, ხალხი უყვიროდა: «მორჩი ყეფას, ძაღლო!» როცა ცუდად მღეროდნენ, მაშინ კი დარბაზში გაისმოდა გაუთავებელი «ბრავო! ბრავისიმო! ბის!» მომღერლებსაც, რასაკვირველია, ერჩიათ, რომ მათთვის «ბრავო» დაეძახათ და ცუდად მღეროდნენ.

დირექტორმა სასწრაფოდ ჩაიცვა, ქუჩაში გამოვიდა და ქალაქის ცენტრისაკენ გაემართა. მისი აზრით ხმა იქიდან მოისმოდა. აღარ დავიწყებ მოყოლას, რამდენჯერ მოეჩვენა, რომ კვალს მიაგნო.

— ნამდვილად, აი, ამ სახლშია, — ამბობდა მალიმალ, — ეჭვი არ არის, ხმა ზედა სართულის ფანჯრიდან გამოდის.

ორი საათის შემდეგ, როცა დაღლილ-დაქანცული, მუხლებმოკვეთილი თეატრის დირექტორი უკვე მზად იყო, ძებნისათვის თავი გაენებებინა, როგორც იქნა, მიადგა სარდაფს, სადაც ჯელსომინოს ეძინა. წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როცა ასანთს გაჰკრა და მკრთალ შუქზე დაინახა, რომ ეს არაჩვეულებრივი ხმა ქვანახშირის გროვაზე მძინარე ყმაწვილს ეკუთვნოდა.

— თუ ძილში ასე კარგად მღერის, სინამდვილეში როგორღა იმღერებს! — თქვა თეატრის დირექტორმა და ხელები მოიფშვნიტა. — ეს ბიჭი ნამდვილი საუნჯეა, თვითონ კი ალბათ წარმოდგენაც არა აქვს. ეს საუნჯე მე ვიპოვე და მე უნდა გამამდიდროს.

მან გააღვიძა ჯელსომინო და თავი გააცნო:

— მე ვარ მაესტრო დომისოლი. შენს მოსაძებნად ათი კილომეტრი ფეხით გამოვიარე. შენ აუცილებლად ხვალ საღამოსვე უნდა იმღერო ჩემს თეატრში. ახლა კი ადექი და უკან გამომყევი. წავიდეთ ჩემთან და იქ შევამოწმოთ შენი სიმღერა.

ჯელსომინო უარობდა, ეუბნებოდა, თავი გამანებე, საშინლად მეძინებაო, მაგრამ დომისოლი მაშინვე შეჰპირდა, ყველაზე საუკეთესო ორადგილიან საწოლს შენ

დაგითმობო. მაშინ ჯელსომინომ უთხრა, მუსიკა არასოდეს არ მისწავლიაო. დომისოლი კი ეფიცებოდა, როცა კაცს ასეთი ხმა აქვს, ნოტების ცოდნა რაღად უნდაო.

ჯელსომინოს ხმას არ უნდოდა, ხელიდან გაეშვა ასეთი შემთხვევა. «გაბედე, — აქეზებდა თავის პატრონს. — შენ არ იყავ, მომღერლად გახდომას რომ ნატრობდი? დათანხმდი, შეიძლება აქედან დაიწყოს შენი ბედნიერება».

მაესტრო დომისოლმა ბოლომ მოუღო ამ პაექრობას, სტაცა მკლავში ხელი ჯელსომინოს და ძალით გაიყოლა უკან. სახლში მივიდნენ თუ არა, მაშინვე პიანინოს მიუჯდა, აიღო აკორდი და ჯელსომინოს უბრძანა:

— აბა, დაიწყე!

— იქნებ სჯობდა, ფანჯრები გაგვეღო? — მორიდებით შეეკითხა ჯელსომინო.

— არა, არა, არ მინდა მეზობლები შევაწუხო.

— რა ვიმღერო?

— იმღერე, რაც გინდა, თუნდაც შენი სოფლელების რომელიმე სიმღერა.

ჯელსომინომაც დაიწყო ერთი სიმღერა, რომელსაც მისი სოფლელები მღეროდნენ ხოლმე. ცდილობდა არ აეწია, თან თვალს არ აცილებდა ფანჯრის მინებს, რომლებიც საშინლად ზრიალებდნენ და წუთიწუთზე ჩამომსხვრევას აპირებდნენ.

თუმცა ფანჯრის მინები გადარჩა, მაგრამ, სამაგიეროდ, მეორე ტაეპის დასაწყისში ჭაღი ჩამოიმსხვრა და ოთახში ჩამობნელდა.

— შესანიშნავია! — დაიყვირა მაესტრო დომისოლმა და სანთელი აანთო. — დიდებულია! გადასარევია! ამ ოცდაათ წელიწადში, ვინ იცის, რამდენ ტენორს უმღერია ამ ოთახში, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეძლო ყავის სერვიზის თუნდაც ერთი ფინჯნის გატეხვაც კი.

მესამე ტაეპის ბოლოს მოხდა ის, რისაც ჯელსომინოს ეშინოდა — ფანჯრის მინები ლაწალუწით ჩამოცვივდა დაბლა. მაესტრო დომისოლმა პიანინოს თავი ანება და ჯელსომინოს გადაეხვია.

— ჩემო ბიჭიკო! — ყვიროდა, ტიროდა აღტაცებული დომისოლი. — აი საბუთი, რომ მე არ ვცდებოდი! შენ იქნები ყველა დროის უდიდესი მომღერალი. თაყვანისმცემლები შენს ავტომობილს ბორბლებს მოაძრობენ, შენ კი ხელით გატარებენ.

— მე ავტომობილი არა მაქვს, — ჩაილაპარაკა ჯელსომინომ.

— რამდენიც გინდა, იმდენი ავტომობილი გექნება. თუ მოისურვებ, ყოველდღე გამოიცვლი ავტომობილს. ღმერთს მადლობა შესწირე, რომ მაესტრო დომისოლს შეხვდი. ახლა კი ერთი სიმღერა კიდევ მიმღერე. ჯელსომინოს, ცოტა არ იყოს, გული აუტოკდა. აბა რა იქნებოდა — მის სიცოცხლეში პირველად შეუქეს სიმღერა. პატივმოყვარე არ იყო, მაგრამ, ხომ იცით, ქება ყველას ესიამოვნება. მან ხალისით დაიწყო მეორე სიმღერა. ახლა კი თავს ისე აღარ იკავებდა. მხოლოდ ერთი თუ ორი მაღალი ნოტი აიღო, მაგრამ ესეც საკმარისი იყო, რომ ერთი ალიაქოთი ატეხილიყო.

მეზობელ სახლებში ერთი-მეორეზე იმსხვრეოდა მინები, დამსხვრეული ფანჯრებიდან თავს ჰყოფდა შეშინებული ხალხი და გაჰყვიროდა:

— მიწა იძრა! გვიშველეთ! თავს უშველეთ!

ჰაერი გაკვეთა სახანძრო მანქანების კივილმა. მალე ქუჩები ხალხით გაივსო. ისინი ბარგი-ბარხანით დატვირთულ ორთვალებს მიაგორებდნენ ქალაქგარეთ. ზოგსაც ხელში მძინარე ბავშვი აეყვანა.

მაესტრო დომისოლი სიხარულისაგან გადაირია.

— განსაცვიფრებელია! ფენომენალურია! ჯერ არსად ნახულა! — მან თავიდან ფეხებამდე დაკოცნა ჯელსომინო, ყელზე თბილი შარფი მოახვია, ყელი არ

გაგიცივდესო, მერე კი სასადილო ოთახში გაიპატიჟა და ისეთი სადილით გაუმასპინძლდა, მეტს თუ არა, ათ უმუშევარს მაინც გააძღებდა.

— ჭამე, შვილო, ჭამე, — მალიმალ ეუბნებოდა მაესტრო დომისოლი. — აბა, ეს ქათმის ხორცი გადაიღე, მაღალ ნოტებს უკეთ აიღებ. ახლა ამ ცხვრის კანჭს მოჭიდე ხელი, თუ გინდა, რომ ხავერდოვანი დაბალი ნოტები გქონდეს. ჭამე! დღეიდან შენ ჩემი სტუმარი ხარ. ყველაზე უკეთეს ოთახს შენ დაგითმობ, კედელზე სულ ქეჩას ავაკვრევინებ და რამდენიც გინდა, იმღერე, გარეთ ერთიბეწვა ხმაც არ გამოვა.

ჯელსომინო კი თავს ვეღარ იკავებდა, უნდოდა ქუჩაში გავარდნილიყო და შეშინებული ხალხი დაემშვიდებინა, ან მეხანძრეებისთვის მაინც დაერეკა, რომ მათ ტყუილ-უბრალოდ არ ერბინათ ქალაქში. მაგრამ მაესტრო დომისოლმა გადაათქმევინა.

— მაგას ნუ იზამ, ჩემო ბიჭიკო, თორემ ყველა ჩამტვრეული ფანჯრის ანაზღაურება მოგიწევს. შენ კი ჯიბეში ჯერ ერთი გროშიც არ გიდევს. იმაზე აღარაფერს გეუბნები, რომ შეიძლება, დაგაპატიმრონ კიდეც. ჰოდა, ციხეში თუ ჩავარდი, მუსიკალური კარიერა შორს დაგრჩება.

— რა უნდა ვქნათ, ჩემმა ხმამ თეატრშიც ასეთი ამბავი რომ დაატრიალოს?

დომისოლს გაეცინა:

— თეატრები იმისთვის არის აშენებული, რომ იქ მომღერლებმა იმღერონ. თეატრი ძლიერ ხმას კი არა, ბომბის აფეთქებას გაუძლებს. ახლა წადი და დაიძინე, მე კი აფიშას მივხედავ. რაც შეიძლება მალე უნდა დავაბეჭდვინო.

დასჭექა გმირმა სცენაზე
თეატრი შეაზანზარა;
სიმღერამ უძლიერესმა
ყველა კედელი გაბზარა.

თავი მეათე

დილას ქუჩებში გამოსულ ხალხს აფიშები უკვე გაკრული დახვდა. აფიშები ასეთი შინაარსისა იყო: «ყველაზე უხეირო ტენორი, ძაღლთა შორის უკანასკნელი ძაღლი ჯელსომინო, რომელმაც მრავალი მარცხი განიცადა ევროპისა და ამერიკის უდიდეს თეატრებში, საიდაც მას სტვენითა და ყვირილით აცილებდნენ, ახლახან დაბრუნდა ჩვენს ქალაქში და დღეს დილით (არაზუსტად 48 საათზე) საქალაქო თეატრში არ იმღერებს.

ქალაქის მცხოვრებლებს ვთხოვთ, თეატრში ნუ მოვლენ.

ბილეთები რიგდება უფასოდ».

რასაკვირველია, ამ აფიშაში რაც ეწერა, ყველაფერი შებრუნებულად უნდა გავიგოთ და ქალაქის მცხოვრებლებს არ გაჭირვებიათ იმისი გაგება, რაც სინამდვილეში უნდა ყოფილიყო ნათქვამი. სიტყვა «მარცხი» ისე უნდა გაგვეგო, როგორც «წარმატება», ხოლო «დღეს დილით (არაზუსტად 48 საათზე) საქალაქო თეატრში არ იმღერებს», ნიშნავდა, რომ ჯელსომინო თეატრში იმღერებდა საღამოს, ზუსტად 9 საათზე.

სიმართლე რომ ვთქვათ, ჯელსომინოს მაინცადამაინც არ უნდოდა, აფიშაში წერებულიყო, რომ მან ევროპა და ამერიკა მოიარა.

— მე ამერიკა თვალითაც არ მინახავს, — პროტესტს აცხადებდა იგი.

— მერე, ვინ გედავება, — უთხრა მაესტრო დომისოლმა, — ეს ტყუილია, ესე იგი, ყველაფერი რიგზეა. ნამდვილად რომ შემოგევლო ევროპა და ამერიკა, მაშინ უნდა დაგეწერა, რომ გასტროლებზე აზიაში იყავი. ასეთია კანონი. დაივიწყე კანონები და იფიქრე მხოლოდ სიმღერაზე.

იმ დილით, როგორც ჩვენს მკითხველებს ახსოვთ, დიდი არეულობა მოხდა (მეფის სასახლის ფასადზე ნახეს ფეხცანცარა ციცუნიას განთქმული წარწერა). საღამოს ქალაქი ისევ დამშვიდდა. ისე რომ, ცხრა საათამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო დარჩენილი და თეატრი უკვე, როგორც შემდეგ გაზეთები წერდნენ, «უდაბნოსავით უკაცრიელი იყო». ამით იმის თქმა უნდოდათ, თეატრი ხალხს ისე გაეჭედა, ნემსი არ ჩავარდებოდაო.

თეატრში ყველა იმ იმედით მივიდა, რომ ნამდვილ მომღერალს მოუსმენდა. მაესტრო დომისოლმა ხალხის მისაზიდად ქალაქში დაუჯერებელი ხმები გაავრცელა ჯელსომინოზე. მის ცდას ამაოდ არ ჩაუვლია.

დომისოლის აგენტებმა მთელი ქალაქი მოირბინეს.

— წამოიღეთ რაც შეიძლება ბევრი ბამბა, — ეუბნებოდნენ ისინი ხალხს, — ყურებში დასაცობად დაგჭირდებათ. მთელ დედამიწის ზურგზე არ იქნება ასეთი უხეირო ტენორი. ისე გაგტანჯავთ, ჯოჯოხეთს მოგანატრებთ.

— აიღეთ ავი ცოფიანი ძაღლის კნავილი, ამას კუდზე ცეცხლმოკიდებული ასი კატის ყეფა მიუმატეთ, შეურიეთ სახანძრო მანქანის სირენის კივილი, კარგად შეანჯღრიეთ და შეიძლება ჯელსომინოს ხმის მსგავსი რაღაც მიიღოთ.

— მოკლედ რომ ვთქვათ, საფრთხობელა ყოფილა.

— ნამდვილი საფრთხობელაა! ნეტავი თეატრში ვინ უშვებს. ეგ გუბეში უნდა იჯდეს და ბაყაყივით ყიყინებდეს. წყლიდან თავის ამოყოფის ნება არ უნდა მისცე, წყალქვეშ კი რამდენიც უნდა, იმდენი იმღეროს, თუნდაც ცოფიან კატასავით დაიხრჩოს.

ეს ლაპარაკი, ისე როგორც ყველა სხვა ნაამბობი, ცრუთა ქვეყანაში უკუღმა ესმოდათ. ამიტომ თქვენთვის ნათელი უნდა იყოს, რატომაც გაივსო თეატრი კონცერტის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ისე, რომ ნემსის ჩასავარდნი ადგილი აღარსად იყო დარჩენილი.

ზუსტად ცხრა საათზე მეფის ლოჟაში გამოჩნდა მისი უდიდებულესობა ჯაკომონ პირველი, რომელსაც ოქროსფერი პარიკით შემკული თავი ამაყად აეწია. თეატრში მყოფნი ფეხზე ადგნენ, მეფეს მიესალმნენ და ისევ დასხდნენ. ყველა იმას ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია ჯაკომონის პარიკისთვის. ვერავინ ბედავდა, თუნდაც გადაკვრით ეთქვა რაიმე დილანდელ ამბავზე, რადგან იცოდნენ, რომ თეატრი სავსე იყო ჯაშუშებით. ისინი ყოველ წუთს მზად იყვნენ, დაუდევარი ხალხის ნალაპარაკევი თავიანთ უბის წიგნაკებში ჩაეწერათ.

დომისოლი მოუთმენლად ელოდა მეფის გამოჩენას და სამეფო ლოჟას ფარდის ჭუჭრუტანიდან უთვალთვალებდა. თვალი მოჰკრა თუ არა, ჯაკომონს, ჯელსომინოს ნიშანი მისცა, მოემზადეო, და თვითონ ორკესტრთან ჩავიდა. მან დირიჟორის წკეპლა აიქნია და დარბაზში გაისმა ნაციონალური ჰიმნის ხმები, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყებოდა:

დიდება, დიდება ჯაკომონს,
ვინც ბედნიერებას გვფენს!
და კიდევ დიდება ჯაკომონის

ხვეულს და ოქროსფერ თმებს!

რასაკვირველია, გაცინება ვერავინ გაბედა. ზოგიერთები ამტკიცებენ, ჯაკომონი ამ დროს ცოტათი გაწითლდაო. ძნელია ამისი დაჯერება, რადგან ჯაკომონი ცდილობდა, ახალგაზრდა გამოჩენილიყო და იმ საღამოსაც სახე კარგა მაგრა ჰქონდა გაპუდრული.

როგორც კი ჯელსომინო სცენაზე გამოჩნდა, მაშინვე, დომისოლის აგენტების ნიშანზე, დარბაზში სტვენა და ყვირილი გაისმა.

— ძირს ჯელსომინო!

— გაათრიეთ აქედან ეგ ქოფაკი!

— სჯობია, გუბე მონახო, შე ბაყაყის ნაშიერო!

ჯელსომინო მოთმინებით უგდებდა ყურს ამ ქება-დიდებას და უცდიდა, ხალხი როდის დაწყნარდებოდა. როცა დარბაზში სიწყნარე ჩამოვარდა, ჩაახველა და თავისი პროგრამის პირველი სიმღერა დაიწყო. ცდილობდა, რაც შეიძლება, ნაზად ემღერა. თან ტუჩებს ისე მაგრად კუმავდა, შორიდან მაყურებელს ეგონებოდა, პირს სულაც არ აღებსო. ჯელსომინო მღეროდა მშობლიური სოფლის სიმღერას. სიმღერა უბრალო იყო, სიტყვები — ცოტა სასაცილო, მაგრამ ჯელსომინო ისე გრძნობით მღეროდა, რომ მალე დარბაზში ცხვირსახოცები აშრიალდა. ხალხი ცრემლების შემშრალებას ვერ ასწრებდა. სიმღერა ძალიან მაღალ ნოტაზე მთავრდებოდა, მაგრამ ჯელსომინომ ხმა არა თუ აუწია, არამედ რაც კი ძალა შესწევდა, შეეცადა, ჩაეხშო. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, უცებ ქანდარაზე ლაწალუწი ატყდა. ჩაიმსხვრა თხელი მინის ათეული ნათურა, თუმცა ეს ხმაური საშინელმა სტვენის ქარიშხალმა დაფარა. დარბაზში მთელი ხალხი ერთი კაცივით დადგა ფეხზე და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გაჰკიოდა:

— გაეთრიე აქედან, შე ბაზრის მასხარავ!

— მოგვწყდი თავიდან, არა გვჭირდება შენი სიმღერა!

— შენი სერენადებით ვეშაპები გაართე!

მოკლედ, გაზეთებს სიმართლის დაწერის უფლება რომ ჰქონოდათ, აი, რას წავიკითხავდით: «მსმენელთა აღფრთოვანებას საზღვარი აღარა ჰქონდა».

ჯელსომინომ მოწიწებით დახარა თავი და მეორე სიმღერა დაიწყო. ახლა კი თავს ისე აღარ იკავებდა. სიმღერა მშვენიერი იყო და ჯელსომინოც გატაცებით მღეროდა. აღფრთოვანებული ხალხი სულგანაბული უსმენდა. ჯელსომინოს დაავიწყდა ჩვეული სიფრთხილე და ისეთი მაღალი ნოტა აიღო, რომ თეატრიდან ათი კილომეტრის დაშორებით მდგარი უბილეთო მსმენელებიც აღაფრთოვანა.

ჯელსომინო ელოდა აპლოდისმენტებს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სტვენისა და ლანძღვა-გინების ქარიშხალს. მაგრამ ამის ნაცვლად დარბაზში ხარხარმა იფეთქა. ჯელსომინო ადგილზე გაქვავდა. მაგრამ ხალხი ყურადღებასაც არ აქცევდა, ყველას ზურგი შეექცია მისთვის და ერთ ადგილს მისჩერებოდა. ჯელსომინომაც იქით გაიხედა და ისეთი რამ დაინახა, რომ ძარღვებში სისხლი გაეყინა და ხმა ჩაუწყდა. მეორე სიმღერის ხმებს პარტერს მაღლა ჩამოკიდებული მძიმე ჭაღი არ ჩაუმტვრევია. სამაგიეროდ, უარესი უბედურება დაატრიალა — ჯაკომონ მეფეს განთქმული ოქროსფერი პარიკი მოაძრო და თავი გაუშიშვლა. ჯაკომონი ნერვიულად უკაკუნებდა თითებს ლოჟის მოაჯირს და ცდილობდა, მიმხვდარიყო, ხალხი ასე რამ გაამხიარულა. საცოდავმა ვერაფერი შეამჩნია და სიმართლის თქმას კი ვერავინ უბედავდა. ყველას კარგად ახსოვდა, რა ბედიც ეწია კარისკაცს, რომელმაც დილას ნამეტანი გულმოდგინება გამოიჩინა.

დარბაზისკენ ზურგშექცევით მდგარი დომისოლი ვერაფერს ხედავდა და ჯელსომინოს მესამე სიმღერის დაწყების ნიშანს აძლევდა.

«აუცილებელი არ არის მეც შევრცხვე, რახან ჯაკომონს თავი მოეჭრა. ამჯერად კი ნამდვილად ვიმღერებ», — გაიფიქრა ჯელსომინომ და მშვენიერი სიმღერა წამოიწყო. მღეროდა მთელი აღმაფრენით და მისმა მძლავრმა ხმამ პირველსავე ნოტაზე მთელი თეატრი შეაზანზარა. მალე თეატრმა ნგრევა დაიწყო. პირველად ჭაღი დაიმსხვრა, დაბლა ჩამოვარდა და ვინც თავს ვერ უშველა, ქვეშ მოიყოლა. შემდეგ სწორედ ის იარუსი ჩამოინგრა, სადაც სამეფო ლოჟა იყო მოთავსებული. ჯაკომონი ამ დროს უკვე წასული იყო თეატრიდან. მან, თავის ბედზე, სარკეში ჩაიხედა, უნდოდა შეემოწმებინა კიდევ ხომ არ სჭირდებოდა გაპუდრვა და კინაღამ გული გაუსკდა — თავზე პარიკი აღარ ჰქონდა. ამბობენ, რომ იმ საღამოსვე მეფის ბრძანებით ენა მოჰკვეთეს ყველა კარისკაცს, ვინც თეატრში ახლდა და არ უთხრა, რა უბედურებაც დაემართა.

ჯელსომინო კი ისევ მღეროდა. თავგზააბნეული ხალხი გასასვლელებს მიაწყდა. როცა უკანასკნელი იარუსი და ქანდარაც ჩამოინგრა, დარბაზში ჯელსომინოსა და დომისოლის გარდა აღარავინ იყო დარჩენილი. ჯელსომინოს დაავიწყდა, სად იყო, დაავიწყდა თავისი თავიც, მხოლოდ სიმღერაღა ახსოვდა, თვალები დაეხუჭა და საკუთარი ხმით ტკბებოდა. დომისოლს კი, მისდა სამწუხაროდ, თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი, ყველაფერს კარგად ხედავდა და გამწარებული თმებს იგლეჯდა.

— ღმერთო ჩემო, ჩემი თეატრი! დავიღუპე, მთლად დავიღუპე!

თეატრის წინ, მოედანზე თავმოყრილი ხალხი კი ყვიროდა:

— ბრავო! ბრავო!

მაგრამ ეს «ბრავო» ახლა სულ სხვანაირად ჟღერდა. ჯაკომონ მეფის მცველებმა ერთმანეთს გადახედეს და აჩურჩულდნენ:

— შენ უყურე! «ბრავოს» იმიტომ კი არ ყვირიან, რომ არ მოსწონთ ეს სიმღერა, არამედ კარგად რომ მღერის, იმიტომ.

ჯელსომინომ სიმღერა მაღალ ნოტაზე დაამთავრა, რამაც თეატრის ნანგრევები ერთმანეთში აურია და მტვრის კორიანტელი დააყენა. ჯელსომინომ მტვერში ძლივს გაარჩია, რომ დომისოლი მუქარით იქნევდა დირიჟორის წკეპლას, მერე აგურების გროვაზე ვაივაგლახით გადმოფორთხდა და მისკენ წამოვიდა.

«ჩემგან მომღერალი არ დადგა. სანამ დროა, საღსალამათმა მაინც გავაღწიო თავი», — გაიფიქრა სასოწარკვეთილმა ჯელსომინომ. როგორც იყო, გაძვრა განგრეულ კედელში და მოედანზე გავიდა. სახეზე ხელებაფარებული ხალხს შეერია, გაძვრა-გამოძვრა, გავიდა დაცარიელებულ ქუჩაზე და კისრისტეხით გაიქცა.

მაგრამ დომისოლი თვალს არ აცილებდა, ფეხდაფეხ მისდევდა და უყვიროდა:

— გაჩერდი, ვერსად გამექცევი, სულ ერთია, მაინც გაზღვევინებ!

ჯელსომინომ ჩიხში შეუხვია, პირველსავე კარში შევარდა, გულისხეთქებით აირბინა კიბეები, სხვენზე ავიდა და სწორედ იმ წუთას შევიდა ბანანიტოს სახელოსნოში, როცა ფეხცანცარა ციცუნია ფანჯრის რაფიდან იატაკზე ჩამოხტა.

საჭიროა ნიჭი
და სიმართლის ღაღადი,
რომ გაცოცხლდეს ნახატი!

თავი მეთერთმეტე

ბანანიტო გაოგნებული იდგა და უსმენდა ჯელსომინოსა და ფეხცანცარა ციცუნიას, რომლებიც ერთმანეთს აღარ აცდიდნენ თავიანთი თავგადასავლის მოყოლას. მას დანა ისევ ისე ეჭირა ხელში, მაგრამ აღარ ახსოვდა, რისთვის აიღო.

— დანა რისთვის აიღეთ? რას აპირებდით? — ჰკითხა შეშფოთებულმა ფეხცანცარა ციცუნიამ.

— ახლა მეც სწორედ მაგას ვფიქრობდი, — უპასუხა ბანანიტომ.

მაგრამ თავის ოთახს თვალი მოავლო თუ არა, ისევ სასოწარკვეთილებამ მოიცვა. მისი ნახატები ისეთივე უხეირო იყო, როგორც ჩვენი წიგნის მეცხრე თავში.

— ბიჭოს, თქვენ მხატვარი ყოფილხართ! — პატივისცემით უთხრა ჯელსომინომ, რომელმაც ნახატები ახლაღა შენიშნა.

— აქამდე მეც ასე მეგონა, — სევდიანად ჩაილაპარაკა ბანანიტომ, — თავს მხატვრად ვთვლიდი. ახლა კი ისა სჯობს, ხელობა გამოვიცვალო, ისეთ საქმეს მოვკიდო ხელი, რომ საღებავებთან საერთო აღარაფერი მქონდეს. აი, თუნდაც მესაფლავე გავხდები, მაშინ მხოლოდ შავ ფერთან მექნება საქმე.

— სასაფლაოზე ყვავილებიც არის, — შენიშნა ჯელსომინომ. — დედამიწაზე ისეთი არაფერია, მხოლოდ და მხოლოდ შავი რომ იყოს.

— ნახშირი? — თქვა ციცუნიამ.

— აბა, ნახშირს ცეცხლი მოუკიდე, ნახე, როგორი ცისფერი, წითელი და თეთრი ალი ექნება!

— შავი მელანი? შავი მელანი მხოლოდ შავია და მეტი არაფერი.

— შავი მელნით შეიძლება დაიწეროს მხატვრული, საინტერესო მოთხრობები.

— გნებდები, — უთხრა ფეხცანცარა ციცუნიამ, — კიდევ კარგი, ერთ თათზე არ დაგნაძლევდი, თორემ ორი თათის ანაბარა დავრჩებოდი.

— ეჰ, როგორც იქნება, ვიშოვი რამე სამუშაოს, — ამოიოხრა ბანანიტომ.

ჯელსომინომ ნახატები დაათვალიერა და იმ კაცის პორტრეტის წინ შეჩერდა, თავისი სამი ცხვირით საგონებელში რომ ჩააგდო ჩვენი ციცუნია.

— ვინ არის ეს კაცი? — ჰკითხა ჯელსომინომ ბანანიტოს.

— ერთი წარჩინებული კარისკაცი.

— ნეტავი ამას! სამი ცხვირით სამჯერ ძლიერად იგრძნობს ყოველგვარ სურნელებას.

— ამ სურათის თაობაზე მთელი ამბავი გადამხდა. როცა ამ კაცმა პორტრეტი შემიკვეთა, დაჟინებით მომთხოვა, აუცილებლად სამი ცხვირი დამიხატეო. ჩვენ დიდხანს ვერ შევთანხმდით. მე მინდოდა, ერთი ცხვირი დამეხატა, როგორც წესი და რიგია. მერე ვუთხარ, რახან არ დაგიშლია, ორ ცხვირს დაგიხატავ-მეთქი. ვერაფრით ვერ გადავათქმევინე. სამ ცხვირს დამიხატავ, რა კარგი, არა და შენი დახატული პორტრეტი არ მინდაო. ჰოდა, თქვენი თვალით ხედავთ, რაც გამოვიდა — ჭირვეული ბავშვების დასაშინებელი საფრთხობელა.

— ეს ცხენი? — შეეკითხა ჯელსომინო. — ეს ცხენიც ხომ წარჩინებული არ არის?

— რა ცხენი? ეს ცხენი კი არა, ძროხაა.

ჯელსომინომ ქეჩო მოიქექა.

— შეიძლება ეს მართლაც ძროხაა და მე ცხენს ვამგვანებ. აი, ცამეტი ფეხის მაგივრად ოთხი ფეხი რომ ჰქონოდა, მაშინ შეიძლება, მართლა დამგვანებოდა ცხენს. რა ძალა გადგა, შე კაი კაცო, ცამეტი ფეხი სამი ცხენის დასახატად გეყოფოდა და ერთი ფეხი მეოთხე ცხენისთვისაც მოგრჩებოდა.

— ყველა მოწაფემ იცის, რომ ძროხას ცამეტი ფეხი აქვს, — შეედავა ბანანიტო.

ჯელსომინომ და ფეხცანცარა ციცუნიამ ამოიოხრეს და ერთმანეთს გადახედეს. მათ ერთი-მეორის თვალებში ერთი და იგივე აზრი ამოიკითხეს: ცრუპენტელა კატა რომ ყოფილიყო, მაშინ კნავილს ვასწავლიდით, მაგრამ ამ საცოდავს რა ვუშველოთო?

— მე მგონი, — თქვა ჯელსომინომ, — ნახატი მოიგებდა, რამდენიმე ფეხი რომ მოგეცილებინა.

— კიდევ რას ინებებთ! გინდათ, რომ მთელი ქვეყნის სასაცილო გავხდე და კრიტიკოსებმა ჩემი საგიჟეთში ჩასმა მოითხოვონ? ახლა კი გამახსენდა, რისთვის ავიღე დანა. მინდოდა, მთელი ჩემი ნახატები ნაკუწ-ნაკუწად მექცია. ბიჭი არ ვიყო, თუ სიტყვა არ შევასრულო.

მხატვარმა ისევ სტაცა ხელი დანას და განრისხებული გაემართა სურათისკენ, რომელზედაც უთავბოლოდ იყო მიყრილ-მოყრილი ძროხად წოდებული საცოდავი ცხენის ცამეტი ფეხი. ასწია კიდეც ხელი, მაგრამ შემდეგ ისევ შეჩერდა, თითქოს გადაიფიქრა.

— ეჰ, — ამოიოხრა მან, — ძნელია, საკუთარი ხელით მოსპო ამდენი ხნის ნაშრომი.

— შესანიშნავი აზრია, — თქვა ფეხცანცარა ციცუნიამ, — როცა უბის წიგნაკი მექნება, აუცილებლად ჩავიწერ, რომ არ დამავიწყდეს. ერთი ეს მითხარით, სანამ მაგ სურათს დაჭრიდეთ, რა იქნება. ჯელსომინოს რჩევას ყური ათხოვოთ?

— ეს კი შეიძლება! — დაეთანხმა ბანანიტო. — რას ვკარგავ, სურათის დაჭრას ყოველთვის მოვასწრებ.

მან მოხერხებულად აამუშავა დანა და სულ ცოტა ხანში ხუთი ფეხი ჩამოფხიკა.

— რა შედარებაა! ახლა გაცილებით უკეთესია! — აქებდა ჯელსომინო.

— ცამეტს მინუს ხუთი, იქნება რვა, — თქვა ფეხცანცარა ციცუნიამ. — ორი ცხენი რომ ყოფილიყო დახატული, სწორედ საკმარისი იქნებოდა. ბოდიში, მინდოდა მეთქვა, ორი ძროხა-მეთქი.

— რა ვქნა, კიდევ მოვშალო ერთი-ორი ფეხი? — იკითხა ბანანიტომ. პასუხს აღარ მოუცადა და ორი ფეხი კიდევ ჩამოფხიკა.

— მიდი... მიდი... — ცეცხლს უკიდებდა ფეხცანცარა ციცუნია, — ცოტაც და ჩვენი მიზანი მიღწეული იქნება.

— ახლა რაღა ვქნა?

— მხოლოდ ოთხი ფეხი დაუტოვე. ვნახოთ, რა გამოვა.

როცა ბანანიტომ ორი ფეხიც ჩამოფხიკა, ცხენმა მხიარულად დაიჭიხვინა, სურათიდან იატაკზე ჩამოხტა და ოთახში მსუბუქად გაირბინა.

— ო, რა კარგია! ახლა თავს გაცილებით კარგად ვგრძნობ. იქ, ნახატზე, ძალიან ვიწროდ ვიყავი.

როცა კედელზე ჩამოკიდებული პატარა სარკის წინ გაიარა, შეჩერდა, თავისი გამოსახულება თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა და სიამოვნებით ჩაიხვიხვინა:

— რა მშვენიერი ცხენია! მე მართლაც საოცრად მშვენიერი ცხენი ვარ! ბატონებო, არ ვიცი, რით გადაგიხადოთ მადლობა. თუ ოდესმე ჩვენს მხარეში მოგიხდებათ ყოფნა, იმდენი მაჭენეთ, რამდენსაც მოისურვებთ.

— რომელ მხარეში? ე-ე... შეჩერდი, სად გარბიხარ! — დაიყვირა ბანანიტომ.

მაგრამ ცხენმა უკვე გაასწრო კარებში და ახლა მისი ფლოქვების თქარათქური კიბეებიდან ისმოდა. მან სწრაფად ჩაათავა ყველა სართული. ჩვენი მეგობრები

ფანჯარას ეცნენ და დაინახეს, რა ამაყად გადაჭრა ცხენმა ქუჩა და ქალაქგარეთ გაემართა.

ბანანიტოს აღელვებისაგან სახე თონესავით უხურდა.

— ერთი უყურე, მართლა ცხენი ყოფილა! — თქვა მან, როცა გონს მოეგო. — როგორ არ უნდა დავიჯერო, როცა თვითონ თქვა, ცხენი ვარო. სკოლაში კი, როცა სურათებს გვაჩვენებდნენ, სულ იმას ჩაგვჩიჩინებდნენ, ძ... ძ... ძროხააო.

— აბა, ახლა აქეთ! — კნაოდა ფეხცანცარა ციცუნია, რომლის ენთუზიაზმს საზღვარი აღარა ჰქონდა. — მოდით, ახლა მეორე ნახატს მივხედოთ.

ბანანიტო მრავალკუზიანი აქლემისაკენ გაემართა. აქლემს იმდენი კუზი ჰქონდა, გეგონებოდათ უდაბნოში ქვიშის ბარქანებიაო. ბანანიტომ იქამდე ფხიკა კუზები, სანამ ორი კუზიღა არ დარჩა.

— არა უშავს, — ამბობდა ის და თან გამალებით მუშაობდა, — არც ეს ნახატი გამოდის ურიგო. როგორ ფიქრობთ, ესეც გაცოცხლდება?

— თუ ლამაზი იქნება, აუცილებლად გაცოცხლდება, — უთხრა ჯელსომინომ.

მაგრამ აქლემი არ გაცოცხლებულა, ისე დინჯად, გულგრილად იყურებოდა ტილოდან, თითქოს არაფერი მომხდარაო.

— კუდები! — დაიყვირა უცებ ფეხცანცარა ციცუნიამ. — აქლემს სამი კუდი აქვს! სამი კუდი აქლემების მთელ ოჯახს ეყოფა.

როცა ზედმეტი კუდებიც გაქრა, აქლემი დიდებული რხევით ჩამოვიდა ტილოდან, შვებით ამოისუნთქა და მადლობით სავსე თვალები ფეხცანცარა ციცუნიას მიაპყრო.

— კიდევ კარგი, კუდები გაგახსენდა, თორემ სამუდამოდ ამ სხვენში დავრჩებოდი. ხომ ვერ მეტყვით, სად არის აქ ახლომახლო უდაბნო?

— ერთი ქალაქის ცენტრშია, — უთხრა ბანანიტომ, — ცენტრალური უდაბნო, მაგრამ ახლა დაკეტილი იქნება.

— ეგ ცენტრალურ პარკზე გელაპარაკება, — აუხსნა აქლემს ფეხცანცარა ციცუნიამ. — ნამდვილ უდაბნოს კი ორ-სამ ათას კილომეტრზე ახლოს ვერ ნახავ. ფრთხილად იყავი, პოლიციამ არ შეგნიშნოს, თორემ ზოოპარკი არ აგცდება.

წასვლამდე აქლემმაც ჩაიხედა სარკეში და მასაც თავი ძალიან მოეწონა. მალე მანაც მსუბუქად გადაირბინა ქუჩა. ღამის ყარაულმა დაინახა აქლემი, მაგრამ თვალებს არ დაუჯერა, ეგონა, სიზმარში ვხედავო და ერთი-ორჯერ იჩქმიტა, ეგება გამოვფხიზლდეო.

— ნამდვილად ვბერდები, — ჩაილაპარა მან, როცა აქლემი ქუჩის კუთხეს მიეფარა. — ახლა მორიგეობის დროსაც კი ჩამთვლემს ხოლმე და მესიზმრება, რომ აფრიკაში ვარ. ფხიზლად უნდა ვიყო, თორემ გამაგდებენ სამსახურიდან.

ბანანიტოს კი ახლა ვეღარაფერი შეაჩერებდა. მას აღარც სიკვდილისა ეშინოდა და აღარც ანონიმური წერილებისა. ერთიმეორეზე ფხეკდა ნახატებს და გახარებული ყვიროდა:

— აი, ნამდვილი ქირურგია. რაც მე ათ წუთში ოპერაცია გავაკეთე, იმდენს საავადმყოფოში პროფესორები ათ დღეში ვერ გააკეთებენ.

ბანანიტოს დანა სპობდა სიცრუეს, რომლითაც აქამდე სავსე იყო მისი ნახატები. მათში მხოლოდ სიმართლე და სიმშვენიერ რჩებოდა და ისინი ცოცხლდებოდნენ. ძაღლები, ცხვრები, თხები ტილოებიდან გადმოდიოდნენ და სახეტიალოდ, ქვეყნად ბედნიერების საძებნელად მიდიოდნენ. თუ კატები იყვნენ, მხოლოდ თაგვების ძებნით კმაყოფილდებოდნენ. ბანანიტომ მხოლოდ ერთი ნახატი დაჭრა. ეს პორტრეტი იმ კარისკაცისა იყო, ვისაც სურდა, სამი ცხვირი ჰქონოდა.

კარისკაცს მარტო ერთი ცხვირიღა რომ დარჩენოდა, ალბათ ტილოდან გადმოვიდოდა და შავ დღეს დააყრიდა მხატვარს, ჩემი ბრძანება რატომ არაფრად ჩააგდეო. პორტრეტის დაჭრაში და ქონვეთების გაკეთებაში ბანანიტოს ჯელსომინოც დაეხმარა.

ფეხცანცარა ციცუნიამ კი ამ დროს მთელი ოთახი გადააქოთა, რაღაცას ეძებდა, მაგრამ, ეტყობა, ვერ პოულობდა და ვერ იყო გუნებაზე.

— ცხენები, აქლემები, კარისკაცები იმდენია, რამდენსაც მოისურვებ, ყველის ნამცეცი კი არსად არის. ეტყობა, ამ სხვენს თაგვებიც კი ერიდებიან. აბა ერთი მითხარით, ვის რაში ეპიტნავება სიღარიბე. შიმშილი საწამლავზე უარესია.

ციცუნიამ ოთახის კუთხეში ერთი დამტვერილი ნახატი გამოქექა. ნახატის მეორე მხარეს ორმოცფეხა მოკალათებულიყო, როცა მოახლოვებული საფრთხე იგრძნო, ორმოცივე ფეხი აამუშავა და მოუსვა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა. ორმოცფეხას მართლაც ორმოცი ფეხი ჰქონდა. ასე რომ ბანანიტოს სათვალავი თუ შეეშლებოდა, ვერავინ ვერ შენიშნავდა. ნახატზე რაც იყო გამოსახული, მდიდარი ფანტაზიის კაცს შეიძლება გაშლილი სურისთვის მიემგვანებინა. მაგალითად, ლანგარზე იდო რაღაც საშინელი არსება, რომელიც შეიძლება შემწვარ ქათმად ჩაგეთვალათ, მხოლოდ ორი ფეხი რომ ჰქონოდა. მაგრამ ამ არსებას იმდენი ფეხი ება, ორმოცფეხათა ოჯახის წარმომადგენელი გეგონებოდათ.

«ამ ნახატზე კი უარს არ ვიტყოდი, სინამდვილეშიც რომ ასეთი იყოს, — გაიფიქრა ფეხცანცარა ციცუნიამ. — რა კარგი იქნებოდა, ქათამს მართლა ოცი ფეხი ჰქონდეს. რამხელა შეღავათი იქნებოდა, დიასახლისისათვის, სამიკიტნოს პატრონისათვის, ან მშიერი კატისათვის. ახლა მეტი წილი ფეხებისა უნდა მოსცილდეს. მაგრამ არა უშავს, იმდენი მაინც დარჩება, სამივე დაგვანაყრო».

ციცუნიამ სურათი ბანანიტოს მოუტანა და სთხოვა, დანა აემუშავებინა.

— ეგ ქათამი შემწვარია, — ჩაიქნია ხელი ბანანიტომ, — რაც არ უნდა ვეცადოთ, მაინც ვერ გავაცოცხლებთ.

— ჩვენც სწორედ ცოცხალი კი არა, შემწვარი გვინდა, — უპასუხა ფეხცანცარა ციცუნიამ.

ამაზე ჩვენმა მხატვარმა ვეღარაფერი უთხრა. თანაც გაახსენდა, რომ ორ დღეს არაფერი ეჭამა. ისე იყო გართული თავისი ნახატებით, ჭამა არც გახსენებია.

ქათამი არ გაცოცხლებულა, მაგრამ ტილოდან ორთქლში გახვეული გადმოვიდა და ისეთი სურნელება დააყენა, გეგონებოდათ, კეციდან ახლა აუღიათო.

— როგორც მხატვარს, შენ ნამდვილად დიდი მომავალი გექნება, — უთხრა ციცუნიამ ბანანიტოს, თან ქათმის ფრთას მადიანად გაჰკრა კბილი (ბარკლები ჯელსომინოს და ბანანიტოს დაუტოვა), — მაგრამ როგორც მზარეულმა, უკვე ყველა რეკორდი მოხსენი.

— ღვინოც რომ გვქონდეს, რა კარგი იქნებოდა, — თქვა ჯელსომინომ. როცა სუფრას მიუჯდა, — მაგრამ ახლა არც ერთი მაღაზია ღია არ იქნება. თუმცა რა, ჩვენთვის სულ ერთი არ არის, მაღაზიები ღია იქნება თუ დაკეტილი? ფული მაინც არა გვაქვს.

ამ დროს ფეხცანცარა ციცუნიას მშვენიერი აზრი მოუვიდა თავში და ბანანიტოს მიუბრუნდა:

— ვითომ რა იქნებოდა, ერთი ხელადა, ან თუნდაც ერთი ბოთლი ღვინო რომ დაგეხატა?

— ვეცდები, — უპასუხა აღგზნებულმა მხატვარმა.

მან დახატა ერთი ბოთლი «კიანტი» და როცა ფერიც მისცა, საუცხოო ღვინის შადრევანმა პირდაპირ ტილოდან გადმოხეთქა. ჯელსომინომ დროზე მიაშველა ხელი, თორემ მთელი ღვინო იატაკზე დაიქცეოდა.

სამმა მეგობარმა დალია მხატვრების, მომღერლებისა და კატების სადღეგრძელო. მაგრამ უკანასკნელ სადღეგრძელოზე ფეხცანცარა ციცუნიამ რატომღაც მოიწყინა.

მეგობრებს დიდი ხვეწნა-მუდარა დასჭირდათ, სანამ ათქმევინებდნენ, რა აწუხებდა.

— მე ხომ ნამდვილი კატა არა ვარ, — როგორც იყო, ამოიღო ხმა ციცუნიამ, — ისევე, როგორც არ არიან ნამდვილი ის ცხოველები, რომლებიც ამ ნახევარი საათის წინ ნახატები იყვნენ. მე მხოლოდ სამი თათი მაქვს და ვერც ვიტყვი, რომ მეოთხე თათი ბრძოლაში დავკარგე, ან ტრამვაიმ გადამაჭრა. ეს სიცრუე იქნება. აი, ბანანიტოს რომ...

მეტის თქმა საჭირო აღარ იყო. მხატვარმა მაშინვე აიღო ფუნჯი და თვალის დახამხამებაში დახატა კატის თათი. თათი ისეთი მშვენიერი იყო, თვით ჩექმებიანი კატაც კი არ დაიწუნებდა. მაგრამ უფრო საინტერესო ისაა, რომ თათმა მაშინვე მონახა თავისი ადგილი და კოხტად მოერგო. ფეხცანცარა ციცუნიამ ჯერ გაუბედავად გადადგა ნაბიჯი, მერე კი მუხლი გამართა და თამამად გაიარ-გამოიარა ოთახში.

— ო, რა კარგია! — კნაოდა ციცუნია. — ასე მგონია, ახლა სულ სხვა ვარ, ისე შევიცვალე, სახელსაც რომ შევიცვლიდე, ურიგო არ იქნებოდა.

— ასე რამ გამომაჩერჩეტა! — წამოიძახა ბანანიტომ და თავში ხელი შემოიკრა. — შენ თათები ცარცით გქონდა დახატული, მე კი მეოთხე თათი ზეთის საღებავით დაგიხატე.

— არა უშავს, — ანუგეშა ფეხცანცარა ციცუნიამ, — მე ამითაც კმაყოფილი ვარ და ვაი იმას, ვინც გაბედავს, ჩემს თათს ახლოს მიეკაროს. სახელის შეცვლაც გადავიფიქრე. კარგად თუ დავუფიქრდებით, ეს სახელი ნამდვილად შემეფერება. მე ხომ მარჯვენა წინა თათი კედელზე წერისაგან ნახევარი სანტიმეტრით მაინც შემიმოკლდა.

იმ ღამით ბანანიტომ თავისი საწოლი ჯელსომინოს დაუთმო. ჯელსომინო უარზე იყო, მაგრამ ბანანიტომ მაინც თავისი გაიტანა, ჯელსომინო საწოლზე დააწვინა, ხოლო თვითონ ძველი ტილოების გროვაზე მიწვა და მიიძინა. ფეხცანცარა ციცუნიამ კი იქვე, კართან ჩამოკიდებული პალტოს ჯიბეში მოიკალათა და ძილში ერთიმეორეზე უკეთესი სიზმრები ნახა.

«სამაგალითო მატყუარაა» —
გაზეთს სახელი ერქვა ასეთი;
გადაიკითხა ფეხცანცარა ციცუნიამ და
ნერვებაშლილი დარჩა გაზეთით.

თავი მეთორმეტე

ფუნჯით, ტილოთი და შთაგონებით შეიარაღებული ბანანიტო დილაადრიანად გამოვიდა სახლიდან. მას გული აღარ უთმენდა — როდის აჩვენებდა ხალხს თავის ოსტატობას. ჯელსომინოს ჯერ ისევ ეძინა და ბანანიტო ფეხცანცარა ციცუნიამ გააცილა, თან რამდენიმე სასარგებლო რჩევა მისცა.

— დახატე ყვავილები და გაყიდე. დარწმუნებული ვარ, სახლში დასტა-დასტა ყალბ ფულებს მოიტან, ურომლისოდაც ამ უცნაურ ქვეყანაში ცხოვრება შეუძლებელია. იცოდე, ისეთი ყვავილები დახატე, რომლებიც ამ თვეში არ ყვავიან, რადგან სეზონის ყვავილებს ხალხი მეყვავილესთანაც იყიდის. კიდევ ერთ რამეს გირჩევ: თუ არ გინდა, რომ ქალებს შიშისაგან გული გაუხეთქო, თაგვებს ნუ დახატავ. ამასაც მხოლოდ შენი გულისათვის გეუბნები, თორემ მე თაგვები ყველაფერს მირჩევნია.

— ბანანიტო თავის გზას დადგა. ფეხცანცარა ციცუნიამ კი გაზეთი იყიდა, იფიქრა, ჯელსომინოს ვასიამოვნებ, ნახავს, რას წერენ მისი კონცერტის შესახებო. გაზეთს ერქვა «სამაგალითო მატყუარა» და, რასაკვირველია, სავსე იყო ყალბი ცნობებით და უკუღმართად მოთხრობილი ამბებით.

«— აი, გაზეთის ერთი ცნობა, რომელსაც სათაურად ჰქონდა —

«მორბენალ პერსიკეტის დიდი გამარჯვება».

«გუშინ სამეფოს გარშემო ტომრით რბენის მეათე ეტაპზე გაიმარჯვა ცნობილმა ჩემპიონმა ფლავიო პერსიკეტიმ. ის ოცი წუთით ადრე მივიდა ფინიშთან, ვიდრე მეორე ადგილზე გამოსული რომელო ბარონი და ოცდაათი წუთით და თხუთმეტი წამით ადრე, ვიდრე მესამე ადგილზე გამოსული პიერო კლემენტინი. როცა ფინიშამდე სულ ცოტა მანძილიღა იყო დარჩენილი, გამარჯვებულზე ერთი საათით გვიან მოსულ მორბენალთა ჯგუფიდან წინ გაიჭრა პასკუალინო ბალზიმელი».

«კი, მაგრამ, აქ უცნაურს ვერაფერს ვხედავთ, — მეტყვით თქვენ, — ტომრით რბენა ისეთივე სპორტული შეჯიბრებაა, როგორიც სხვა. ამ შეჯიბრების ყურება უფრო საინტერესოა, ვიდრე მოციციკლისტთა შეჯიბრება, ანდა ავტორბოლის ყურება». გეთანხმებით, მაგრამ გაზეთ «სამაგალითო მატყუარას» მკვითხველებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ არავითარი ტომრით რბენა არ ჩატარებულა და ფლავიო პერსიკეტის, რომელო ბარონის, პიერო კლემენტინის, პასკუალინო ბალზიმელის და მორბენალთა ჯგუფს აზრადაც არ მოსვლიათ როდისმე ტომარაში ჩაძრომა, სიზმარშიაც არ მოლანდებიათ ერთმანეთის გასწრება, ან წინ გაჭრა, როცა ფინიშამდე სულ ცოტა მანძილიღა იყო დარჩენილი.

სინამდვილეში კი, აი, რა იყო: გაზეთი ყოველწლიურად ატარებდა შეჯიბრებას ტომრით რბენაში რამდენიმე ეტაპად. ამ შეჯიბრებაში არასოდეს არავინ არ მონაწილეობდა. მხოლოდ ზოგიერთი პატივმოყვარე, იმის გულისთვის რომ მისი სახელი გაზეთში დაეწერათ, შეჯიბრებაში მონაწილეობის სანაცვლოდ ფულს იხდიდა. მათ ყოველდღე შეჰქონდათ ფული, ოღონდაც გამარჯვებულად გამოეცხადებინათ. ვინც მეტ ფულს შეიტანდა, გამარჯვებულიც ის იყო. გაზეთი სიტყვებს არ იშურებდა მათ სადიდებლად, «გმირი», უმაღლესი კლასის მორბენალი», — ასეთი სახელებით ნათლავდნენ გამარჯვებულს, გამარჯვება-დამარცხება უშუალოდ ფულის შეტანაზე იყო დამოკიდებული. იმ დღეებში, როცა ფული ცოტა მოგროვდებოდა, გაზეთი წერდა, რომ გუნდი გზაში თვლემდა, პირველი კლასის მორბენლებიც და რიგითი სპორტსმენებიც ცუღლუტობდნენ. სირცხვილი მათ, ხოლო ჩემპიონებს, პერსიკეტის და ბარონის, თუ მაყურებელს რამედ აგდებენ, ურჩევნიათ, შემდეგ ეტაპზე ცოტა თავი შეიწუხონო.

ბატონი პერსიკეტი საკონდიტრო ფაბრიკების მეპატრონე იყო და მას თავისი სახელის გაზეთში გამოქვეყნება ნამცხვრების რეკლამის მაგივრობას უწევდა. ის

ძალიან მდიდარი გახლდათ, ამიტომ თითქმის ყოველთვის ასწრებდა სხვებს და ფინიშთან პირველი მიდიოდა. ფინიშთან გამარჯებულს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, მის ქება-დიდებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ღამით კი თაყვანისმცემლები მის სახლთან მიდიოდნენ და სერენადებს უმღეროდნენ. ყოველ შემიხვევაში, გაზეთი ასე წერდა. მგონი, აღარაა საჭირო იმისი თქმა, რომ ხსენებულმა თაყვანისმცემლებმა სიმღერა კი არა, დოლის დაკვრაც არ იცოდნენ და თავიანთ ლოგინში გულიანად ხვრინავდნენ.

ფეხცანცარა ციცუნიამ იმავე გვერდზე მეორე სათაურიც შენიშნა:

«კორნელიუსის ქუჩაზე არავითარი კატასტროფა არ მომხდარა,
არც ხუთი კაცი მომკვდარა და არც ათი კაცი დასახიჩრებულა».

აი, რას ამბობდნენ წერილში: «გუშინ კორნელიუსის ქუჩის მეათე კილომეტრზე ერთიმეორის საწინააღმდეგო მიმართულებით დიდი სიჩქარით მიმავალი ორი მანქანა ერთმანეთს არ დაჯახებია. დაუჯახებლობისას არ დაღუპულა ხუთი კაცი (ჩამოთვლილი იყო გვარები). დანარჩენი ათი კაცი არ დასახიჩრებულა, ამიტომ სულაც არ იყო საჭირო მათი საავადმყოფოში წაყვანა (ჩამოთვლილი იყო გვარები)». სამწუხაროდ, ეს რაიმე აბდაუბდა კი არა, უკუღმართად დაწერილი ცნობა იყო და ზუსტად გადმოსცემდა იმის საწინააღმდეგოს, რაც სინამდვილეში მოხდა.

ასევე ჰყვებოდნენ ჯელსომინოს კონცერტის ამბავსაც. ცნობაში, მაგალითად, ნათქვამი იყო, რომ «ისე დაიწყო და დამთავრდა კონცერტი, სახელგანთქმულ ტენორს ხმაც არ ამოუღია». გაზეთი აქვეყნებდა თეატრის ნანგრევების ფოტოსურათსაც, სურათს ასეთი წარწერა ჰქონდა: «მკითხველს შეუძლია თავისი ყურებით დაინახოს, რომ თეატრს ნირიც არ შეუცვლია».

ჯელსომინომ და ფეხცანცარა ციცუნიამ «სამაგალითო მატყუარას» კითხვისას ძალიან ბევრი იცინეს. გაზეთს ლიტერატურული გვერდიც ჰქონდა, სადაც ასეთი ლექსი დაებეჭდათ:

ვერონელმა მზარეულმა
ერთხელ თურმე ყვანჩალას
საუბარი გაუმართა,
მასლაათი გაშალა:
«ოჰ, რა დიდებულია,
რა კარგი, და ტკბილი,
კენჭით გამოიტენო,
გამოივსო პირი,
ხოლო შემდეგ ჩაქუჩით
გაიწმინდო კბილი!»

— აქ არ ჩანს, რა უპასუხა ყვავმა, — შენიშნა ციცუნიამ, — მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მისი ჩხავილი აპენინიდან ანდამდე გაისმოდა.

ბოლო გვერდის უკანასკნელი სვეტის ბოლოში მოთავსებულ პატარა ცნობას კი ასეთი სათაური ჰქონდა: «უარყოფა». ჯელსომინომ წაიკითხა:

«გადაჭრით უარვყოფთ, რომ თითქოს დღეს, ღამის სამ საათზე, პოლიციამ ჭის შესახვევში დააპატიმრა ქალბატონი დეიდა სარიყლაპია და მისი დისწული

რომოლეტა. რასაკვირველია, ისინი დილის ხუთ საათზე არ ჩაუმწყვდევიათ საგიჟეთში, როგორც ამას ზოგიერთები ისურვებდნენ».

ხელმოწერა: « პ ო ლ ი ც ი ი ს უ ფ რ ო ს ი».

— მატყუარების უფროსი! — წამოიძახა ფეხცანცარა ციცუნიამ. — მაშასადამე, საცოდავები ნამდვილად გიჟებთან არიან ჩამწყვდეულები, მაშ, ჩემი ბრალი ყოფილა ყელაფერი.

— მოიცა, მოიცა, — შეაწყვეტინა ჯელსომინომ, — აქ კიდევ ერთი უარყოფაა. აბა, წაიკითხე!..

ეს «უარყოფა» კი უშუალოდ ჯელსომინოს ეხებოდა:

«არავითარი სიმართლე არ არის იმაში, რომ თითქოს პოლიცია ეძებს ცნობილ ტენორს ჯელსომინოს, ამისათვის პოლიციას არავითარი საფუძველი არა აქვს, რადგან ჯელსომინო სულაც არ არის მოვალე, ქალაქის თეატრს გადაუხადოს მის მიერ მიყენებული ზარალი. ამიტომ ვინც არ უნდა იცოდეს, სად იმალება ჯელსომინო, პოლიციას ტყუილად ნუ განუცხადებს, რადგან პანღურის მეტს ვერაფერს მიიღებს».

— ვერ არის საქმე კარგად, — შენიშნა ფეხცანცარა ციცუნიამ — სჯობია, შენ სახლიდან არ გახვიდე, მე კი წავალ, გავიგებ, რა არის ახალი.

ჯელსომინოს არაფრად ეპიტნავებოდა სახლში გულხელდაკრეფილი ჯდომა, მაგრამ ციცუნია მართალს ამბობდა და იძულებული გახდა, დათანხმებოდა. როცა ციცუნია წავიდა, ჯელსომინო საწოლზე წამოწვა, მოიკრიბა მთელი მოთმინება და მოემზადა იმისათვის რომ მთელი დღე უსაქმოდ გაეტარებინა.

კანონი აქვთ ცრუთა ქვეყანაში:
ვინც ვერ ცრუობს, იმას არ ახარებენ,
და მართალი სიტყვა ვისაც დასცდება,
საგიჟეთში უმალ გააქანებენ.

თავი მეცამეტე

ჩვენ დეიდა სარიყლაპია თავისი სახლის კართან დავტოვეთ მაშინ, როცა კნუტების კნავილით ტკბებოდა. ამ დროს ისეთი ბედნიერი იყო, როგორც იქნებოდა მუსიკოსი, მაგიდის უჯრაში უცაბედად რომ წაწყდომოდა ბეთჰოვენის გამოუქვეყნებელ სიმფონიას. რომოლეტას კი მაშინ დავემშვიდობეთ, როცა მან ფეხცანცარა ციცუნიას მხატვარ ბანანიტოს სხვენის გზა მიასწავლა და თვითონ სახლისაკენ მოჰკურცხლა. ცოტა ხნის შემდეგ კი დეიდა და დისწული უკვე ლოგინში იწვნენ, არხეინად ეძინათ და ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ კალიმერის წერილებმა მთელი საპოლიციო მანქანა აამუშავა, ღამის სამ საათზე ამ მანქანის რამდენიმე ხრახნი ჟანდარმთა ოცეულის სახით დეიდა სარიყლაპიას სახლს მიადგა. ისინი ყოველგვარი ბოდიშის გარეშე შეცვივდნენ სახლში, მოხუცი დეიდა და გოგონა აიძულეს, სახელდახელოდ ჩაეცვათ, და ციხეში მიიყვანეს.

ჟანდარმების უფროსმა პატიმრები ციხის უფროსს ჩააბარა და თვითონ დასაძინებლად წასვლას აპირებდა, მაგრამ დაავიწყდა, რომ მისი კოლეგა ფორმალისტი იყო.

— რა დააშავეს?

— დედაბერი ძაღლებს კნავილს ასწავლიდა. ეს გოგო კი კედელზე წერდა. ორივე საშიში დამნაშავეა, შენს ადგილას მაგათ დილეგში ჩავყრიდი და გაძლიერებულ დაცვას დავუყენებდი.

— შენი დარიგება არა მჭირდება, — ჩაიბურტყუნა ციხის უფროსმა, — ვნახოთ, თვითონ რას ამბობენ.

პირველად დეიდა სარიყლაპია დაკითხეს. დეიდა სარიყლაპია დაპატიმრებამ ვერ შეაშინა. ახლა, როცა კნუტებს კნავილის უნარი დაუბრუნდათ, მის ბედნიერებას ჩრდილს ვეღარაფერი მიაყენებდა.

— მე ძაღლები არა მყავს, მხოლოდ კატები მყავს.

— ოქმში გარკვევით წერია, ძაღლებიო.

— არა, კატები მყავს! თაგვიჭერია კატები!

— თაგვებს ხომ სწორედ ძაღლები იჭერენ.

— არა, ბატონო ჩემო. თაგვებსაც კატები იჭერენ და კნავილითაც კატები კნავიან. ჩემი კატებიც ისე ყეფდნენ, როგორც ჩვენი ქალაქის სხვა კატები, მაგრამ საბედნიეროდ, გუშინ საღამოს პირველად დაიკნავლეს.

— ეს ქალი ნამდვილად ჭკუაზეა შერყეული, — თქვა ციხის უფროსმა, — მისი ადგილი საგიჟეთშია. მოკლედ, გაგვაგებინებთ თუ არა, ქალბატონო, რას მიედ-მოედებით?

— მე მხოლოდ სიმართლეს ვლაპარაკობ.

— აჰა, ახლა ყველაფერი ნათელია! — წამოიძახა ციხის უფროსმა. — ეს ნამდვილად დასაბმელი გიჟია. მე არ შემიძლია მისი მიღება. ეს ციხე ნორმალური ადამიანებისთვისაა. გიჟები საგიჟეთში უნდა წაიყვანოთ.

ჟანდარმთა უფროსი მიხვდა, ნანატრ ძილს ვეღარ ვეღირსებიო და ერთი აურზაური ატეხა. მაგრამ ციხის უფროსმა მის ლაპარაკს ყური არ ათხოვა და დეიდა სარიყლაპიაც და მისი საქმეც ისევ უკან გადააბარა, მერე კი რომოლეტას დაკითხვას შეუდგა.

— შენ ააჭრელე კედლები წარწერებით?

— დიახ, სრული ჭეშმარიტებაა.

— ხომ ხედავთ? — მოთმინება დაკარგა ციხის უფროსმა. — ეს უარესი გადარეულია. ესეც საგიჟეთშია გასაგზავნი. წაიყვანე ეს გომბიო და მომწყდი თავიდან. გიჟებისათვის არა მცალია.

ჟანდარმების უფროსს სიბრაზისგან მიწისფერი დაედო, მაგრამ რას იზამდა, ორივე პატიმარი ისევ მანქანაში ჩასვა და საგიჟეთში მიიყვანა. იქ კი პატიმრები უდავიდარაბოდ მიიღეს და ერთ დიდ პალატაში შეყარეს. პალატა სავსე იყო გიჟებით, ესე იგი მართლისმთქმელებით, რომელთაც პოლიცია იჭერდა.

მაგრამ იმ ღამის ამბები ამით არ დამთავრებულა. ჟანდარმთა უფროსი, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა დაბრუნდა თავის კაბინეტში, მაგრამ იცით, იქ ვინ დაუხვდა? — კალიმერ თამასუქი. მას ქუდი ხელში ჩაემუჭა და უგვანოდ იღიმებოდა.

— ეს ვიღა მოთრეულა?

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, — ენა დაება კალიმერს, ოთხად მოიკაკვა და მლიქვნელურად გაიღიმა. — მე მოვედი ასი ათასი ყალბი ტალერის მისაღებად,

რომელიც ჯილდოდ მერგება იმაში, რომ ჩემი წყალობით იქნენ დაპატიმრებული ჩვენი მბრძანებლის მტრები.

— აჰა, მაშ ის წერილები თქვენი გამოგზავნილი იყო? — თქვა ჩაფიქრებულმა ჟანდარმთა უფროსმა. — მაგრამ ვინ იცის, იქნებ, ყველაფერი მართალია, რასაც თქვენ წერთ?

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, — წამოიძახა კალიმერმა, — გეფიცებით, ყველაფერი მართალია!

— აჰა! — წამოიძახა ახლა ჟანდარმთა უფროსმა და სახეზე მზაკვრული ღიმილი გადაეფინა. — მაშ თქვენ ამტკიცებთ, რომ სიმართლეს ამბობთ. იცით, რას გეტყვით, ჩემო კარგო? თავიდანვე შეგამჩნიეთ, რომ სრულ ჭკუაზე არ ხართ. ახლა კი თვითონაც ამასვე მიმტკიცებთ. ჰაიდა საგიჟეთში!

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, შემიწყალეთ! აბღავლდა კალიმერი. ქუდი დაბლა დაახეთქა და სასოწარკვეთილმა ფეხით დაუწყო თელვა. — ნუთუ ასე უსამართლოდ მომექცევით? მე სიცრუის ერთგული დარაჯი ვარ! წერილშიც განა ამას არა ვწერდი?

— მართალს ამბობთ, რომ სიცრუის ერთგული ხართ?

— სიმართლეს მოგახსენებთ, თავს გეფიცებით, მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს მოგახსენებთ!

— აი, ისევ გაებით, — ზეიმობდა ჟანდარმთა უფროსი. — ახლა უკვე მეორედ დაიფიცეთ, რომ სიმართლეს ლაპარაკობთ. კმარა! საგიჟეთში საკმაო დრო გექნებათ ჭკუაზე მოსასვლელად. ახლა კი სიგიჟე მაგრად გაქვთ მორეული. თქვენი თავისუფლად გაშვება არ შეიძლება. ეს საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს.

— თქვენ გინდათ, ჩემი ჯილდო მიითვისოთ! — ბღაოდა კალიმერი და ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა ჟანდარმებს.

— ხომ ხედავთ, ახლა კი ნამდვილად მოუარა. საჩქაროდ გადააცვით მოსათვინიერებელი პერანგი და პირში ძონძი ჩატენეთ. რაც შეეხება ჯილდოს, სიტყვას გაძლევთ, სანამ ისეთი ჯიბეები მაკერია, სადაც საიმედოდ შეიძლება ფულის შენახვა, კაპიკსაც არ დაგანახებთ.

ასე და ამგვარად, კალიმერიც საგიჟეთში მოხვდა. იქ ცალკე, ქეჩააკრულ პალატაში შეამწყვდიეს.

ჟანდარმთა უფროსი უკვე დასაძინებლად წასვლას აპირებდა, მაგრამ ამ დროს ტელეფონის რეკვა ატყდა. ქალაქის ხან რომელი კუთხიდან რეკავდნენ, ხან რომელიდან..

— ალო, პოლიციაა? აქ, ჩვენს ახლომახლო ერთი ძაღლი დაძრწის კნავილით. გვეშინია, ცოფიანი არ იყოს. გამოგზავნეთ ვინმე.

— ალო, პოლიციაა? სად დაიკარგნენ მეძაღლეები? ჩვენი სახლის წინ უკვე ნახევარი საათია, ერთი ძაღლი კნავის. თუ დილამდე არ მოაშორეთ აქაურობას, სახლიდან ფეხს ვერ გამოვდგამთ, გვეშინია, არ გვიკბინოს.

ჟანდარმთა უფროსმა მაშინვე დაიბარა ყველა მეძაღლე, დაყო რაზმებად, თითოეულ რაზმს სათავეში გამოცდილი ჟანდარმი ჩაუყენა და ქალაქის ყველა მხარეს დაგზავნა «მჩხავანა ძაღლების» მოსაძებნად. მკითხველი ალბათ ხვდება, რომ ეს «მჩხავანა ძაღლები» დეიდა სარიყლაპიას კნუტები იყვნენ.

ნახევარი საათიც არ იყო გასული, როცა ყველაზე პატარა კნუტი დაიჭირეს. ის ისე გაერთო კნავილით, ვერც კი შენიშნა, როგორ შემოარტყეს ალყა. როცა ირგვლივ უამრავი ხალხი დაინახა, იფიქრა, იმისთვის შეკრებილან, რომ მომილოცონო და

უფრო გულმოდგინეთ აკნავლდა. ამ დროს ერთი მეძაღლე მეგობრული ღიმილით მიუახლოვდა, ზურგზე ხელი გადაუსვა, მერე კი უცბად წასწვდა კისერში და ტომარაში ჩაუძახა.

მეორე კნუტი ცხენის ქანდაკებაზე აცოცებულიყო, შესკუპებულიყო უნაგირზე და კნაოდა, კატების პატარა ჯგუფს სიტყვით მიმართავდა. კატები პირქუშად იდგნენ და ირონიული გამომეტყველებით უგდებდნენ ყურს მის კნავილს და როცა კნუტი მეძაღლეებმა დაიჭირეს, იქაურობა ყეფით აიკლეს.

მესამე კნუტს ძაღლთან ჩხუბში წაასწრეს.

— რა გაკნავლებს, შე გამოჩერჩეტებულო? — ეკითხებოდა ძაღლს კნუტი.

— აბა, შენი ჭკუით, რას უნდა ვაკეთებდე? კატა ვარ და ვკნავი, — უპასუხა ძაღლმა.

— გეტყობა, მაგ თავში ჭკუის ნატამალიც აღარ დაგრჩენია. სარკეში მაინც ჩაიხედე. შენ ძაღლი ხარ და უნდა ყეფდე. მე კატა ვარ და ვკნავი. აბა, ყური დამიგდე! მიაუ, მიაუ, მიაუ!

მოკლედ, საქმე ჩხუბით დამთავრდა. მეძაღლეებმა არც აციეს, არც აცხელეს და ორივენი დაიჭირეს, თუმცა ძაღლი მალევე გაათავისუფლეს, რადგან კნავილის უფლება ჰქონდა.

ამის შემდეგ მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კნუტიც დაიჭირეს.

— მარტო ერთი კნუტიღა დაგვრჩა დასაჭერი, — ამხნევებდნენ ერთმანეთს და თავსაც ამით ინუგეშებდნენ დაღლილ-დაქანცული მეძაღლეები და ჟანდარმები.

მაგრამ მათ გაოცებას საზღვარი აღარა ჰქონდა, როცა, დიდი ხნის ძებნის შემდეგ, ერთის მაგივრად ორ მჩხავანა კატას წააწყდნენ.

— თანდათან მატულობენ, როგორცა ჩანს, — თქვა ერთმა ჟანდარმმა.

— ალბათ კნავილი ძალიან გადამდებია, — დაუმატა მეძაღლემ.

ერთი ამ ორ კატათაგანი დეიდა სარიყლაპიას მეშვიდე კნუტი იყო, მეორე კი ჩვენი ძველი ნაცნობი მურა. მურას ბევრი ეფიქრა და ამ დასკვნამდე მისულიყო: ხომ შესაძლებელია, ფეხცანცარა ციცუნია მართალი იყო, როცა კნავილს მირჩევდაო. მერე ნელ-ნელა სცადა კიდეც კნავილი და ბოლოს ისე გადაეჩვია ყეფას, ძალიანაც რომ მოეწადინებინა, ვეღარ დაიყეფებდა.

მურა მეძაღლეებს არ გასძალიანებია და ადვილად დაიჭირეს, მაგრამ მეშვიდე კნუტმა კი, რომელიც იმ შვიდ კნუტში ყველაზე უფროსი იყო, ძალიან გააწვალა თავისი მდევრები. მოხერხებულად დაუძვრა ხელიდან მეძაღლეებს და ხეს კენწეროზე მოექცა. იქ დიდხანს იჯდა და არხეინად კნაოდა კატების რეპერტუარის ყველაზე საუკეთესო არიებს. ამ დროს კი მეძაღლეები სიბრაზისაგან ცოფდებოდნენ.

ამ არაჩვეულებრივი სპექტაკლის სანახავად უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, ისინი, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთნი, ვინც წესიერები იყვნენ, ჟანდარმებს აქეზებდნენ და მოუწოდებდნენ, არეულობისათვის მალე მოეღოთ ბოლო. მეორენი კი — ლაზღანდარები, და, შეიძლება, არა მარტო ლაზღანდარები, კნუტის მხარს იჭერდნენ და კნავილით აქეზებდნენ:

— მიაუ! მიაუ!

კატებიც ბლომად მოგროვილიყვნენ. შურითა და ბრაზით უყეფდნენ თავიანთ მოგვარეს. დროგამოშვებით ზოგიერთ კატას კნავილი გადაედებოდა ხოლმე და აკნავლდებოდა. მეძაღლეები მაშინვე იჭერდნენ გამბედავ კატას და ტომარაში აგდებდნენ.

ჯიუტი კატა კი ისევ კნაოდა ხის კენწეროდან. მეძაღლეებმა და ჟანდარმებმა თვითონ ვერაფერი გააწყეს და იძულებული გახდნენ, მეხანძრეებისათვის დაეძახათ.

მეხანძრეებმა ხეს ცეცხლი წაუკიდეს და მხოლოდ ამით აიძულეს კატა, დაბლა ჩამოსულიყო.

ამგვარად, ხალხი ხანძრის ყურებითაც დატკბა და კმაყოფილი წავიდ-წამოვიდა სახლებში.

ბოლოს აღმოჩნდა, რომ ოცი მკნავალა კატა დაეჭირათ, ოცივე საგიჟეთში მიიყვანეს. ისინიც ხომ თავიანთებურად სიმართლეს ამბობდნენ, მაშასადამე, ჭკუაზე შერყეული კატები იყვნენ. საგიჟეთის დირექტორმა აღარ იცოდა, სად მოეთავსებინა ამდენი კატა. ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, ოცივე კალიმერ თამასუქის პალატაში შეეყარა. ადვილად წარმოიდგენთ, რა გუნებაზე დადგებოდა კნუტების დამბეზღებელი, რომელსაც მათ დანახვაზე ახსენდებოდა, რამ ჩააგდო ამ უბედურებაში. ორი საათიც არ იყო გასული და კალიმერი ნამდვილად შეირყა ჭკუაზე. კატასავით კნავილი და კრუტუნი დაიწყო. ეჩვენებოდა, რომ თვითონაც კატა იყო და როცა ერთი ბრიყვი თაგვი სოროდან გამოძვრა, კატებზე ადრე კალიმერი გამოეკიდა, მაგრამ თაგვმა მეორე სოროში შეასწრო და კალიმერს პირში მხოლოდ თაგვის კუდიღა შერჩა.

ფეხცანცარა ციცუნიამ ეს ამბები გაიგო და სახლისკენ გასწია, რათა ჯელსომინოსთვის ეამბნა, მაგრამ ამ დროს მისმა ნაცნობმა ტენორმა წამოიწყო ერთ-ერთი სიმღერა იმ განთქმული სიმღერებიდან, რომლებსაც მის მშობლიურ სოფელში ხშირად მღეროდნენ და მას ამდენი უსიამოვნება მოუტანეს.

«ამჯერად კი, ვისაც უნდა დავენაძლევები ოთხივე თათზე, ახალი თათის ჩათვლით, რომ ჯელსომინოს ჩაეძინა და სიზმარში მღერის, — გაიფიქრა ფეხცანცარა ციცუნიამ. — თუ არ ვიჩქარე, შეიძლება, ჩაფრენა მიმასწრონ».

ბანანიტოს სახლთან უამრავ ხალხს მოეყარა თავი და სიმღერას უსმენდა. ყველა ხმაგაკმენდილი ერთ ადგილას გაშეშებულიყო. არავინ იღებდა ხმას მაშინაც კი, როცა მეზობელი სახლების ფანჯრები იმსხვრეოდა. გეგონებოდათ, მშვენიერმა სიმღერამ ყველა მოაჯადოვაო. ფეხცანცარა ციცუნიამ ხალხში ორი ახალგაზრდა ჩაფარი შენიშნა, რომელთაც სხვა მსმენელებივით სახეზე აღფრთოვანება ეხატებოდათ. თქვენც იცით, რომ ჩაფრებს ჯელსომინოს დაპატიმრების ბრძანება ჰქონდათ მიცემული, მაგრამ ამ ჩაფრებს რაღაც არ ეტყობოდათ, თუ ასეთი განზრახვა ჰქონდათ. სამწუხაროდ, ამ დროს სახლს ჩაფართა ახალი რაზმი უახლოვდებოდა. მათი უფროსი მათრახით იკაფავდა ხალხში გზას. როგორც ეტყობოდა, ცოტა ყურთ აკლდა და ჯელსომინოს სიმღერა მასზე არავითარ გავლენას არ ახდენდა.

ფეხცანცარა ციცუნიამ კიბეები სწრაფად აირბინა და სხვენში ისარივით შევარდა.

— ადექი! ადექი! — დაუყვირა ჯელსომინოს და კუდი ცხვირში შეუღიტინა. — კონცერტი დამთავრდა! პოლიცია მოდის!

ჯელსომინომ თვალების სრესით გაიღვიძა და ჰკითხა:

— სადა ვარ?

— გეტყვი, სადაც იქნები ცოტა ხანში, თუ დროზე არ მოვუსვით აქედან — ვირის აბანოში.

— კიდევ ვმღეროდი?

— აბა, ჩქარა, გადავძვრეთ სახურავზე.

— შენ მეც კახა ხომ არ გგონივარ, როგორ უნდა ვიხტუნო კრამიტებზე?

— ნუ გეშინია, შენ მხოლოდ კუდზე ხელი მომკიდე.

— საით წავიდეთ?

— სულ ერთია, ოღონდ ამ ადგილს მოვცილდეთ. ბოლოს სადღაც მაინც მივალთ.

ფეხცანცარა ციცუნია პირველი გადახტა სხვენის ფანჯრიდან სახურავზე. ჯელსომინოს მეტი გზა აღარ ჰქონდა, დახუჭა თვალები, რომ თავბრუ არ დახვეოდა და უკან მიჰყვა.

რა შეემთხვა, რა გადახდა
გასაოცარ გულს და მუხლებს —
ბენვენუტო-ფეხზე მდგომელს,
ბენვენუტო-მუხლჩაუხრელს.

თავი მეთოთხმეტე

საბედნიეროდ, ამ უბანში სახლები ერთმანეთთან ძალიან ახლოს იდგა და ფეხცანცარა ციცუნიასაგან შეგულიანებულ ჯელსომინოს სახურავიდან სახურავზე გადახტომა არ უჭირდა. თვითონ ციცუნიას კი უნდოდა, სახურავებს შორის მანძილი მეტი ყოფილიყო, რომ ცოტა მუხლი გაეშალა. მაგრამ უცაბედად ჯელსომინოს ფეხი დაუცდა, დაგორდა და ერთ პატარა აივანზე მოადინა ზღართანი, სადაც ვიღაც მოხუცი ყვავილებს რწყავდა.

— მაპატიეთ, თუ შეიძლება! — წამოიძახა ჯელსომინომ და ნატკენ მუხლზე ხელი მოისვა. — მიზნად არ მქონია, რომ ასეთნაირად გსტუმრებოდით.

— ძალიან გთხოვთ, ნუ მებოდიშებით, — ზრდილობიანად უთხრა მოხუცმა, — მე ბედნიერი ვარ, რომ მესტუმრეთ. სჯობია, მითხრათ, ხომ არაფერი იტკინეთ? ხომ არაფერი მოიტეხეთ?

ამ დროს ფეხცანცარა ციცუნიამ სახურავიდან ჩამოიხედა და დაიკნავლა:

— შეიძლება?

— ოჰო, აი კიდევ ერთი სტუმარი! — თქვა გახარებულმა მოხუცმა. — მობრძანდით, მობრძანდით, ძალიან გამახარებთ.

ჯელსომინოს კი ნატკენი მუხლი თანდათან უსივდებოდა.

— რა ვქნათ, რაზე დავსვათ, — შეწუხდა მოხუცი, — სახლში ერთი სკამიც არა მაქვს.

— საწოლზე დავაწვინოთ, — შესთავაზა ფეხცანცარა ციცუნიამ, — რა თქმა უნდა, თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ.

— სამწუხაროდ, საწოლიც არა მაქვს, — თქვა შეწუხებულმა მოხუცმა, — წავალ, მეზობლისგან სავარძელს ვითხოვ.

— ნუ შეწუხდებით, — სასწრაფოდ უთხრა ჯელსომინომ, — მე იატაკზეც შემიძლია დავჯდე.

— მობრძანდით ოთახში, წამოწექით იატაკზე და მოისვენეთ, — თქვა მოხუცმა, — მე კი, მანამდე გემრიელ ყავას მოგიხარშავთ.

ოთახი პატარა, მაგრამ სუფთა იყო და კრიალა ავეჯით მოწყობილი. ოთახში იდგა მაგიდა, ბუფეტი და კარადა, მაგრამ სკამებისა და საწოლის ხსენებაც კი არსად იყო.

— ნუთუ არასოდეს არ ჯდებით? — შეეკითხა ფეხცანცარა ციცუნია.

— დიახ, ძალაუნებურად სულ ფეხზე ვდგავარ, — უპასუხა მოხუცმა.

— არც არასოდეს იძინებთ?

— ხანდახან ფეხდგომელას ჩამეძინება ხოლმე, მაგრამ ძალიან იშვიათად. კვირაში ორ საათზე მეტი არ მძინავს.

ჯელსომინომ და ფეხცანცარა ციცუნიამ ერთმანეთს გადახედეს.

აი, კიდევ ერთი ქოსატყუილა!

— მაპატიეთ, რომ ასეთ ცნობისმოყვარეობას ვიჩენ, მაგრამ, თუ შეიძლება მითხარით, რამდენი წლისა ბრძანდებით? — შეეკითხა ფეხცანცარა ციცუნია.

— ზუსტად ვერ გეტყვით. ათი წლის წინ დავიბადე, მაგრამ ახლა დაახლოებით სამოცდათხუთმეტი-სამოცდათექვსმეტი წლისა ვიქნები.

ჯელსომინოს და ფეხცანცარა ციცუნიას სახის გამომეტყველებით მოხუცი მიხვდა, რომ მისი ნათქვამი არ სჯეროდათ, ამოიოხრა და განაგრძო:

— მე არ ვტყუი. ეს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, მართალია. თუ ინებებთ, სანამ ყავა მოიხარშება, ჩემს ამბავს მოგიყვებით.

— ჩემი სახელი ბენვენუტოა, — დაიწყო მოხუცმა, — მაგრამ ყველა «ბენვენუტო მუხლჩაუხრელს» მეძახის...

მაშ ასე, ბენვენუტო დაიბადა მეძველმანის ოჯახში. ასეთ მკვირცხლსა და მოუსვენარ ბავშვს სხვაგან ვერსად ნახავდით. ჯერ სახელიც არ დაერქმიათ, ის კი აკვნიდან გადმოხტა და მთელი სახლი მოირბინა. საღამოს გულარხეინად აწვენდნენ საწოლში, დილას კი ხედავდნენ, შიგ აღარ ეტეოდა და ფეხები გარეთ ჰქონდა გადმოკიდებული.

— ჩემი ბიჭი გაზრდას ჩქარობს, რომ მხარში ამომიდგეს, — ამბობდა მამამისი.

საღამოს, როცა აძინებდნენ, ყველაფერი რიგზე იყო. დილას კი ტანსაცმელი აღარ ეტეოდა, ფეხსაცმელები უჭერდა, პერანგი ხომ სულ ტანზე ეფხრიწებოდა.

— არა უჭირს რა, — ამბობდა დედამისი, — საბედნიეროდ. მეძველმანის სახლში ძონძები არ გამოილევა. ახალ პერანგს შევუკერავ.

ერთ კვირაში ბენვენუტო იმოდენა გახდა, მეზობლები ალაპარაკდნენ: რას უზით ამხელა ბიჭი სახლში, რატომ სკოლაში არ შეიყვანენო.

მეძველმანის ცოლმა შვილი სკოლაში წაიყვანა, მაგრამ მასწავლებელი ძალიან გაუბრაზდა:

— სად იყავით სასწავლო წლის დასაწყისში? ახლა რა დროს ბავშვის სკოლაში მოყვანაა, სადაცაა მოწაფეები სააღდგომოდ უნდა დავითხოვოთ.

როცა დედამ უთხრა, ბენვენუტო მხოლოდ შვიდი დღისააო, მასწავლებელი უფრო გაბრაზდა:

— შვიდი დღისა? ქალბატონო, თქვენ სკოლა საბავშვო ბაგა ხომ არ გგონიათ? მობრძანდით ექვსი წლის შემდეგ და მაშინ ვილაპარაკოთ.

ბოლოს, როგორც იქნა, თავი ასწია საკლასო ჟურნალიდან და ნახა, რომ ბენვენუტო მის მოწაფეებზე მაღალი იყო, ბოლო მერხზე დასვა და დაიწყო იმის ახსნა, რომ ორჯერ ორი — ოთხია.

შუადღისას ზარი დაირეკა. მოწაფეები წამოიშალნენ და რიგში დაეწყნენ კლასიდან გასასვლელად. მხოლოდ ბენვენუტო არ იძვროდა ადგილიდან.

— ბენვენუტო, — დაუძახა მასწავლებელმა, — შენც ჩადექი რიგში!

— არ შემიძლია, ბატონო მასწავლებელო.

დილის რვა საათიდან დღის თორმეტ საათამდე ბენვენუტო ისე გაზრდილიყო, რომ მერხში გაიჭედა. იძულებული გახდნენ, სკოლის დარაჯისათვის დაეძახათ. ბენვენუტო დარაჯის დახმარებით ძლივს გამოძვრა მერხიდან.

მეორე დღეს ბენვენუტო უფრო მოზრდილ მერხზე დასვეს, მაგრამ შუადღემდე ამ მერხშიაც გაიჭედა და ვეღარ წამოდგა. ხაფანგში გამომწყვდეულ თაგვს ჰგავდა.

ახლა დურგალს დაუძახეს, დურგალმა მერხი დაშალა და ბენვენუტო ისე გაათავისუფლა.

— ხვალ მეხუთე კლასიდან გამოვიტანოთ მერხი, — თქვა მასწავლებელმა და კეფა მოიქექა.

მან მართლაც ერთი უშველებელი მერხი შემოატანინა კლასში.

— ახლა ხომ კარგად მოეწყე?

— საუცხოოდ! — უპასუხა გახარებულმა ბენვენუტომ და იმის დასამტკიცებლად, რომ მართლა მოხერხებულად იჯდა, რამდენჯერმე ადგა და დაჯდა.

მაგრამ, როცა შუადღის ზარმა დარეკა, ეს მერხიც ისე დაპატარავებოდა, რომ იძულებული გახდნენ, ისევ დურგლისათვის დაეძახათ.

სკოლის დირექტორი და ქალაქის მერი აღშფოთებას ვეღარ მალავდნენ:

— რას ჰგავს ეს, ბატონო მასწავლებელო? იქნებ კლასში დისციპლინის დაცვას ვერ ახერხებთ? წელს თქვენს კლასში მერხები წკირებივით იმტვრევა. უფრო ფხიზლად უნდა ადევნოთ თვალყური თქვენს თავგასულ მოწაფეებს. ყოველდღე ახალ მერხს ვერ გიყიდით.

ადგა მეძველმანე, შვილი ქალაქის ყველაზე უკეთეს ექიმს მიუყვანა და თავისი გასაჭირი უამბო.

— ვნახოთ, ვნახოთ, — თქვა ექიმმა და სათვალე გაიკეთა, რომ უკეთესად გაესინჯა.

მან ბენვენუტო თავიდან ფეხებამდე გაზომა.

— აბა, ახლა დაჯექი, — უთხრა, როცა გაზომვას მორჩა.

ბენვენუტო სკამზე დაჯდა. ექიმმა ერთი წუთი მოიცადა და შემდეგ უბრძანა:

— ადექი!

ბენვენუტო წამოდგა და ექიმმა ხელახლა გაუზომა სიმაღლე და გულმკერდის სიფართე.

— ეჰე-ჰე-ჰე, — ჩაილაპარაკა მან თავისთვის და სათვალე ცხვირსახოცით გაწმინდა, იფიქრა, იქნებ სათვალე მატყუებსო, — აბა, კიდევ დაჯექი.

ექიმმა რამდენიმეჯერ დასვა და ააყენა ბენვენუტო, რამდენიმეჯერ გაზომა და ბოლოს დაასკვნა:

— ძალიან საინტერესო შემთხვევაა. ამ ბავშვს ახალი ავადმყოფობა აქვს. ეს ავადმყოფობა აქამდე არავის ჰქონია. ავადმყოფობა შემდეგი ხასიათისაა: როცა ბავშვი ზის, წარმოუდგენლად სწრაფად ბერდება. მისთვის ერთი წუთი ერთ დღეს უტოლდება. რანაირად ვუმკურნალოთ? სულ ფეხზე უნდა იდგეს, მუხლი არ უნდა ჩახაროს, თორემ ერთ-ორ კვირაში დაჩაჩანკებულ თეთრწვერა მოხუცად იქცევა.

ექიმთან ყოფნის შემდეგ ბენვენუტოს ცხოვრება მთლად შეიცვალა. სკოლაში მისთვის საგანგებოდ გააკეთეს ისეთი მერხი, რომ დასაჯდომი არ ჰქონოდა, რათა დაჯდომის სურვილს არ წაეძლია. სახლში ფეხდგომელა ჭამდა. საკმარისი იყო, ღუმელთან ჩაცუცქულიყო და შინაურები მაშინვე ერთ აურზაურს აუტეხდნენ.

— შენ რა, ადრე დაბერება გინდა?

— ადექი, ადექი! ხომ არ გინდა, თმები გაგითეთრდეს?

«დასაძინებლად ხომ საწოლზე წვებოდა?» — იკითხავთ თქვენ. საწოლი არც უნდა გაეხსენებინა, თუ არ უნდოდა, დილას თეთრი წვერ-ულვაშით გაღვიძებოდა. ბენვენუტო იძულებული იყო, ცხენივით ფეხდგომელა ძილს შეჩვეოდა. აი, ამიტომ დაარქვეს მეზობლებმა «ბენვენუტო მუხლჩაუხრელი». ეს სახელი ბენვენუტოს სამუდამოდ შერჩა.

ერთ დასაქცევ დღეს მეძველმანე მძიმედ გახდა ავად. როცა სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, ბენვენუტოს დაუძახა.

— ბენვენუტო, — უთხრა შვილს, სანამ უკანასკნელად თვალს დახუჭავდა, — ახლა დედას უნდა მიეხმარო. დედა მოხუცია და მუშაობა არ შეუძლია. მოჰკიდე რაიმე პატიოსან საქმეს ხელი. აღარც დაბერდები, რადგან მუხლის ჩახრის დროც აღარ გექნება.

მამის დასაფლავების მეორე დღესვე ბენვენუტო სამუშაოს საძებნელად გაემართა, მაგრამ ყველა სასაცილოდ იგდებდა:

— რა გინდა, ბიჭიკო? შენ ხომ არ გგონია, აქ რიკტაფელას ან კოჭობანას ვთამაშობთ? ვის გაუგონია ცხვირმოუხოცავი ბალღის ფაბრიკაში მუშაობა.

— სამუშაო გინდა? რას ლაპარაკობ? სამუშაოზე რომ მიგიღოთ, დაგვაჯარიმებენ. მცირეწლოვანთა მუშაობა აკრძალულია.

ბენვენუტო არავის ედავებოდა, მაგრამ სულ იმას ფიქრობდა, ამ უბედურებისთვის თავი რანაირად დაეღწია.

სახლში მივიდა, დაჯდა სარკესთან და ცდა დაიწყო.

— ექიმი ამბობდა, ჯდომისაგან მალე დაბერდებიო. ვნახოთ, მართლა ასეა თუ არა.

რამდენიმე წუთში უკვე შეამჩნია, რომ იზრდებოდა. ფეხსაცმელებმა მოუჭირა, გაიხადა და ფეხებს დააცქერდა. ფეხები პირდაპირ თვალწინ ეზრდებოდა. მერე ისევ სარკეში ჩაიხედა და გაოცებისაგან პირი დააღო. სარკიდან შავულვაშა ჭაბუკი უყურებდა.

— ნეტავი ვინ არის ეს ჭაბუკი? მისი სახე საიდანღაც მახსოვს, მგონი ვიცნობ... — ბოლოს მიხვდა და გადაიხარხარა: — ეს ხომ თვითონ მე ვარ! მართლაც, რა სწრაფად გავიზარდე! ახლა კი დროა, ავდგე. დაბერება მაინცადამაინც არ მინდა.

ადვილად წარმოიდგენთ, როგორ გაოცდა დედამისი, როცა თავს წამოადგა მაღალი, მხარბეჭიანი ჭაბუკი, რომელსაც ჟანდარმივით ულვაშები ჰქონდა და თანაც ბოხი ხმით ლაპარაკობდა.

— ბენვენუტო, შვილო, რანაირად გამოცვლილხარ!

— საქმე უკეთაა, დედაჩემო! ახლა ხომ შევძლებ მუშაობას?

ბენვენუტომ სამუშაოს ძებნას თავი გაანება, ფარდულიდან მამისეული ორთვალა გამოაგორა და მალე ქალაქის ქუჩებში გაისმა მისი ხმა:

— ძველმანებს ვყიდულობთ! ძველმანებს ვყიდულობთ!

— ბენვენუტოს ხმაზე მეზობლის ქალებმა ფანჯრები გამოაღეს და გარეთ გამოიხედეს!

— რა მშვენიერი ჭაბუკია! ნეტავი ვინ არის? — კითხულობდნენ ისინი.

— ბენვენუტო მუხლჩაუხრელო! ნუთუ შენა ხარ?

— მე ვარ, დეიდა, მე ვარ! არ გეშლებათ, სკამზე ჩამთვლიმა და წვერ-ულვაშით შემოსილს გამომეღვიძა.

ასე დაიწყო მუშაობა ბენვენუტომ. ყველას უყვარდა. სულ ფეხზე იდგა, უსაქმოდ ვერასოდეს ნახავდით. მისი ხელი არ გაჩერდებოდა. რაც არ უნდა დაგევალებინათ, არ დაგზარდებოდათ და აბა, ვის არ ეყვარებოდა! ერთხელ ქალაქის მერადაც უნდოდათ აერჩიათ.

— ჩვენ სწორედ შენისთანა კაცი გვჭირდება. რად გვინდა ისეთი კაცი, რომელსაც სავარძელს ვერ ააგლეჯ!

მაგრამ ბენვენუტომ მერობა არ ისურვა.

რამდენიმე წლის შემდეგ დედა გარდაეცვალა.

«ახლა მთლად უთვისტომოდ დავრჩი, — ფიქრობდა ბენვენუტო. — ჩემი უსაქმოდ სახლში ჯდომა მაინც არ შეიძლება, მალე დავბერდები. ავდგები და წავალ სახეტიალოდ. ვნახავ, რა ხდება ქვეყანაზე».

თქმა და შესრულება ერთი იყო. გამოაგორა თავისი ორთვალა, დააწყო ზედ, თუ რამ ებადა და გზას დაადგა. შეეძლო, გაუჩერებლად ევლო მთელი დღე და ღამე, ამიტომ ბევრი რამ ნახა და ათასნაირი ხალხი გაიცნო.

— თქვენ სიმპათიური ახალგაზრდა ხართ! — ხშირად ეუბნებოდნენ ბენვენუტოს. — ჩამოჯექით ერთ წუთს, ცოტა ხანს ვილაპარაკოთ.

— ლაპარაკი დაუჯდომლადაც შეიძლება, — უპასუხებდა ბენვენუტო.

ასე დაეხეტებოდა ერთი ქვეყნიდან მეორეში და სიბერე ახლოსაც არ ეკარებოდა. ერთხელ ერთ ღარიბულ ქოხს ჩაუარა, შიგ შეიხედა და ისეთი სანახაობა დაუდგა თვალწინ, რომ გული შეეკუმშა — ლოგინში იწვა ავადმყოფი ქალი, იატაკზე კი ტირილისაგან ჩაბჟირებული ბავშვები ისხდნენ.

ქალმა ბენვენუტო დაინახა და დაუძახა.

— ჰეი, ჭაბუკო, თუ გცალიათ, ერთი წუთით შემოდით! ადგომა და ბავშვების გაჩუმება არ შემიძლია. ამათი თითო ცრემლი კი გულში დანასავით მესობა.

ბენვენუტო შევიდა ოთახში, აიყვანა ხელში ერთი ბავშვი, გაატარ-გამოატარა, დაუყვავა და გააჩუმა. ასე გააჩუმა სხვა ბავშვებიც. ყველაზე უმცროსს კი ვერაფერი მოუხერხა.

— ერთ წუთს დაჯექით და წყნარად დაიკავეთ ხელში, — შეეხვეწა ქალი. — როგორც კი დაჯდებით, მაშინვე დაეძინება.

მართლაც, ჩამოჯდა თუ არა ბენვენუტო ღუმელთან მიდგმულ სკამზე, ბავშვი მაშინვე ჩაჩუმდა. ბიჭუნა საოცრად ლამაზი იყო. როცა გაიცინებდა, გეგონებოდათ, ოთახი განათდაო. რაღას არ აკეთებდა ბენვენუტო, როგორ არ იმანჭებოდა, ოღონდ ბავშვი გაეცინებინა, სიმღერაც კი უმღერა. ბოლოს, ბავშვს, როგორც იქნა, ჩაეძინა.

— რომ იცოდეთ, როგორი მადლობელი ვარ, — უთხრა ქალმა. — თქვენ რომ არ გამოჩენილიყავით, თავს მოვიკლავდი, ისე ვიყავ გამწარებული.

— ასეთი რამ ხუმრობითაც არ უნდა თქვათ, — უთხრა ბენვენუტომ.

როცა ქოხიდან გადიოდა, შემთხვევით მოჰკრა თვალი სარკეში თავის და თავს და შეამჩნია, რომ თმაში თეთრი გამორეოდა.

«სულ მთლად დამავიწყდა, როცა ვზივარ, სწრაფად რომ ვბერდები», — გაიფიქრა ბენვენუტომ. მაგრამ მაშინვე წელში გაიმართა, უკანასკნელად გადახედა მძინარე ბავშვებს და გზა განაგრძო.

მეორედ, ღამით ერთი პატარა სოფლის ორღობეში მიდიოდა და ერთ ფანჯარაში შუქი შეამჩნია. ოთახში დაზგა იდგა. დაზგასთან გოგო იჯდა, ქსოვდა და თან მწარედ ოხრავდა.

— რა დაგემართათ? — ჰკითხა ბენვენუტომ.

— ეჰ, ნუღა მკითხავთ. სამი ღამეა, ჩემს თვალს ძილი არ მიჰკარებია. ეს სამუშაო დილამდე უნდა დავამთავრო. თუ არ დავამთავრე, კაპიკსაც არ მომცემენ, სახლში კი ნატეხი პურიც არა გვაქვს. თანაც, შეიძლება, დაზგაც წამართვან. მე კი ისე მეძინება, არაფერი არ მინდა ქვეყანაზე, ოღონდ ნახევარ საათს მაინც დამაძინა.

«ნახევარი საათი ოცდაათი წუთია, — გაიფიქრა ბენვენუტომ, — ოცდაათი წუთი შეიძლება, ამ გოგოს მაგივრად მე ვიმუშაო».

— ყური მიგდეთ, — უთხრა მან, — დაწექით და დაიძინეთ, მე კი თქვენს მაგიერ ვიმუშავებ. ისეთი ლამაზი დაზგაა და ისე კოხტად მუშაობს, ცოტა ხანს სიხარულით გავირჯები. ნახევარი საათის შემდეგ კი გაგაღვიძებთ.

გოგონა სკამზე მიწვა და იმ წუთსავე კნუტივით მიეძინა. ბენვენუტო კი დაზგას მიუჯდა, მაგრამ გაღვიძებით ვეღარ გააღვიძა გოგონა, რადგან რამდენჯერაც მიუახლოვდა, ყოველთვის ასე ეგონა, ტკბილ სიზმრებს ხედავსო.

მალე განთიადმაც მოაწია, მზე ამოიწვერა და ფანჯარაში შემოჭრილმა სხივმა გოგონა გამოაღვიძა.

— ღმერთო ჩემო, ეს რა დამემართა! მე მეძინა, თქვენ კი მთელ ღამეს მუშაობდით.

— არა უშავს, არა უშავს, ძალიან გავერთე მუშაობით.

— ეს რა დაგმართნიათ, მთელი თმა მტვრისაგან გაგთეთრებიათ!

«ვინ იცის, რამდენი წლით მოვხუცდი დღეს?» — გაიფიქრა ბენვენუტომ. მაგრამ გულისტკივილი არ უგრძვნია, რადგან სამუშაოს დამთავრება მოასწრო და გოგონას სახე სიხარულისაგან უბრწყინავდა.

შემდეგ ბენვენუტო ერთ საცოდავ მოხუცს გადაეყარა, რომელსაც სიკვდილი კარზე მოსდგომოდა.

— როგორ მენანება, — ოხრავდა მოხუცი, — როგორ მენანება. ისე უნდა წავიდე საიქიოს, ერთი ხელი ბანქო ვერავის ვეთამაშო? ჩემი მეგობრები დიდი ხანია დაიხოცნენ.

— თუ ამის მეტი არაფერი გაწუხებთ, ბანქოს მეც კი გეთამაშებით, — უთხრა ბენვენუტომ.

დაიწყეს თამაში.

ბენვენუტოს უნდოდა, ფეხზე მდგომს ეთამაშა, მაგრამ მოხუცმა უსაყვედურა:

— შენ ფეხზე დგახარ და ჩემს ქაღალდში იცქირები. გინდა, აუცილებლად მოიგო და იმით სარგებლობ, რომ საცოდავი მოხუცი ვარ.

ბენვენუტო ჩამოჯდა სკამზე და თამაშის დამთავრებამდე აღარ ამდგარა. ისე დაიბნა, რომ ქაღალდი ერეოდა და პირველი ხელი წააგო. მოხუცი ისეთი სიამოვნებით იფშვნეტდა ხელებს, თითქოს პატარა ბიჭია, სხვის ბაღში გადაძვრა და მსხალი ისე ჩუმად მოიპარა, ვერავინ გაუგოო.

— კიდევ ვითამაშოთ, — მხიარულად შესთავაზა მოხუცმა.

ბენვენუტოს უნდოდა, სკამიდან წამომდგარიყო. ამ სკამს ხომ მისი სიცოცხლის დღეები, თვეები და შეიძლება წლებიც მიჰქონდა. მაგრამ არ უნდოდა საცოდავი მოხუცის წყენინება და არ ადგა. ითამაშა მეორე ხელი, ითამაშა მესამე. მოხუცი სიხარულმა თითქოს გაახალგაზრდავა.

— ამ მოხუცის წლები ჩენმზე გადმოვიდა, — ამოიოხრა ბენვენუტომ, როცა მოხუცის ოთახში ჩამოკიდებულ სარკეში ჩაიხედა და ნახა, რომ თმები თოვლივით გათეთრებოდა.

— არა უშავს. ვინ იცის, მოხუცი რამდენი წელია ოცნებობდა თუნდაც ერთი ხელი ბანქოს მოგებაზე.

ასე გრძელდებოდა შემდეგშიაც. ყოველთვის, როცა ვინმეს ეხმარებოდა, თუ დაჯდომა დასჭირდებოდა, თმები უთეთრდებოდა. მერე წელშიაც მოიხარა, სწორედ ისე, როგორც ხე მოიხრება ხოლმე ძლიერი ქარისაგან. თვალიც ისე აღარ უჭრიდა, როგორც ადრე. ბენვენუტო მუხლჩაუხრელი თანდათან ბერდებოდა და ბოლოს ერთი ღერი შავი თმაც აღარ შერჩა.

— რა ძალა გედგა, სულ სიკეთეს რომ აკეთებდი? საკუთარ თავზე რომ გეფიქრა, ახლა ჩიტივით იფრენდი, — ეუბნებოდნენ ნაცნობები.

მაგრამ ბენვენუტო მუხლჩაუხრელი სხვანაირად ფიქრობდა. თითოეული ჭაღარა აგონებდა სიკეთეს, რომელიც სხივსთვის გაეკეთებინა. დასანანი რაღა ჰქონდა?

— არ გერჩია, შენთვის შეგენახა მთელი შენი სიცოცხლე, იმის მაგივრად რომ სხვისთვის დაგერიგებინა? — ეუბნებოდნენ მეზობლები.

მაგრამ ბენვენუტო თავს აქნევდა, იღიმებოდა და ფიქრობდა, რომ თითოეული ჭაღარის საფასურად შეძენილი ჰყავდა მეგობარი, ათასობით მეგობარი, რომელნიც მთელ ქვეყანაზე იყვნენ გაბნეული.

ამასთან ერთად, ბენვენუტო ხეტიალში დაღლას ვერ გრძნობდა. თუმცა, ბოლო დროს ჯოხზე დაყრდნობილი დადიოდა და ხშირად შედგებოდა ხოლმე, რათა სული მოეთქვა. ამ ხეტიალში ბოლოს ცრუთა ქვეყანას მიაღწია, სადაც თავისი მამის მსგავსად მეძველმანეობას მოჰკიდა ხელი და თავს ამით ირჩენდა.

— ამდენი ქვეყანა მოგივლიათ და, ნუთუ, ამაზე უკეთესი ადგილი ვერსად ნახეთ, რომ იქ დასახლებულიყავით? — სიტყვა შეაწყვეტინა ფეხცანცარა ციცუნიამ.

ბენვენუტო მუხლჩაუხრელს გაეღიმა:

— სწორედ აქ სჭირდება ხალხს დახმარება. მე არსად მეგულება ამაზე უბედური ქვეყანა. მაშასადამე, ჩემი ადგილიც სწორედ აქ არის.

— აი, სწორი გზა! — შესძახა ჯელსომინომ, რომელი თვალცრემლიანი უსმენდა მოხუცს. — ახლა კი ვიცი, როგორ გამოვიყენო ჩემი ხმა. იმის მაგივრად, რომ დავდიოდე მთელს ქვეყანაზე და ყველაფერს ვანგრევდე, ვეცდები, ჩემი ხმა ხალხის სიკეთეს მოვახმარო.

— ძალიან გაგიჭირდება, — შენიშნა ფეხცანცარა ციცუნიამ. — თუ ბავშვის დაძინებას მოისურვებ და ნანას უმღერებ, სულ დაუკარგავ ძილის ხასიათს.

— კეთილი საქმე ზოგჯერ იმითაც შეიძლება გაკეთდეს, რომ მძინარე გამოაღვიძო, — ალერსიანად უთხრა ბენვენუტომ.

— ჩემს კისერზე იყოს ამისი გაკეთება, — თქვა ჯელსომინომ და იატაკს მუშტი დაჰკრა.

— ჯერჯერობით კი მუხლი უნდა მოირჩინო, — შენიშნა ციცუნიამ.

მართლაც, ჯელსომინოს მუხლი სულ უფრო უსივდებოდა. სიარულს ვინ ჩივის, ფეხზე ვეღარ დგებოდა. გადაწყდა მისი დატოვება ბენვენუტოსთან, ვიდრე გამოჯანმრთელდებოდა. თანაც ბენვენუტო მუხლჩაუხრელს არასოდეს არ ეძინა და შეეძლო, ყურადღება მიექცია ჯელსომინოსთვის, რომ ღამით, ძილში ისევ არ ამღერებულიყო და პოლიციის ყურადღება არ მიეპყრო.

აქ, ამ თავში, შეიტყობთ
მხატვრის იღბალს მწარეს,
თუ ციხეში რატომ და
როგორ მიაბრძანეს.

თავი მეთხუთმეტე

ბანანიტო, თქვენც იოლად გაიხსენებთ, თუ ოდნავ მაინც დაფიქრდებით, დილაადრიანად გამოვიდა სახლიდან ბედის საძებნელად. განსაზღვრული გეგმა არ ჰქონია. უბრალოდ, ძალიან უნდოდა ხალხისათვის თავისი ოსტატობა ეჩვენებინა.

ქალაქი, ის-ის იყო, იღვიძებდა. მეეზოვეები შლანგით რწყავდნენ ქუჩებს, ქარხნებში ველოსიპედებით მიმავალ მუშებს ეხუმრებოდნენ და ზოგჯერ მათაც

წუწავდნენ. მხიარული, ნათელი დილა იდგა. ბანანიტო უცებ შეჩერდა შუა ტროტუარზე. იგრძნო, რომ თავში მშვენიერი აზრები ყვავილებივით ეფურჩქნებოდა. მათი სურნელებაც კი იგრძნო, თითქოს ირგვლივ, პირდაპირ ტროტუარზე მილიონობით ია გადაიშალა.

— ეს ხომ მშვენიერი იდეაა! — უცებ გადაწყვიტა ბანანიტომ.

ბევრი აღარ უფიქრია. იქვე, ფაბრიკის კარებთან, სადაც ეს აზრი მოუვიდა, ტროტუარზე მოიკეცა, ყუთიდან ფერადი ცარცები ამოიღო და ხატვას შეუდგა. რამდენიმე მუშა მაშინვე გარს შემოეხვია.

— ვის უნდა სანაძლეო, — თქვა ერთმა მათგანმა, — ეგ ისევ იალქნიან გემს დახატავს, ანდა შარავანდედით მოსილ წმინდანს. მაგრამ ძაღლი რომ არსად ჩანს, პირში ქუდი რომ უჭირავს და მოწყალებას აგროვებს ხოლმე!

— მე კი ერთგან აი რა გავიგონე, — თქვა მეორემ, — თურმე, ერთმა მხატვარმა მიწაზე წითელი ხაზი გაავლო. გარშემო კი უამრავი ხალხი შემოხვეოდა. ყველა თავს იმტვრევდა, მაგრამ ვერ გაეგოთ, რას ნიშნავდა ეს ხაზი.

— ბოლოს რა გამოვიდა?

— ჰკითხეს მხატვარს და მან უპასუხა: მინდა ვნახო, მოახერხებს ვინმე ხაზს ქვეშ გაძრომას თუ ყველა ზედ გადაივლისო. მერე ქუდი ჩამოიფხატა და თავისი გზით წავიდა. ალბათ აფრენდა.

— არა, ეს შეშლილი არ უნდა იყოს, — შენიშნა ვიღაცამ. — აბა, შეხედეთ!

ბანანიტო თავაუღებლად ხატავდა, ისე სწრაფად ხატავდა, მისი ხელის მოძრაობას თვალს ვერ მოჰკრავდით. ტროტუარზე თითქოს ცოცხლდებოდა ცოტა ხნის წინანდელი ოცნება — იზრდებოდა იების მშვენიერი ბუჩქი. თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ ნახატი იყო, მაგრამ ისეთი ლამაზი ნახატი, რომ ბოლოს და ბოლოს მართლა დააფრქვია იის სურნელება.

— მეჩვენება თუ რაა? — წაიჩურჩულა ერთმა მუშამ. — თითქოს იის სუნი მომდის.

— გირჩევნია, პიტნა დაუძახო, — უთხრა მეორე მუშამ, — თუ არ გინდა, რომ ციხეში ამოჰყო თავი. ისე კი მართალი ხარ, სუნი მეც მომდის.

ბანანიტოს გარშემო სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ტროტუარზე ცარცის ფხაჭუნიღა ისმოდა. ყოველი ხაზის გავლებასთან ერთად იის სურნელება თანდათან ძლიერდებოდა. მუშებს გაოცებისაგან პირი ჰქონდათ დაღებული. ერთი ხელიდან მეორეში გადაჰქონდათ პატარა ბოხჩებში გამოკრული საუზმე, თავს ისე იჭერდნენ, ვითომ ველოსიპედის სალტეებს ამოწმებდნენ, ნამდვილად კი თვალს არ აცილებდნენ ბანანიტოს და სიამოვნებით იყნოსავდნენ იის დამათრობელ სურნელებას.

საყვირის ხმაც გაისმა, მაგრამ ფაბრიკა ვიღას ახსოვდა, ფეხიც არ მოუცვლია არავის. ისმოდა შეძახილები: «აი, ყოჩაღ!» ბანანიტომ თავი ასწია და მაყურებელთა თვალებს შეეფეთა. ამ თვალებში ისეთი აღტაცება იყო, რომ მხატვარი, ცოტა არ იყოს, შეკრთა, სწრაფად წამოკრიფა ცარცები და მაყურებლებს გაშორდა.

— ერთი მუშა წამოეწია და უთხრა:

— რას შვრები? სად გარბიხარ? ერთი წუთიც და მზად ვიყავით, რაც ჯიბეში ფული გვქონდა, სულ შენთვის მოგვეცა. ჩვენ არასოდეს გვინახავს ასეთი ლამაზი ნახატი.

— გმადლობთ! — წაიბუტბუტა ბანანიტომ და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა, რადგან მარტო დარჩენა უნდოდა.

გული გამალებით, მძლავრად უცემდა. დაინახავდით, როგორ იწევდა მაღლა მის მკერდზე ხალათი, ასე გეგონებოდათ, უბეში ჩიტის ბარტყი უზისო. მხატვარი ნამდვილად ბედნიერი იყო.

დიდხანს დაეხეტებოდა ქალაქში და ვერ გადაეწყვიტა, რა დახატა. თავში უამრავი იდეა მოსდიოდა, მაგრამ არც ერთი არ მოსწონდა.

უცებ ძაღლს მოჰკრა თვალი და იგრძნო, რომ ნამდვილი შთაგონება ეწვია, მოიკეცა ტროტუარზე, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ეს აზრი მოუვიდა და ხატვას შეუდგა.

ქუჩაზე ყოველთვის არიან გამვლელები, რომელთაც ხეტიალის გარდა არაფერი საქმე არა აქვთ. ან შეიძლება, უბრალოდ, უმუშევრები არიან, ჰოდა, ანანიტოს ისევ შემოეხვივნენ მაყურებლები.

— ერთი შეხედეთ, კატას ხატავს! რას გვაკვირვებს თავისი კატებით. თუ ვინმეს კატა მოენატრა, ცოტა დაწანწალებს ქუჩაში?

— ეს უბრალო კატა არ არის, — მხიარულად უპასუხა ბანანიტომ.

— გაიგონეთ? უბრალო კატას არ ვხატავო, ალბათ სათვალიან კატას ხატავს.

როცა ბანანიტო კუდის ხატვასაც მორჩა, ძაღლი მაშინვე წამოხტა და მხიარული ყეფა ატეხა. ხალხი ჯერ მოჯადოებულივით გაჩუმდა, მერე კი ახმაურდა.

თვალის დახამხამებაში ხმაურზე პოლიციელმაც მოირბინა.

— რა ამბავია? რა მოხდა? აჰ, ვხედავ. ვხედავ კი არა, მესმის. მყეფარა კატა! ესღა გვაკლდა! მჩხავანა ძაღლები არ გვეყოფოდა? ვისია ეს კატა?

ხალხი იმ წამსვე დაიშალა. არავის უნდოდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მხოლოდ ერთმა ვერ მოასწრო გაქცევა, რადგან ძალიან ახლოს იდგა პოლიციელთან. პოლიციელმა მაგრად ჩასჭიდა ხელი და არ უშვებდა.

— კატა აი, იმისია, — ძლივს ამოიღო ხმა საცოდავმა და ბანანიტოსაკენ გაიშვირა ხელი.

პოლიციელმა ხელი გაუშვა და ახლა ბანანიტოს ეცა.

— აბა, გამომყევით უკან!

ბანანიტო არ გასძალიანებია, მშვიდად ჩაიწყო ცარცები ჯიბეში და ვითომც აქ არაფერიაო, ღიღინით გაჰყვა უკან. ძაღლმა კი კუდი აპრიხა და მოუსვა.

ბანანიტო ცალკე საკანში ჩაამწყვდიეს. იქ უნდა ეცადა, როდის ინებებდა პოლიციის უფროსი მის დაკითხვას. მაგრამ ბანანიტოს ხელები ექავებოდა, ისე უნდოდა ხატვა. დახატა ჩიტი. სურდა, გაეფრინა, მაგრამ ჩიტი არ გაფრინდა, მხარზე დაასკუპდა და ალერსიანად დაუწყო ყურის კორტნა.

— გასაგებია, — უთხრა ბანანიტომ, — გშია, არა?

მან ჩიტს სახელდახელოდ დაუხატა ფეტვის რამდენიმე მარცვალი. მერე გაახსენდა, რომ თვითონაც მშიერი იყო.

— ორი კვერცხის ერბო-კვერცხი ალბათ მეყოფა. დიდ მწიფე ატამზეც არ ვიტყოდი უარს.

ბანანიტომ ცარცს მოჰკიდა ხელი და მალე ოთახში შემწვარი კვერცხის სუნი დატრიალდა. სუნმა კარს იქითაც გაატანა და ყარაულს ცხვირში შეუღიტინა.

— იფ... რა კარგია! — თქვა ახლად ულვაშაშლილმა ყარაულმა და ხარბად შეისუნთქა ჰაერი.

მაგრამ მერე ცოტა შეეჭვდა, კარების საჭვრეტი გადასწია და საკანში შეიხედა. გაკვირვებისაგან თვალები დააჭყიტა: პატიმარი მადიანად მიირთმევდა ერბო-კვერცხს. სწორედ ამ დროს წაადგა თავზე პოლიციის უფროსი.

— შესანიშნავია! შესანიშნავია! რამდენი ხანია, რაც პატიმრებს რესტორნიდან უზიდავთ საჭმელებს? — აყვირდა გაცოფებული პოლიციის უფროსი.

— მე არა... მე არა... — ენა ჩაუვარდა ყარაულს.

— შენ განაწესი არ წაგიკითხავს? პური და წყალი, წყალი და პური! მეტი არაფერი!

— მე არ ვიცი, ეს რანაირად მოხდა, — როგორც იქნა, ამოიღო ხმა ყარაულმა. — იქნება, კვერცხები ჯიბეში ეწყო?

— კარგი, მაგრამ ქურაც ჯიბეში ედო? როგორც ვხედავ, ჩემს აქ არყოფნაში ბევრი რამ გაგიკეთებიათ. საკნებში სამზარეულოები მოგიწყვიათ.

მაგრამ პოლიციის უფროსმა მალე თავისი თვალით ნახა, რომ საკანში ქურა არ იდგა. ბანანიტოს შეეცოდა უდანაშაულო ყარაული და გადაწყვიტა, ეღიარებინა, რა გზით იშოვა საუზმე.

— შენ სულელი ხომ არ გგონივარ, — უნდობლად შეხედა პოლიციის უფროსმა, როცა მისი ნათქვამი მოისმინა. — ნეტავი ვიცოდე, რას იზამ, რომ გიბრძანო, ძმარში ჩაწყობილი ლოქო დამიხატე-მეთქი?

ბანანიტომ უსიტყვოდ აიღო ქაღალდი და შეკვეთილი კერძის ხატვას შეუდგა.

— ქინძით თუ უქინძოდ? — ჰკითხა მან პოლიციის უფროსს, ისე რომ თავი მაღლა არც აუწევია.

— ქინძით, — ჩაიცინა პოლიციის უფროსმა. — შენ მართლა ბრიყვი გგონივარ. იცოდე, როგორც კი მორჩები ხატვას, მაგ ქაღალდებს სულ ნაგლეჯ-ნაგლეჯ გადაგაყლაპებ.

მაგრამ როცა ბანანიტო ხატვას მორჩა, ქაღალდიდან ქინძისა და ძმრის ისეთი სურნელება წამოვიდა, რომ ნერწყვი მოგივიდოდათ. რამდენიმე წუთის შემდეგ ბანანიტომ გაოცებისაგან თვალებდაჭყეტილ პოლიციის უფროსს მაგიდაზე ძმარში კოხტად ჩაწყობილი და ქინძმოყრილი ლოქო დაუდგა. კერძი თითქოს ამბობდა: გამსინჯეთ ერთი, რა გემრიელი ვარო.

— კარგ მადას გისურვებთ, — უთხრა ბანანიტომ. — სუფრა გაშლილია.

— რაღაც აღარა ვარ ჭამის გუნებაზე, — ჩაილაპარაკა პოლიციის უფროსმა, როცა ცოტა გონს მოვიდა. — ლოქოს ყარაული შეჭამს, შენ კი უკან გამომყევი.

გაამინისტრეს ბანანიტო,
მაგრამ ცოტა ხნით:
დაატოვებინეს ისევ მალე
მინისტრის ოთახი.

თავი მეთექვსმეტე

პოლიციის უფროსი სულელი არ ყოფილა. პირიქით, ძალზე ცბიერი კაცი იყო.

«ეს კაცი, — ფიქრობდა ის, როცა ბანანიტო მეფის სასახლისკენ მიჰყავდა, — თავის წონა ოქროზე მეტი ღირს. რადგან საკმაოდ მოზრდილი სეიფი მაქვს, რა უჭირს, რომ შიგ რამდენიმე კილოგრამი ოქრო მქონდეს შენახული? სეიფში შენახულ ოქროს ვერავინ ვერ მიეკარება და თაგვებისაგან დაცული იქნება. მეფე ალბათ უხვად დამაჯილდოვებს».

მაგრამ ტყუილი იმედი ჰქონდა. როცა ჯაკომონ მეფემ ეს ამბავი გაიგო, ბრძანა, მხატვარი აქ მომიყვანეთო, პოლიციის უფროსს ცივად დაემშვიდობა და უთხრა:

— აღმოჩენისათვის ჯილდოდ მიიღებთ მედალს «განსაკუთრებული დამსახურებისათვის».

— რა ჯანდაბად მინდა მედალი? — ბუზღუნებდა თავისთვის პოლიციის უფროსი. — შინ ოცდაოთხი მედალი მაინც მიგდია, ყველა მუყაოსაგანაა გამოჭრილი. ფეხმორყეული მაგიდა მაინც მქონდეს, ქვეშ ამოვუწყობდი, რომ არ ეყანყალა.

დაე, პოლიციის უფროსმა თავისი გზით იაროს და რამდენიც უნდა, იმდენი იბუზღუნოს. ჩვენ კი, სჯობია, ჯაკომონ მეფისა და ბანანიტოს შეხვედრას ვადევნოთ თვალყური.

ბანანიტო ყოველგვარი აღელვების გარეშე წარსდგა ყოვლისშემძლე მეფის წინაშე. მშვიდად აძლევდა პასუხს ყველა შეკითხვაზე და თან ათვალიერებდა მშვენიერ ოქროსფერ პარიკს, რომელიც მეფის თავზე ისე ბრწყინავდა, როგორც ბაზარში დახლზე წამოდგმული ფორფოხლით სავსე კალათა.

— რას ათვალიერებ ასე გულმოდგინედ?

— თქვენი თმების სიმშვენიერით ვტკბები, თქვენო უდიდებულესობავ!

— შეძლებ ასეთი თმების დახატვას?

ჯაკომონს გულში იმედი ჩაესახა, ბანანიტო პირდაპირ თავზე დამახატავს ნამდვილ ლამაზ თმებს და მოვისვენებო. საკუთარი თმები მექნება, ძილის წინ პარიკის მოხსნა და კარადაში შენახვა აღარ დამჭირდებაო.

— ასეთი ლამაზი თმების დახატვას, რასაკვირველია, ვერ შევძლებ, — უპასუხა ბანანიტომ. იფიქრა, ასეთი პასუხით ვასიამოვნებო.

გულში ბანანიტოს ეცოდებოდა საწყალი მეფე, ასე ძალიან რომ აწუხებდა სიქაჩლე. ისე კი, სიქაჩლე რა საძრახისია. განა ცოტაა ხალხი, რომელთაც თმა მუდამ გადაპარსული აქვთ, რომ დავარცხნა აღარ დასჭირდეთ? ან თმების ფერის მიხედვით ვინ აფასებს ხალხს? ჯაკომონს საკუთარი, ლამაზი, მუქი, ხვეული თმები რომ ჰქონოდა, მაინც ისეთივე გაიძვერა იქნებოდა, როგორი გაიძვერაც იყო.

ჯაკომონმა მძიმედ ამოიოხრა. გადაწყვიტა, ერთ ხანს გადაედო მელოტი თავის თმით დამშვენება და ბანანიტოს ნიჭი გამოეყენებინა იმისათვის, რომ ისტორიაში დიდი მეფის სახელით შესულიყო.

— მე შენ დაგნიშნავ ზოოპარკის მინისტრად, — უთხრა მხატვარს. — ზოოპარკი გვაქვს, მაგრამ ცარიელი, მხეცები არა გვყავს. მხეცები შენ უნდა დახატო. ძალიან გთხოვ, არც ერთი მხეცი არ გამოგრჩეს.

«ციხეში ჯდომას მინისტრობა სჯობია». — გაიფიქრა ბანანიტომ. დაღამებამდე ათასობით მაყურებლის თვალწინ დახატა და გააცოცხლა ასობით სხვადასხვა ჯიშის ცხოველი და ფრინველი: ლომები, ვეფხვები, ნიანგები, სპილოები, თუთიყუშები, ხვლიკები, ფარშევანგები და ძაღლები. რა ჯიშის ძაღლს არ ნახავდით აქ: ნაგაზებს, მწევრებს, მეძებრებს, ფინიებს. ძაღლებმა იქაურობა ყეფით გააყრუეს.

კარისკაცებს ეს ამბავი არ მოეწონათ და აბუზღუნდნენ.

— მისი უდიდებულესობა ძაღლებს ყეფის ნებას რთავს? ეს ხომ კანონს ეწინააღმდეგება. ვინ იცის, რა მოჰყვება ამ ამბავს. ამის შემყურე ხალხს შეიძლება სახიფათო აზრები მოუვიდეს თავში.

მაგრამ ჯაკომონმა ბრძანა, ხელი არ შეეშალათ ბანანიტოსათვის, ნება მიეცათ, რასაც მოისურვებდა, ის ეკეთებინა. კარისკაცები იძულებული გახდნენ, თავიანთი გულისწყრომა გულშივე ჩაეკლათ.

ბანანიტო კი თავაუღებლად ხატავდა. ცარიელი გალიები მხეცებით ივსებოდა. აუზებში დაცურავდნენ თეთრი დათვები, სელაპები, დაბაჯბაჯებდნენ პინგვინები.

ეტლებში შებმული პატარა სასაცილო სახედრები ბავშვებს ხეივნებში დაასეირნებდნენ.

იმ საღამოს ბანანიტო თავის სხვენში ვერ დაბრუნდა. მეფემ სასახლეში მისცა ოთახი და კარზე ათი ყარაული დაუყენა, რადგან ეშინოდა, არ გამექცესო.

მეორე დღეს ზოოპარკში საქმე აღარ იყო და ბანანიტო სასურსათო საქონლისა და მომარაგების მინისტრად, ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ, სამეფოს პირველ კანცელარისტად დანიშნეს. მოამარაგეს ყველაფრით, რაც ხატვისათვის სჭირდებოდა და სასახლის შესასვლელთან დაუდგეს მაგიდა. ხალხს შეეძლო, მისულიყო მასთან და რა საჭმელსაც მოისურვებდა, ის მოეთხოვა.

პირველად ძალიან ბევრს გაუცრუვდა იმედი.

როცა მელანს სთხოვდნენ, რაც ცრუთა ენაზე პურს ნიშნავდა, ბანანიტო მელნით სავსე შუშას უხატავდა და მაშინვე კითხულობდა:

— აბა, ახლა ვისი რიგია?

— რა თავში ვიხლი ამ მელანს? — ბუზღუნებდნენ მელნისშუშიანები. — შიმშილისაგან კუჭი გვიხმება.

მაგრამ ხალხი მალე მიხვდა, რომ ბანანიტოსაგან მხოლოდ მაშინ უნდა ელოდე რამეს, თუ საგანს თავის სახელს დაუძახებ. ეს კი კანონით სასტიკად იყო აკრძალული.

კარისკაცების აღშფოთებას საზღვარი აღარ ჰქონდა.

— საქმე თანდათან უარესდება, — სისინებდნენ ისინი სიბრაზისაგან გაფითრებულები. — სიკეთეს არც შემდეგში უნდა ველოდეთ. აღარავინ იცრუებს. ნეტავი, რა ეშმაკი შეუჯდა მეფე ჯაკომონს?

ჯაკომონ მეფეს კი ამ დროს თავისი სადარდელი ჰქონდა. უნდოდა, ეთხოვა ბანანიტოსთვის, ნამდვილი თმები დამიხატეო, მაგრამ ვერ ბედავდა და სულ მომავლისათვის სდებდა. მანამდე კი მხატვარს ნებას აძლევდა, რაც მოეპრიანებოდა, ის ეკეთებინა. კაი ბიჭი იყო და ვინმეს ხმა ამოეღო, რად აძლევს მხატვარს ამის ნებასო. ჯაკომონის რისხვა არ ასცდებოდა. კარისკაცებმა ენა მუცელში ჩაიგდეს, მაგრამ გული კი ბოღმით ევსებოდათ.

ახლა გენერლები აბუზღუნდნენ.

— აბა, ერთი დაფიქრდით, — ამბობდნენ ისინი. — როგორც იქნა, გამოჩნდა ისეთი კაცი, როგორიც გვჭირდებოდა. ჩვენ კი რას ვაკეთებინებთ? ერბო-კვერცხს, შემწვარ წიწილებს, მოხრაკულ კარტოფილს, შოკოლადის ფილებს. ქვემეხებს უნდა ვაკეთებინებდეთ. ქვემეხებს! მაშინ გვეყოლებოდა უძლეველი არმია და მთელ ქვეყანას დავიპყრობდით.

ყველაზე გულადი გენერალი მივიდა მეფესთან და ყველაფერი გაბედულად მოახსენა.

ჯაკომონის ძარღვებში ძველი მეკობრის სისხლმა გაიღვიძა.

— ქვემეხები! — შესძახა მან. — დიდებულია! ქვემეხები! თვითმფრინავები, ხომალდები, დირიჟაბლები, ეშმაკმა დალახვროს! ახლავე დამიძახეთ ბანანიტოს!

დიდი ხანია, რაც ჯაკომონისაგან მის მახლობლებს ეშმაკის ხსენება არ გაეგონათ. იყო დრო, როცა ეშმაკი მისი უსაყვარლესი სიტყვა იყო. ეს მაშინ, როცა კაპიტნის ბოგირზე შემდგარი სიტყვით მიმართავდა თავდასხმისათვის მომზადებულ მეკობრეებს.

პროდუქტების დარიგება სასწრაფოდ შეწყვიტეს. ბანანიტო წარსდგა მეფისა და გენერალური შტაბის წინაშე. კედლებზე გაეკრათ რუკები, მსახურებს კი უკვე

მოემარჯვებინათ პატარა ალმები, რათა რუკაზე მომავალ გამარჯვებათა ადგილები აღენიშნათ.

ბანანიტომ აუღელვებლად მოისმინა გენერალთა მგზნებარე სიტყვები. ერთხელაც არ შეუწყვეტინებია არავისთვის. მაგრამ როცა ფანქარი და ქაღალდი მიაწოდეს და მოსთხოვეს, ზარბაზნები დაეხატა, არც კი დაფიქრებულა, ისე დაწერა ფურცელზე მსხვილი, ბეჭდური ასოებით «არა» და მთელ დარბაზში ჩამოატარა, რათა ყველას კარგად გაეგო მისი პასუხი.

— ბატონებო, — თქვა ბანანიტომ, — თუ ყავას ისურვებთ, შემიძლია, ერთ წუთში მშვენიერი ყავა მოგიმზადოთ, იქნება ცოტა გამოფხიზლდეთ! თუ ცხენები გინდათ მელიებზე სანადიროდ, თითოეულ თქვენგანს სუფთა სისხლის ბედაურს დავუხატავ, მაგრამ ზარბაზანს ტყუილად ნუღა ახსენებთ. იცოდეთ, ვერასოდეს მიიღებთ.

უნდა გენახათ, რა ალიაქოთი გამოიწვია ამ სიტყვებმა. ატყდა ყვირილი, მაგიდაზე მუშტის ბრახუნი. ჯაკომონი კი, ხელი რომ არ სტკენოდა, იქვე მდგარ მსახურს ურტყამდა ზურგზე, რაც ძალა და ღონე ჰქონდა.

— თავი მოვკვეთოთ! თავი მოვკვეთოთ! — გაისმა შეძახილები.

— კარგი, დავსაჯოთ, — თქვა ბოლოს ჯაკომონმა, — მაგრამ თავს ნუ წავაცლით. მივცეთ დრო მოსაფიქრებლად, მე ვფიქრობ, რადგან მხატვარი გენიალურია, მთლად ნორმალურიც ვერ იქნება. ამიტომ რამდენიმე დღით საგიჟეთში ჩავამწყვდიოთ.

კარისკაცებმა სასჯელი მსუბუქად ჩათვალეს და ახმაურდნენ, მაგრამ მალევე დაშოშმინდნენ, რადგან ჯაკომონის ხასიათი კარგად იცოდნენ.

— ჯერჯერობით კი, — განაგრძო ჯაკომონმა, — მხატვარს არ ეძლევა ხატვის ნება, არც ფანქრით და არც საღებავებით.

ასე რომ, ბანანიტოც ვერ ასცდა საგიჟეთს. მან ვერ მოახერხა ცალკე საკანში ვერც ქაღალდის, ვერც ფანქრების, ვერც საღებავებისა და ფუნჯის შეტანა. გულითაც რომ მოენდომებინა, კედლებზე ქეჩააკრულ საკანში აგურის ან ცარცის ნატეხსაც ვერ იპოვიდა. მხოლოდ სისხლით თუ შეძლებდა ხატვას. ძალაუნებურად ბედს უნდა შერიგებოდა და ახალი შედევრების შექმნა მომავლისათვის გადაედო.

ის ტახტზე წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და ახლადშეთეთრებულ ჭერს მიაჩერდა. მის თვალწინ ერთმანეთს სცვლიდა ერთიმეორეზე მშვენიერი ნახატები, რომელთაც ციხიდან გასვლის შემდეგ აუცილებლად დახატავდა. ციხიდან თავს რომ დააღწევდა, ამაში კი ეჭვი ერთი წუთითაც არ ეპარებოდა.

ბანანიტო არ ცდებოდა. მის გამოსახსნელად ვიღაც უკვე ზრუნავდა. მისი სახელი თქვენ ენის წვერზე გადგათ: რასაკვირველია, ეს არის ჩვენი ყოჩაღი ფეხცანცარა ციცუნია.

ცალი თათის გაწირვა
მოუხდება კატას...
ასე იხსნის ციხიდან
ბანანიტო მხატვარს.

თავი მეჩვიდმეტე

როცა ბენვენუტო მუხლჩაუხრელის სახლში, სადაც ჯელსომინო დაჟეჟილ მუხლს იშუშებდა, გაიგეს, ბანანიტო მინისტრად დაუნიშნავთო, ფეხცანცარა

ციცუნიამ არც აცივა, არც აცხელა, სასწრაფოდ დაწერა თხოვნა მის სახელზე დეიდა სარიყლაპიას და რომოლეტას გათავისუფლების თაობაზე და სასახლისაკენ გაექანა. სამწუხაროდ, როცა ჩვენი ციცუნია სასახლეში მივიდა, ბანანიტო მინისტრი აღარ იყო. მისი ბედის ვარსკვლავი ელვის უსწრაფესად ჩაესვენა.

— ბანანიტოს ნახვა გინდა? — ჩაიხითხითეს ჩაფრებმა. — საგიჟეთში მიაკითხე, საგიჟეთში. მაგრამ ვინ იცის, შეგიშვებენ თუ არა? აი, გიჟი რომ იყო, მაშინ...

ფეხცანცარა ციცუნია დიდხანს ფიქრობდა, თავი მოეგიჟიანებინა, თუ რაიმე სხვა გზა მოენახა საგიჟეთში შესასვლელად. ბოლოს ისევ ჩუმად შეპარვა გადაწყვიტა.

— თქვენი იმედი მაქვს, ჩემო თათებო! ახლა ოთხნი ხართ და უფრო იოლად აცოცდებით კედელზე.

საგიჟეთი მოთავსებული იყო ციხე-სიმაგრესავით ტლანქ, პირქუშ შენობაში. შენობას გარშემო წყლით სავსე თხრილი ჰქონდა შემოვლებული. ფეხცანცარა ციცუნიას სხვა გზა არ ჰქონდა, ძალაუნებურად აბაზანა უნდა მიეღო. ჩახტა წყალში, გაცურა, გავიდა მეორე ნაპირზე, აფოფხდა კედელზე და პირველსავე ღია ფანჯარაში შეხტა.

ეს ფანჯარა თურმე სამზარეულოს ეკუთვნოდა. მზარეულები და ფარეშები დასაძინებლად წასულიყვნენ. სამზარეულოში მხოლოდ ერთი პატარა ბიჭი დაეტოვებინათ, რომელიც იატაკს ხეხავდა. ბიჭმა თვალი მოჰკრა კატას და დაუცაცხანა:

— გასწი აქედან, შე უპატრონო! მე რა მაქვს, შენ რა მოგცე.

მართლაც, საცოდავ ბიჭს კუჭი სულ შიმშილით ეწვოდა. როგორც დროს იხელთებდა, მაშინვე სამზარეულოს ნარჩენებს ეცემოდა და უკანასკნელ ძვალსაც არ ტოვებდა გამოუხრავს. შეშინებული ბიჭი კატას გაეკიდა, არაფერი მომტაცოსო და სამზარეულოს კარი გამოღებული დარჩა. ფეხცანცარა ციცუნიამ ისარგებლა ამით, გაძვრა კარში და დერეფანში გავიდა. გრძელი დერეფნის ორივე მხარეს პალატები იყო ჩამწკრივებული, პალატაში ჩამწღვდეული იყვნენ გიჟები, უფრო სწორად პატიმრები. რა თქმა უნდა, მათ ტყუილად სწამებდნენ სიგიჟეს. ისინი მხოლოდ იმაში იყვნენ დამნაშავენი, რომ ერთხელ სიმართლე წამოსცდათ და მათი ნათქვამი, მათდა საუბედუროდ, ჯაკომონის ჩაფრებმა გაიგონეს.

ზოგიერთი პალატა დერეფნიდან მხოლოდ მაგარი გისოსით იყო გადაღობილი, ზოგიერთს კი რკინის მძიმე კარი ჰქონდა. კარში ჩატანებული იყო პატარა ფანჯარა საჭმლის მისაწოდებლად.

ერთ-ერთ ასეთ პალატაში ფეხცანცარა ციცუნიამ დეიდა სარიყლაპიას კნუტებს მოჰკრა თვალი. როგორ გაუკვირდა, როცა მათთან ერთად კეთილი მურაც დაინახა. კატებს ერთმანეთის კუდებზე დაედოთ თავები და ტკბილად ეძინათ. ვინ იცის, რა სიზმრებს ხედავდნენ. ფეხცანცარა ციცუნიამ ვერ გაბედა მათი გაღვიძება. თუმცა, თუნდაც გაეღვიძებინა, ახლა მაინც ვერაფერს უშველიდა. თქვენ კარგად გახსოვთ, რომ კალიმერ თამასუქიც იმავე პალატაში მოათავსეს, რომელ პალატაშიც კნუტები იყვნენ. კალიმერს არ ეძინა და როგორც კი თვალი მოჰკრა ფეხცანცარა ციცუნიას, მაშინვე ხვეწნა დაუწყო:

— დობილო, შენ გახარებას, ერთი თაგვი მომიყვანე, შენ ხომ თავისუფლად დანავარდობ! მხოლოდ ერთი თაგვი მომიყვანე! რამდენი ხანია, თაგვი თვალით აღარ მინახავს. რა გემოსია, ისიც კი დამავიწყდა.

«აი, ეს კი ნამდვილად გიჟია», — გაიფიქრა ფეხცანცარა ციცუნიამ.

დერეფნის ბოლოს ციცუნიამ საერთო პალატა შენიშნა. ამ პალატაში ას კაცს მაინც ეძინა. მათ შორის იყვნენ დეიდა სარიყლაპია და რომოლეტა. შუქი რომ

ჩამქრალი არ ყოფილიყო, ფეხცანცარა ციცუნია ალბათ დაინახავდა მათ და იცნობდა. დეიდა სარიყლაპიას ეძინა, თორემ ძველ ჩვეულებას არ უღალატებდა და ხელს სტაცებდა ციცუნიას. მაგრამ შუქი არ ენთო და ყველა პატიმარი, რომოლეტას ჩათვლით, ღრმა ძილს მისცემოდა. ციცუნიამ ფეხაკრეფით გაიარა მთელი პალატა, მერე კიბე აირბინა და ზედა სართულზე ავიდა. დიდხანს ეძებდა იმ საკანს, რომელშიც ბანანიტო იყო ჩამწყვდეული და ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნო.

მხატვარს თავქვეშ ამოედო ხელები და მშვიდად ეძინა. სიზმარშიაც ხედავდა მშვენიერ ნახატებს, რომელთაც მომავალში დახატავდა. უცაბედად ერთ ნახატზე სიცარიელე გაჩნდა, მერე ეს სიცარიელე ათასფერმა ყვავილებმა დაფარა. ყვავილებიდან კატამ ამოყო თავი და დაიკნავლა. ეს კნავილი ფეხცანცარა ციცუნიას კნავილს წააგავდა. ბანანიტომ თვალი გაახილა და როცა რკინის კარი დაინახა, მხოლოდ მაშინღა გაახსენდა, სადაც იყო. უცებ შენიშნა, რომ კარში ჩატანებული სარკმელი ღია იყო და იქიდან ფეხცანცარა ციცუნია იცქირებოდა. ახლა კი ციცუნია ცხადად კნაოდა.

— ბანანიტო, ბანანიტო! ასეთი მაგარი ძილი გაგონილა?

— ფეხცანცარა ციცუნიასავით არ აცმაცუნებს ულვაშებს? თავს მოვიჭრი, თუ ეს ფეხცანცარა ციცუნია არ იყოს!

— გაიღვიძე, ბანანიტო, გაიღვიძე! არ გესმის? ეს მე ვარ, ფეხცანცარა ციცუნია! რომ იცოდე, როგორ გამომადგა შენი დახატული ფეხი! უამისოდ ალბათ აქამდე ვერ ამოვაღწევდი.

ფეხცანცარა ციცუნიამ ტანი წაიგრძელა, სარკმელში გადაძვრა, იატაკზე ისკუპა, მიირბინა ბანანიტოსთან და ხელი აულოკა.

— მე შენს დასახმარებლად მოვედი.

— დიდი მადლობა, მაგრამ შენ რა უნდა მიშველო?

— ჯერ არ მომიფიქრებია. მაგრამ, ხომ შეიძლება, ჩაფარს გასაღები მოვპარო.

— გაეღვიძებათ და მერე რაღა ვქნათ?

— რისთვისა მაქვს ეს კბილები, გავღრღნი კარს და გაგაპარებ.

— ათი წლის ვადა რომ გქონდეს, მაშინ იქნებ გაგეღრღნა ეს რკინის კარი. მოიცადე, მე ვიცი, ახლა რაც მჭირდება.

— რა გჭირდება?

— ქლიბი. შენ ერთი ქლიბი მიშოვე და მერე მე ვიცი.

— შენ მაგაზე ნუ სწუხარ, ახლავე გიშოვი!

— ჩვენს გაჭირვებას უფრო ადვილად ეშველებოდა, ქლიბის დახატვა რომ შემეძლოს, — თქვა ბანანიტომ, — მაგრამ იმ ყაჩაღებმა ფანქრის პატარა ნატეხიც არ შემარჩინეს.

— ამის მეტი თუ არაფერი გაწუხებს, აჰა, ჩემი თათები, — შესძახა ფეხცანცარა ციცუნიამ. — ხომ არ გავიწყდება, რომ სამი თათი ცარცითა მაქვს დახატული, მეოთხე კი ზეთის საღებავით.

— ეგ როგორ იქნება? თათები წაგეშლება.

მაგრამ ციცუნიამ ყურიც არ ათხოვა ბანანიტოს ლაპარაკს.

— წამეშლება და წამეშალოს, მერე ახალ თათებს დამიხატავ.

— ფანჯრიდან როგორღა ჩავიდეთ?

— პარაშუტი დახატე.

— თხრილი როგორღა გადავცუროთ?

— ნავიც დახატე.

როცა ბანანიტომ დახატა ყველაფერი, რაც ტყვეობიდან გასაქცევად იყო საჭირო, ფეხცანცარა ციცუნიას ერთი თათი ისე დაელია, მნახველს ეგონებოდა, მოუკვეთავთო.

— აჰა, ხომ კარგი ვქენი, სახელი რომ არ შევიცვალე, — გაიცინა ციცუნიამ. — ფეხცანცარა ვიყავ და ფეხცანცარა დავრჩი.

— თუ გინდა, ახლავე დაგიხატავ სანაცვლოს, — შესთავაზა ბანანიტომ.

— რა დროს ეგ არი! გავიქცეთ, სანამ ყარაულებს არ გაღვიძებიათ.

ბანანიტომ ქლიბი აამუშავა. საბედნიეროდ, ისეთი ქლიბი დახატა, რომელიც რკინას ყველივითა ჭრიდა. რამდენიმე წუთში ბანანიტომ იმოდენაზე გამოჭრა კარი, რომ თავისუფლად გატეულიყო და ჩვენმა მეგობრებმა დერეფანში ამოყვეს თავი.

— მოდი, ახლა დეიდა სარიყლაპია და რომოლეტა გავათავისუფლოთ, ნურც კნუტებს დავივიწყებთ. — თქვა ფეხცანცარა ციცუნიამ.

მაგრამ ხმაურზე ყარაულებს გაეღვიძათ და შემოვლა დაიწყეს, რომ დამნაშავენი აღმოეჩინათ. ბანანიტომ და ფეხცანცარა ციცუნიამ ყური მოჰკრეს ყარაულების ფეხის ხმას და დაფაცურდნენ. რიტმული ნაბიჯები ხან ერთი დერეფნიდან მოისმოდა, ხან მეორედან და თანდათან ახლოვდებოდა.

— არიქა, სამზარეულოსაკენ გავიქცეთ! — ჩურჩულით თქვა ფეხცანცარა ციცუნიამ. — სხვას ვეღარავის ვუშველით და ჩვენს თავს მაინც ვუშველოთ. გარეთ უფრო მეტ საქმეს გავაკეთებთ, ვიდრე ტყვეობაში

მაგრამ როცა სამზარეულოში შეცვივდნენ, პატარა ბიჭმა ისევ შეუტია ციცუნიას:

— ახლა არ გაგაგდე, შე მუცელჩასახეთქო! რას დაეძებ, რა დაგკარგვია? მოუსვი აქედან! აი ფანჯარა, აბა, ახლავე გადასკუპდი. მეტი ჯავრი არა მაქვს, თუ წყალში დაიხრჩობი.

ბიჭი ისე იყო შეშინებული, კატამ არაფერი ამწაპნოსო, რომ მეტს ვეღარაფერს ხედავდა და ბანანიტო ვერც კი შეამჩნია. ამასობაში ბანანიტომ პაპაშუტი ჩაიბა, ნავიც მოამზადა და ფეხცანცარა ციცუნია ხელში აიყვანა.

— წავიდეთ!

— წადით, წადით, დაიკარგეთ აქედან, — ანჩხლობდა ბიჭი. — თქვენი ფეხი აქ აღარ ვნახო!

როცა ბანანიტო ფანჯრიდან გადახტა, ბიჭი მხოლოდ მაშინღა შეეჭვდა, აქ რაღაც სხვა ამბავიაო.

«ეს საიდანღა გამოტყვრა?» — თავი მოიქექა მან. უნდოდა, დაეყვირა, მაგრამ მერე იფიქრა, ხათაბალას არ გადავეყაროო და არჩია, გაჩუმებულიყო. გადაწყვიტა, თუ ვინმე ჰკითხავდა, ეთქვა, არც დამინახავს ვინმე და არც გამიგია რაო. მერე ნარჩენები გადაქექა, კომბოსტოს ხიკვი იპოვა და ღრღნა დაუწყო, თან სიამოვნებისაგან კრუსუნებდა.

ბანანიტოს გაქცევა ყარაულებმა მალე შენიშნეს, ფანჯრებს ეცნენ და განგაში ატეხეს:

— არიქა! დაიჭირეთ! სახიფათო გიჟი გაგვექცა.

ბანანიტო და ფეხცანცარა ციცუნია სასწრაფოდ ჩასხდნენ ნავში და რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, ნიჩბები მოუსვეს. გავიდნენ მეორე ნაპირზე, მაგრამ შორს ვეღარ წავიდოდნენ, ბენვენუტოს ორთვალა რომ არ დაეხვედრებინა. ბენვენუტო მუხლჩაუხრელი ფეხცანცარა ციცუნიას განზრახვას მიმხვდარიყო და დასახმარებლად წამოსულიყო, სწორედ კარგ დროს მოასწრო.

— ჩქარა, ჩქარა, აი, აქ დაიმალეთ! — ჩურჩულებდა მოხუცი. მან გაქცეულები ორთვალაზე დასხა და ზემოდან ძველმანები წააფარა.

მალე ჩაფრები მოცვივდნენ. ბენვენუტომ მათ გზა-კვალი აუბნია.

— აი იქით გაიქცნენ! — უჩვენა ვიწრო შესახვევისაკენ.

— შენ თვითონ ვინა ბრძანდები?

— მე ერთი საწყალი მეძველმანე ვარ. აქ დასასვენებლად შევჩერდი, — უპასუხა ბენვენუტომ, თანაც, ვითომ მართლა ძალიან იყო დაღლილი, ხვნეშით ჩამოჯდა ორთვალას სახელურზე და ჩიბუხი გააჩაღა. საწყალი ბენვენუტო! მან ხომ ძალიან კარგად იცოდა, რომ ჯდომაში ჭაღარა მოემატებოდა და, ვინ იცის, ამ რამდენიმე წუთში სიცოცხლის რამდენი წელი დააკლდებოდა. მაგრამ ასეთი ხასიათი ჰქონდა და რა უნდა ექნა.

«ჩემი დანაკლისი დღეები სხვას შეემატება, — ფიქრობდა ის, — ასე რომ ჩემი სიცოცხლე ფუჭად არ იკარგება».

ბენვენუტომ მაგრად მოქაჩა ჩიბუხი და ჩაფრებს პირდაპირ სახეში შეაბოლა.

საუბედუროდ, ამ დროს ფეხცანცარა ციცუნიას ცხვირში რაღაცამ შეუღიტინა. ძველმანები ისე იყო ამტვერილი, მარტორქასათვის რომ ჩაგეყოფინებინათ თავი, ისიც ვერ გაუძლებდა. ციცუნიას უნდოდა, წინა თათები მოეჭირა ცხვირზე, მაგრამ გვიან გაახსენდა, რომ ერთი თათი აკლდა. თავი ვეღარ შეიკავა და ისე მაგრად დააცემინა, მტვრის კორიანტელი დააყენა.

ფეცხანცარა ციცუნიას შეეშინდა, ბანანიტო არ იპოვონო, ამიტომ არჩია, ორთვალიდან გადმომხტარიყო და გაქცეულიყო.

— ეს საიდანღა გაჩნდა? — იკითხეს ჩაფრებმა.

— ეგ ერთი მაწანწალა ძაღლია, — უპასუხა ბენვენუტომ — ეტყობა, ძველმანებში იმალებოდა, ახლა კი გარბის.

— რახან გარბის, დამნაშავეც იქნება, — თქვა ერთმა ჩაფარმა. — უნდა დავიჭიროთ.

ფეხცანცარა ციცუნიამ ზურგს უკან მძიმე ნაბიჯების ხმა და ძახილი გაიგონა: — «დაიჭი, არ გაუშვა! «

— სჯობია, მე გამომეკიდონ, — გაუხარდა ციცუნიას, — მხატვარსა და ბენვენუტოს მაინც დაეხსნებიან.

ის, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გარბოდა ქალაქის ქუჩებში, უკან კი ენაგადმოგდებული ჩაფრები მისდევდნენ. გამოჩნდა მეფის სასახლე და მოედანი. აგერ ის სვეტიც, რომელზედაც ერთი ღამე მშვიდად გაატარა.

— ერთი ნახტომიც და სამშვიდობოს ვიქნებით! აბა, ვთქვენ იცით! — შეევედრა ციცუნია თავის თათებს. თათებმაც არ გააწბილეს. ციცუნიამ ისკუპა, მაგრამ ცოტა მეტი მოუვიდა, იმის მაგივრად, რომ სვეტზე შემხტარიყო და მერე მაღლა აცოცებულიყო, სვეტს ზედ მიეწება და ისევ ნახატ კატად იქცა. როგორც უწინ, ახლაც მხოლოდ სამი თათი ჰქონდა. პირველად ციცუნიას ეს ამბავი გაუხარდა კიდეც, რადგან ჩაფრები, როგორც შემდგომში თითონვე წერდნენ, «პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ».

— სად გაქრა ის სატიალო? — ეკითხებოდნენ ისინი ერთმანეთს.

— საკუთარი თვალით დავინახე, აი, ამ სვეტზე შეხტა.

— სვეტზე არაფერი ჩანს.

— ერთი შეხედეთ, ეს რა დაუჯღაბნიათ! — თქვა ერთმა ჩაფარმა, — ნახეთ, ვიღაც ბიჭს ცარცით რა სასაცილო ძაღლი დაუხატავს.

— წამოდი ერთი ნახატებისთვის გვცალია? — უთხრეს სხვებმა.

ბენვენუტო კი ამ დროს რის ვაი-ვაგლახით მიათრევდა ორთვალას სახლისაკენ. ხშირ-ხშირად ჩერდებოდა სულის მოსათქმელად. ერთი-ორჯერ ორთვალას სახელურზეც ჩამოჯდა, რადგან დაღლილობისაგან ფეხს ვეღარ ადგამდა. ერთი სიტყვით, სახლიდან როცა გამოვიდა, ოთხმოცი წლისაც არ იქნებოდა, მაგრამ როცა დაბრუნდა, ალბათ ოთხმოცდაათიც უკან ჰქონდა დარჩენილი, წელში მოიკაკვა, თავი მხრებში ჩაუვარდა, თვალები ჩაუცვივდა, ისეთი ხმა ჰქონდა, იფიქრებდით, მიწიდან ამოდისო.

— ბანანიტო, ადექი, მოვედით.

მაგრამ ბანანიტოს არაფერი ესმოდა, ძონძებში ჩამთბარს ჩასძინებოდა.

ამ თავში კი შეიტყობთ,_
გეწყინებათ ძალიან:
როგორ მოკვდა ბენვენუტო
სული როგორ დალია.

თავი მეთვრამეტე

— რას ბუტბუტებ? ძონძებს ხომ არ ელაპარაკები?

ბენვენუტო ამაოდ ცდილობდა მხატვრის გაღვიძებას, ამ დროს თავს წამოადგა ღამის ყარაული.

— რა ძონძებს ველაპარაკები? — დროს მოსაგებად შეეკითხა ბენვენუტო.

— ჩემი ყურით გავიგონე, ამ ძონძმანებს დაჰყურებდი და რაღაცას ბუტბუტებდი. ალბათ ითვლიდი, რამდენი ძონძი მოაგროვე.

— ჩემთვის თუ ვლაპარაკობდი… ამ ბოლო დროს ხშირად მემართება ასე. — თავი მოისაწყლა ბენვენუტომ. — დავიქანცე შვილო, აბა, ჩემი ხნის კაცი ქუჩაში უნდა დაწანწალებდეს და ორთვალას დააგორებდეს?

— მერე, რას იკლავ თავს. ცოტა ჩაიმუხლე. ამ შუაღამისას შენი ძველმანებისთვის ვისა სცხელა, — უთხრა ღამის ყარაულმა.

— სჯუბია, მართლა დავისვენო, — თქვა ბენვენუტომ და ისევ ჩამოჯდა ორთვალას სახელურზე.

— შეიძლება, მეც ჩამოვჯდე? — დაეკითხა ყარაული,

— დაჯექი, აგერ მეორე სახელური.

— გმადლობთ. მეც ძალიან დავიღალე, რა ვუთხრა ჩემს ბედს. პიანისტობაზე ვოცნებობდი და ყარაულობაში კი მძვრება სული. რა იქნებოდა, პიანისტი ვყოფილიყავ, მეცხოვრა მოსვენებით და მხოლოდ მუსიკით დავმტკარიყავი. მუსიკოსობა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. მახსოვს, მასწავლებელმა თემა დაგვაწერინა: «ვინ გინდათ, რომ გამოხვიდეთ, როცა გაიმზრდებით?» მე დავწერე: «როცა გავიზრდები, პიანისტი ვიქნები, მოვივლი მთელ ქვეყანას, ყველგან გავმართავ კოცერტებს. ხალხი ტაშის გრიალით შემეგებება, ჩემი სახელი მთელ ქვეყანას მოედება». მთელ ქვეყანაში კი არა, ქურდებშიაც ვერ გავითქვი სახელი, ერთი ქურდის დაჭერაც ვერ მოვახერხე. მოიცა, იქნებ შენც არ ხარ კაი სული?

ბენვენუტომ თავის გაქნევით დაამშვიდა.

მას უნდოდა, ნუგეში ეცა, გაემხნევებინა საცოდავი ღამის ყარაული, მაგრამ სიტყვა ვეღარ დაძრა, გრძნობდა ბენვენუტო, როგორ ეცლებოდა ხელიდან სიცოცხლე ყოველ წამს, მაგრამ რა უნდა ექნა, იჯდა და ჩუმად უსმენდა.

ღამის ყარაული კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა ოხვრით თავის სამსახურზე, შვილებზე, და პიანინოზე, რომელიც არასოდეს არა ჰქონია.

— უფროსი შვილი ათი წლისაა, — ყვებოდა ის. —გუშინ იმანაც კარგი თემა დაწერა სკოლაში. ყველა მასწავლებელი ერთსა და იმავე თემას აწერინებს თავის მოწაფეებს: «ვინ გინდათ გამოხვიდეთ, როცა გაიზრდებით?» იცი, რა დაწერა ჩემმა ბიჭმა? მფრინავი გამოვალ და რაკეტით გავფრინდები მთვარეზეო. მე მთელი სულითა და გულით მინდა, რომ ოცნება აუსრულდეს, მაგრამ ორი წლის მერე იძულებული ვიქნები, მუშაობა დავაწყებინო, რადგან ჩემი ხელფასით ოჯახს ერ ვარჩენ. შენ რას ფიქრობ, შეიძლება, ჩემი შვილი მართლა კოსმოსის მკვლევარი გახდეს?

ბენვენუტომ თავი დაუქნია. მას სურდა, ეთქვა, უნდა გწამდეს, ქვეყნად შეუძლებელი არაფერია და იმედი არასოდეს არ უნდა დაკარგო, რომ ოცნება ოდესმე აგიხდებაო. მაგრამ ყარაულმა მისი თავის დაქნევა ვერ დაინახა. მან შეხედა ბენვენუტოს და გაიფიქრა, ალბათ ჩაეძინაო.

— საწყალი მოხუცი, — ჩურჩულით თქვა მან, — მართლა დაქანცული ყოფილა. წავიდე, ჩემს საქმეს მივხედო.

ყარაული ჩუმად ადგა და უხმაუროდ, ფეხის წვერებზე გაეცალა ბენვენუტოს. ბენვენუტო კი ისევ ისე უძრავად იჯდა. ადგომა უნდოდა, მაგრამ თავი აღარა ჰქონდა.

— ცოტა ხანს ასე ვიჯდები, — ფიქრობდა ის. — რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. ბანანიტო სამშვიდობოსაა. საწყალმა ყარაულმაც გული მოიოხა ჩივილით.

მას აზრები თანდათან ეფანტებოდა, თანდათან ბურანში იძირებოდა. საიდანღაც სიმღერა შემოესმა. ეჩვენებოდა, თითქოს ნანას უმღეროდნენ, შემდეგ კი სიმღერაც მიწყდა.

ჩემო კარგებო, ბენვენუტოს ეს სიმღერა არ მოსჩვენებია. მღეროდა მძინარე ჯელსომინო. მისი ხმა ოთახიდან ქუჩაში გაიჭრა და ბანანიტო გამოაღვიძა.

ბანანიტო ძონძებიდან გამოძვრა და ბენვენუტოს დაუძახა:

— ბენვენუტო, ბენვენუტო! სადა ვართ, რა მოხდა?

მაგრამ ბენვენუტო საუკუნოდ დადუმებულიყო.

მხატვარი ორთვალადან გადმოხტა, მივარდა ბენვენუტოს და შეანჯღრია.

მოხუცს ხელები ყინულივით ცივი ჰქონდა. სახლიდან კი ჯელსომინოს მომაჯადოებელი ხმა მოისმოდა, ალერსიანი ნანა ირხეოდა ჰაერში და მთელ ქუჩას ავსებდა.

ბანანიტო სახლში შევარდა ჯელსომინოს გასაღვიძებლად. მალე ორთავენი თავს ედგნენ ბენვენუტოს.

— მომკვდარა! — აქვითინდა ჯელსომინო.

— ჩვენი გულისათვის მოკვდა, უკანასკნელი ძალა ჩვენ შეგვალია. ჩვენ კი არხეინად გვეძინა.

ამ დროს ქუჩის ბოლოს ისევ ის ღამის ყარაული გამოჩნდა.

— ჩქარა სახლში შევიტანოთ, — ჩურჩულით უთხრა ჯელსომინომ ბანანიტოს, მაგრამ დახმარება აღარ დასჭირდა, ბენვენუტო ისე დამსუბუქებულიყო, რომ ბავშვივით აიტაცა ხელში.

ყარაული ცოტა ხანს შეჩერდა ორთვალასთან.

«— ბებერი მეძველმანე ალბათ აქ ცხოვრობს, — თქვა მან, — შუა გზაზე დაუგდია თავისი ორთვალა. ამაზე ჯარიმა ეკუთვნის, მაგრამ მოდი, თავს ისე დავიჭერ, ვითომ ამ ქუჩაზე არც გამივლია. ისეთი კარგი მოხუცია.

საწყალი ბენვენუტო... სახლში ერთი ტახტიც არ ედგა. ჯელსომინომ და ბანანიტომ მიცვალებული იატაკზე დაასვენეს და თავქვეშ უბრალო ბალიში ამოუდეს.

ბენვენუტო დამარხეს, როცა ორი დღე გავიდა იმ ამბების შემდეგ, რის შესახებაც თქვენ ჯერ არაფერი იცით და მომდევნო თავებში შეიტყობთ.

დაკრძალვას უამრავი ხალხი დაესწრო, მაგრამ არავის წარმოუთქვამს სიტყვა, თუმცა, ყოველ მათგანს კარგად ახსოვდა მეძველმანის სიკეთე და დაუსრულებლად შეეძლო ელაპარაკა.

ჯელსომინომ პირველად სწორედ ბენვენუტოს დარძალვაზე იმღერა, ისე, რომ არაფერი გაუტეხია. მის ხმას სიძლიერე არ მოჰკლებია, მაგრამ ახლა ისეთი სინაზე ჩააქსოვა, ყველას ცრემლები მოჰგვარა. უსმენდა ხალხი და გრძნობდა, რომ გული სიკეთით ევსებოდათ.

მაგრამ ბენვენუტოს დაკრძალვამდე, როგორც უკვე მოგახსენეთ, ბევრი რამ მოხდა.

უპირველეს ყოვლისა, ჯელსომინომ და მხატვარმა შენიშნეს, რომ ფეხცანცარა ციცუნია არსად ჩანდა. პირველად, ბენვენუტოს სიკვდილით შეწუხებულებს, ამ ამბისათვის ყურადღება არ მოუქცევიათ.

— ციცუნია ჩემთან ერთად იწვა ორთვალაში, — თქვა ბანანიტომ. — ზემოდან ძონძები გვეყარა და ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ აშკარად გავიგონე, რომ დააცემინა.

— ალბათ, რაღაც ფათერაკს გადაეყარა, — თქვა ჯელსომინომ.

— იქნებ საგიჟეთში დაბრუნდა დეიდა სარიყლაპიას და რომოლეტას გამოსახსნელად?

— ყველა რაღაცას აკეთებს, — თქვა დარცხვენილმა ჯელსომინომ. — მე კი უსაქმობაში მძვრება სული. მხოლოდ ჭაღების ჩამომსხვრევა და ხალხის დაფრთხობა შემიძლია.

ჯელსომინო ასე სასოწარკვეთილი არასოდეს ყოფილა, მაგრამ სწორედ ამ დროს რაღაც აზრმა ელვასავით გაჰკრა თავში და ფეხზე წამოაგდო.

— მაცალეთ! — შესძახა მან. — გაჩვენებთ, რა შემიძლია და რა არა.

— სად გარბიხარ? — კარებში დაეწია ჯელსომინოს ბანანიტოს ხმა.

— ახლა ჩემი ჯერი დადგა, — უპასუხა ჯელსომინომ. — სახლიდან ფეხი არ გამოადგა, თორემ, ხომ იცი, პოლიცია დაგეძებს. ჩემს ამბავს კი მალე შეიტყობ. ისეთ ამბებ გაიგებ, იქნებ ყურს არ უჯერებდე.

სიცრუის სენი სულ ქრება,
არც არასოდეს იმატებს
და რაც დრო გადის, ხმამაღლა
გაჰქუხს ამქვეყნად სიმართლე.

თავი მეცხრამეტე

ბანანიტოს გაქცევით გამოწვეულმა ალიაქოთმა გაიარა და საგიჟეთში ისევ სიწყნარე დამყარდა. პალატებში, საკნებში, დერეფნებში ძილს მისცეს თავი. მხოლოდ საცოდავ მზარეულ ბიჭს არ ეკარებოდა ძილი. ან რა დააძინებდა, როცა დღე და ღამე შიმშილისაგან კუჭი ეწვოდა, როგორც კი ყველას მძინარეს დაიგულებდა, მაშინვე ნარჩენებს დაუწყებდა ქექვას, იქნება რამე სასუსნავი ვიშოვოო. არც ბანანიტოს დარდი ჰქონდა და არც იმათი, ვინც ბანანიტოს გაეკიდა. უცებ სიმღერის ხმა

შემოესმა, «რა დროს სიმღერაა», — გაიფიქრა და ფანჯრიდან გადაიხედა. საგიჟეთის პირდაპირ, შუა მოედანზე იდგა არცთუ ისე მაღალი, რის მაღალი, მაღალი კი არა, პატარა ტანის ჭაბუკი და მღეროდა.

მზარეულის ბიჭი თან კარტოფილის ნაფცქვენებს ახრამუნებდა, თან მომღერალს ათვალიერებდა.

— აი ნამდვილი დამთხვეული! ლამაზი ქალის ფანჯარასთან რომ მღერიან სერენადებს, გამიგონია, მაგრამ საგიჟეთის ფანჯრებთან რომ მღეროდნენ, პირველად მესმის. თუმცა, ეს მისი საქმეა, ისე კი, რა მძლავრი ხმა აქვს. ნაძლევსა ვდებ, რომ ორ წუთში ყარაულები დაიჭერენ.

მაგრამ ყარაულები ფეხცანცარა ციცუნიამ ისე დაქანცა, რომ მკვდრებივით ეძინათ.

ჯელსომინომ პირველად ხმის მოსასინჯად ნელა დაიწყო სიმღერა. მერე კი თანდათან აუწია. მზარეულის ბიჭმა კარტოფილის ნაფცქვენებს თავი გაანება და სმენად გადაიქცა.

— საოცარია, უსმენ და შიმშილი გავიწყდება, — თქვა მან.

მაგრამ ამ დროს იმ ფანჯრის მინა, რომლიდანაც ბიჭი იყურებოდა დაიმსხვრა და ცოტას გადარჩა, ცხვირი არ გაუჭრა.

— ეე... ვინ ისვრის ქვებს?

ერთ წამსაც არ გაუვლია და ატყდა საშინელი ლაწალუწი. ერთიმეორეზე იმსხვრეოდა მინები უზარმაზარი, პირქუში შენობის ყველა სართულზე. ყარაულები დაფაცურდნენ. ეგონათ, ტუსაღები აგვიჯანყდნენო, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ტყუილად შეშინდნენ. პატიმრებს, მართალია, ეღვიძათ, მაგრამ არ ეტყობოდათ, რომ რაიმეს აპირებდნენ. ისხდნენ წყნარად და ჯელსომინოს სიმღერით ტკბებოდნენ.

— ვინ ამტვრევს ფანჯრებს? — ყვიროდნენ ყარაულები.

— ჩუმად! — მოისმა ყოველი მხრიდან. — მოგვასმენინეთ! თქვენი ფანჯრების დარდი გვაქვს? ეშმკსაც წაუღია!

ფანჯრის მინებს გისოსებიც მიჰყვა, მსხვილი რკინები ასანთის ღერებივით იმსხვრეოდა, ბუდიდან ვარდებოდა, ბზრიალ-ტრიალით მიდიოდა დაბლა, ცხრილში ცვიოდა და წყალში იძირებოდა.

საგიჟეთის დირექტორი ვერხვის ფოთოლივით აკანკალდა, როცა გაიგო, რაც ხდებოდა.

— მგონი შემაცივა, — უთხრა მან თავის მდივნებს, გულში კი გაჰკრა: «მიწისძრა იწყება».

მან სასწრაფოდ გამოაყვანინა თავისი მანქანა, თქვა, მინისტრთან მივდივარ, უნდა მოვახსენო, რაც მოხდაო, საგიჟეთი ბედისანაბარად დააგდო და ქალაქგარეთ, საკუთარი აგარაკისაკენ მოუსვა.

«რა მინისტრი, რის მინისტრი, — ფიქრობდნენ გულმოსული მდივნები, — მინისტრთან წასვლა მოიმიზეზა და გაიპარა. არც ჩვენ ვისხდებით ხაფანგში მომწყვდეული თაგვებივით. სულელები კი არა ვართ. ჩვენც ვუშველით თავს».

ვისაც მანქანა ჰქონდა, მანქანაზე დაჯდა, ვისაც მანქანა არა ჰქონდა, ფეხით მოკურცხლა. ასაწევ ხიდთან მდგარი ყარაულები სანამ გონს მოვიდოდნენ, მათი კვალიც აღარსად იყო.

ირიჟრაჟა. მთის გადაღმიდან მზის პირველი სხივი ამოიჭრა და სახლის სახურავებზე ათამაშდა. სხივმა თითქოს ნიშანი მისცა ჯელსომინოს — «უფრო ხმამაღლა დასჭექეო!»

ნეტავი მოგესმინათ მაშინ ჯელსომინოსათვის! მისმა ხმამ ისეთი ძალით ამოხეთქა, როგორც ცეცხლოვანი ლავა ამოხეთქავს ხოლმე ვულკანის კრატერიდან. რაც საგიჟეთში ხის კარი იყო, ყველა ნაფოტებად იქცა და აქეთ-იქით გაიფანტა. რკინის კარები კი ისე დაიღრიცა, რომ კარობას ვეღარ გასწევდა. ტუსაღებს დალეწილი კარები ვეღარ აჩერებდა. ისინი დერეფანში გამოცივდნენ და სიხარულისაგან სულ მაღლა-მაღლა ხტოდნენ.

ყარაულები, ზედამხედველები, სანიტრები ყველა ერთად ეცა გასასვლელს. გაირბინეს ასაწევი ხიდი და მოედანზე გაცვივდნენ. ყველას ერთბაშად გაახსენდა, რომ ქალაქში სასწრაფო საქმე ჰქონდათ გასაკეთებელი.

— მე ძაღლი დამრჩა გასაბანებელი, — ამბობდა ერთი.

—მე ერთმა ნათესავმა ზღვაზე მიმიწვია რამდენიმე დღით, — ამბობდა მეორე.

— მე დამავიწყდა, წყალი გამომეცვალა წითელი თევზებისათვის. თუ არ გამოვუცვალე, დამეხოცებიან.

ისინი შიშმა აიტანა, მაგრამ ვერ ამჟღავნებდნენ, ისე იყვნენ მიჩვეული სიცრუეს.

მოკლედ, ორიოდე წუთი მომსახურე პერსონალიდან საგიჟეთში საცოდავი მზარეული ბიჭის გარდა აღარავინ დარჩა. იდგა ბიჭი კომბოსტოს ხიკვით ხელში და უკვირდა, რომ სრულებით აღარ გრძნობდა შიმშილს. თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო, რომ გონება გაუნათა წარმტაცმა აზრებმა, ისე როგორც ნისლიან დღეს ღრუბლებიდან უცაბედად გამომკრთალი სხივი გაანათებს ხოლმე.

მთელს პალატაში პირველად რომოლეტამ შენიშნა, რომ ზედამხედველები აღარსად ჩანდნენ.

— რაღას ვუცდით? ავდგეთ და ჩვენც გავიქცეთ! — უთხრა მან დეიდა სარიყლაპიას.

— ეს ხომ კანონის საწინააღმდეგო მოქმედება იქნება, — უპასუხა დეიდა სარიყლაპიამ. — თუმცა, კანონებიც თავის მხრივ ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ. კარგი, წავიდეთ.

მათ ერთმანეთს ჩასჭიდეს ხელი და კიბისკენ გაემართნენ, სადაც უკვე კისრისტეხით გარბოდა ხალხი. ისეთი არეულობა იყო, ეშმაკი ვერაფერს გაიგებდა, მაგრამ ღრიანცელში დეიდა სარიყლაპიამ მაინც გაარჩია თავისი კნუტების კნავილი. თუმცა მათაც, ფეხცანცარა ციცუნიას პატარა მოწაფეებმა, ამოდენა ხალხში მაშინვე იცნეს თავიანთი ამაყად თავაწეული, საღემოღუშული მფარველი და კნავილით გარს შემოეხვივნენ.

— აბა, ახლა სახლისკენ გავწიოთ! — ამბობდა ცრემლმორეული დეიდა სარიყლაპია და კნუტებს ითვლიდა. — ერთი, ორი, სამი, ოთხი... ყველა აქა ხართ? შვიდი, რვა! ოჰო, ერთი მოგმატებიათ კიდეც.

რასაკვირველია, მერვე ჩვენი კეთილი მურა იყო. დეიდა სარიყლაპიამ არც ის მიატოვა უპატრონოდ.

ჯელსომინომ სიმღერა შეწყვიტა და საგიჟეთიდან გამოსულ ხალხში კითხულობდა, ფეხცანცარა ციცუნია ხომ არ გინახავთო. მაგრამ მისი მნახველი არავინ იყო. ბოლოს მოთმინება დაკარგა.

— დარჩაღა ვინმე საგიჟეთში? — იკითხა მან.

— აღარავინ აღარაა.

— აბა, მაშინ უყურეთ!

ჯელსომინომ ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, ისე როგორც მყვინთავები სჩადიან ხოლმე, სანამ წყალში ჩაყვინთავენ, ხელები პირთან რუპორივით მიიტანა, რათა

მთელი ხმა ერთი მხრისკენ მიემართა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დაიყვირა. თუ ვენერაზე და მარსზე არის მოსახლეობა და ოდნავი სმენა მაინც გააჩნიათ, ჯელსომინოს ხმა მათ ყურამდეც მიაღწევდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, შენობა ისე შეზანზარდა, გეგონებოდათ, ციკლონმა გადაუარაო. სახურავიდან კრამიტები და საკვამურები ერთ წამს მტვერივით გადაიხვეტა, მერე კედლები გვერდზე გადაიხარა, შეტორტმანდა და საშინელი ხმაურით მიწას დაენარცხა, ნანგრევებმა თხრილი ამოავსო და წყალმა ნაპირები გადმოხეთქა.

ეს ამბავი მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა. ამაში დაგვემოწმება მზარეული ბიჭი, რომელიც ტუსაღების გაქცევის შემდეგაც საგიჟეთში იყო დარჩენილი. მან ძლივს მოასწრო თავისი ფანჯრიდან გადმოხტომა და თხრილი ორი ხელის მოსმით გადაცურა. ავიდა თუ არა თხრილის მეორე ნაპირზე, მის ზურგს უკან მთელი შენობა ჩამოწვა.

— ვაშა! — გაისმა მთელს მოედანზე. სწორედ ამ წუთს ამობრწყინდა მზე და გადმოხედა ქვეყანას, თუმცა არავინ მისულა მასთან და არ უთქვამს: «იჩქარე, თორემ ვეღარ ნახავ ამ სანახაობასო».

ხალხმა ჯელსომინო ხელში აიტაცა და ტრიუმფით წაიყვანა. ჟურნალისტებმა ვერ მოახერხეს ახლოს მიჰკარებოდნენ და რაიმე ეკითხათ. ხან ვის ეცნენ, ხან ვის, მაგრამ მათი დარდი არავის ჰქონდა. იძულებული გახდნენ, კალიმერ თამასუქის ინტერვიუ ეკმარათ. კალიმერი განზე გამდგარიყო და ცხვირპირი ჩამოსტიროდა.

— ხომ არ მოგვაწვდით რაიმე ცნობას «სამაგალითო მატყუარასთვის?» — შეეკითხნენ მას ჟურნალისტები.

— მიაუ! — უპასუხა კალიმერმა და ზურგი შეაქცია.

— კეთილი, — უთხრეს ჟურნალისტებმა, — თქვენ ყველაფერი საკუთარი თვალით გაიგონეთ, ვერ აგვიხსნით, რატომ არაფერი არ მოხდა?

— მიაუ! — ისევ დაიკნავლა კალიმერმა.

— კეთილი! ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ, რომ თითქოს საგიჟეთი დაინგრა და გიჟები მთელ ქალაქს მოეფინნენ.

— რამ დაგაბრმავათ! — ვეღარ მოითმინა კალიმერმა, — ნუთუ ვერ ხედავთ, რომ კატა ვარ!

— თქვენ ალბათ გინდოდათ, გეთქვათ, რომ ძაღლი ხარ, რახან კნავით?

— არა, არა, კატა ვარ! კატა ვარ და თაგვებს ვიჭერ. კმარა, კმარა! ახლა კი გიცანით, რაც არ უნდა ეცადოთ, ვეღარ დამემალებით. თქვენ თაგვები ხართ. მე კატა ვარ და ჩემს კლანჭებს ვერსად გაექცევით. მიაუ! მიაუ!

კალიმერმა ისკუპა. ჟურნალისტებმა სასწრაფოდ ჩაიწყეს ჯიბეში ავტოკალმები და მანქანებს მიაშურეს. კალიმერი მიწაზე დაეცა. იწვა მთელ დღეს და კნაოდა. ბოლოს ვიღაცას შეეცოდა და საავადმყოფოში მიიყვანა.

ერთი საათის შემდეგ გამოვიდა გაზეთ «სამაგალითო მატყუარას» საგანგებო ნომერი. პირველ გვერდზე მსხვილი ასოებით დაწერილი სათაური იუწყებოდა:

ტენორ ჯელსომინოს მორიგი მარცხი:
მან ვერ შეძლო სიმღერით საგიჟეთის დანგრევა!

გაზეთის რედაქტორი სიამოვნებით იფშვნეტდა ხელებს:

— დიდებული უარყოფა გამოვიდა. დღეს ასი ათას ცალ გაზეთს მაინც გავასაღებ.

მაგრამ გაზეთის გამყიდველები მალე დაბრუნდნენ და გაუყიდავი გაზეთების დასტები უკანვე მოიტანეს, ერთი გაზეთის გაყიდვაც ვერ მოეხერხებინა ვერავის.

— როგორ?! — გაცხარდა რედაქტორი — ვერც ერთი ცალი ვერ გაყიდეთ? აბა, რას კითხულობს ხალხი! კალენდარს?

— არა, ბატონო რედაქტორო, — უპასუხა ყველაზე გამბედავმა გაზეთის გამყიდველმა, — აღარც კალენდარს კითხულობს ვინმე. ვის რაში სჭირდება კალენდარი, რომლებშიც დეკემბერს აგვისტო ჰქვია? ხომ არ გგონიათ, რომ ხალხს თვის სახელის შეცვლა გაათბობს. დიდი ამბები ხდება, ბატონო რედაქტორო. ხალხი დაგვცინის, გვეუბნებიან — გირჩევნიათ, მაგ გაზეთებით ქაღალდის ნავები გააკეთოთო.

ამ დროს რედაქტორის კაბინეტში მისი ძაღლი შემოსუნსულდა. თურმე პატრონის დაუკითხავად გაპარულიყო ქალაქში

— ფის-ფის! — ანგარიშმიუცემლად დაუძახა რედაქტორმა.

— ჰამ-ჰამ! — შეჰყეფა ძაღლმა.

— რამ გადაგრია? იყეფები?

პასუხად ძაღლმა კუდი გააქიცინა და უფრო გულიანად აყეფდა.

— ვაი ჩვენს თავს, — ძლივს ამოიღო ხმა რედაქტორმა. — ეს ხომ ქვეყნიერების დასასრულია.

შეცდა რედაქტორი ეს ქვეყნიერების დასასრული კი არა, ყოველგვარი სიცრუის დასასრული იყო. დანგრეული საგიჟეთიდან გამოვიდა ასობით სიმართლისმთქმელი ადამიანი. აბა, ამათ მიუმატეთ ძაღლები, რომლებიც იყეფებოდნენ, კატები, რომლებიც კნაოდნენ, ცხენები, რომლებიც ჭიხვინებდნენ, როგორც მოითხოვს ზოოლოგიისა და გრამატიკის კანონები. სიმართლე ეპიდემიასავით გავრცელდა და მოსახლეობის უმეტესობას მოედო. მაღაზიის პატრონებმა აბრების გამოცვლა დაიწყეს.

პირველად ერთმა მეფუნთუშემ ჩამოგლიჯა აბრა, რომელსაც ეწერა: «საკანცელარიო საქონელი», გადაატრიალა და მეორე მხარეზე ნახშირით დააწერა: «პური». იმ წამსვე საფუნთუშის წინ თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა და ოვაცია გაუმართა მეფუნთუშეს.

უფრო მეტმა ხალხმა მოედანზე, მეფის სასახლესთან მოიყარა თავი. ხალხის წინ იდგა ჯელსომინო. ჯელსომინო მღეროდა და მის ხმაზე ხალხი ქალაქის ყველა კუთხიდან გამორბოდა მოედნისაკენ. მოდიოდნენ ახლომახლო სოფლებიდანაც.

როცა ჯაკომონმა თავისი ფანჯრიდან ამოდენა ხალხი დაინახა, სიხარულით ტაში შემოჰკრა.

— ერთი აქ მოდით! — დაუძახა მან თავის კარისკაცებს. — ნახეთ, რამდენ ხალხს მოუყრია თავი დღესასწაულის მოსალოცად. ჩემს ხალხს უნდა, რომ სიტყვა წარმოვთქვა.

— ნეტა რა დღესასწაულებზე ლაპარაკობს! განა დღეს დღესასწაულია? — გადაულაპარაკეს ერთმანეთს კარისკაცებმა.

ალბათ ძალიან გაგიკვირდებათ, მაგრამ მათ ჯერ არ იცოდნენ, რა ხდებოდა ქალაქში. ჯაშუშები, იმის მაგივრად რომ სასახლისაკენ გაქცეულიყვნენ და შეეტყობინებინათ, რაც ხდებოდა ქალაქში, საიმედო თავშესაფრის საძებნელად გარბოდნენ.

ჯაკომონის სასახლეში კატები ისევ იყეფებოდნენ. ესენი იყვნენ უკანასკნელი უბედური კატები მთელ სახელმწიფოში.

ასეთია, ჩემო კარგო,
ცრუთა ქვეყნის ბედი:
სამახსოვროდ დარჩა მისგან
ერთადერთი სვეტი.

თავი მეოცე

თქვენ უჩემოდაც კარგად იცით, რომ ქვეყნად არ არსებობს ბედის წიგნი, რომელშიც წერია, რა მოხდება მომავალში. ამ წიგნის დაწერა ალბათ «სამაგალითო მატყუარას» მთავარ რედაქტორსაც კი გაუჭირდებოდა. მოკლედ, ასეთი წიგნი არ არსებობს და თვით ჯაკომონის მეფობის დროსაც არ ყოფილა.

სამწუხარო კია! ოქროსფერი პარიკით თავმოკაზმულ საცოდავ მეფეს ასეთი წიგნი რომ ჰქონოდა, იმ დღეს ასეთ ჩანაწერს წაიკითხავდა: «დღეს ჯაკომონი სიტყვას ვერ წარმოთქვამს».

მართლაც ასე მოხდა. ჯაკომონი მოუთმენლად ელოდა, როდის გაუღებდნენ მსახურები მინებჩასმულ კარს, რომელიც აივანზე გადიოდა. მაგრამ ამ დროს ჯელსომინოს ხმა თავის საქმეს შეუდგა. კარში ჩასმული მინები ჩაიმტვრა და ნამსხვრევები იატაკისაკენ წვიმასავით წამოვიდა.

— ფრთხილად ვერ გაგიღიათ? — დაუყვირა ჯაკომონმა მსახურებს.

— ჩლახ! — მოისმა პასუხად მეფის ოთახიდან.

— ჩემი სარკე! — დაიყვირა ჯაკომონმა. — ვინ გატეხა ჩემი სარკე?

პასუხი არავინ გასცა. ჯაკომონმა მიმოიხედა და გაოცებისაგან პირი ღია დარჩა. დარბაზი ცარიელი იყო. მინისტრები, ადმირალები, ჯარისკაცები და ფარეშები პირველსავე ნიშანზე, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჯელსომინოს სიმღერის პირველივე მაღალი ნოტის გაგონებაზე გაიქცნენ თავ-თავიანთი ოთახებისკენ ტანსაცმლის გამოსაცვლელად. მათ ერთ წამში გაიძრეს და აქეთ-იქით მოურიდებლად მიყარ-მოყარეს თავიანთი მდიდრული სამოსელი, რომელსაც ამდენი წლის განმავლობაში ატარებდნენ, საწოლებს ქვევიდან გამოათრიეს ძველი ჩემოდნები და იქიდან მეკობრეობის დროინდელი ტანსაცმელი ამოიღეს, თან თავისთვის ბუტბუტებდნენ:

— თვალზე თუ შავ სახვევს არ ავიკრავ, მეეზოვისაგან ვერავინ გამარჩევს.

— სახელოებზე ღუზები რომ ავიჭრა, ვერავინაც ვერ მიცნობს.

ჯაკომონთან მხოლოდ ორი მსახურიღა იყო დარჩენილი. ამ მსახურებს ევალებოდათ მინის კარის გაღება, რომელიც აივანზე გადიოდა. კარის მინები ჩამსხვრეული იყო, მაგრამ ისინი მაინც არ ეშვებოდნენ სახელურებს და დროდადრო სამაჯეების მაქმანებით გულმოდგინედ აპრიალებდნენ.

— თქვენც წადით, — ამოიოხრა ჯაკომონმა, — ახლა ჩემს ირგვლივ ყველაფერი დაიმსხვრევა.

ამის თქმა და უზარმაზარი ჭაღის ათასობით ნათურის ნამსხვრევებად ქცევა ერთი იყო. ჯელსომინო აღარ ხუმრობდა.

მსახურებს ბევრი ხვეწნა აღარ დასჭირებიათ. ისინი უკუსვლით ნელ-ნელა გაემართნენ კარისაკენ და ყოველ სამ ნაბიჯზე მდაბლად უკრავდნენ თავს ჯაკომონს. მაგრამ მიეფარნენ თუ არა კარს, სწრაფად შეტრიალდნენ და კისრისტეხით გაქანდნენ კიბისაკენ. სწრაფად რომ ჩასულიყვნენ დაბლა, კიბის სახელურზე გადაჯდნენ და ჩასრიალდნენ.

ჯაკომონი შევიდა თავის ოთახში, გაიხადა სამეფო ტანსაცმელი და ჩაიცვა უბრალო მოქალაქის კოსტიუმი, რომელიც იმისთვის ჰქონდა ნაყიდი, რომ მალულად ევლო ქალაქში (თუმცა, ეს კოსტიუმი ამ დღემდე ხულუხლებლად ედო, რადგან ქალაქში ჯაშუშების გაგზავნა ერჩია). ეს ყავისფერი კოსტიუმი ზედგამოჭრილი იქნებოდა ბანკის მოლარისათვის, ან ფილოსოფიის პროფესორისთვის. აფსუს, როგორ უხდებოდა ოქროსფერი პარიკი! ახლა კი, მეტი რა ჩარა იყო, უნდა მოეხადა. ამ პარიკს ხომ სამეფო გვირგვინზე უფრო დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი.

— ეჰ, ჩემო მშვენიერო პარიკო! — ამოიოხრა ჯაკომონმა. — ეჰ, ჩემო მშვენიერო პარიკებო!

მან გამოაღო სახელგანთქმული კარადა და მწუხარედ შეხედა პარიკების რიგებს, რომლებიც მორიგი წარმოდგენისათვის გამზადებული თოჯინების თავებს წააგავდნენ. ჯაკომონს გულმა ვეღარ მოუთმინა, დასტაცა ხელი ათიოდე პარიკს და ჩემოდანში ჩატენა.

— ამ პარიკებს თან წავიღებ და სამეფოდან განდევნილი, ბედნიერი დღეების მოსაგონებლად შევინახავ.

ჯაკომონმა აიღო ჩემოდანი და დინჯად ჩაიარა კიბე. ის ისე არ მოიქცა, როგორც მისი კარისკაცები, რომლებიც სარდაფში ჩავიდნენ და სასახლიდან თაგვებივით საკანალიზაციო მილებით გაიპარნენ. მან არჩია, გასულიყო თავის მშვენიერ ბაღში, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თავის ყოფილ ბაღში. ბაღი ძველებურად თვალწარმტაცი იყო, მთლად მწვანეში ჩაფლული და ყვავილთა გამაბრუებელი სურნელებით სავსე.

ჯაკომონმა უკანასკნელად ჩაისუნთქა სამეფო ბაღის ჰაერი და გამოაღო პატარა კარი, რომელიც შესახვევში გადიოდა, კარგად დაათვალიერა შესახვევი და როცა დარწმუნდა, ვერავინ დამინახავსო, ბაღიდან გავიდა. გაიარა ასიოდე ნაბიჯი და მოედანზე მდგარ ხალხს შეერია. ხალხი თავდავიწყებით უკრავდა ტაშს ჯელსომინოს.

მელოტი თავი და ყავისფერი კოსტიუმი სულ სხვა შესახედაობას აძლევდა ჯაკომონს. თანაც ხელში ჩემოდანი ეჭირა და მნახველს კომივოიაჟერი ეგონებოდა.

— თქვენ ალბათ აქაური არა ხართ, — მოულოდნელად ჰკითხა ვიღაცამ და მეგობრულად დაჰკრა მხარზე ხელი. — მოდით, ჩვენთან ერთად მოუსმინეთ ჩვენი ტენორის, ჯელსომინოს კონცერტს. აი, იქით გაიხედეთ. ხედავთ იმ ბიჭს, ველოსიპედისტს რომ წააგავს? ერთი შეხედვით გროშკაპიკად არა ღირს, მაგრამ ხომ გესმით, როგორი ხმა აქვს?

— მესმის, მესმის, — ჩაილაპარაკა ჯაკომონმა. გულში კი დაუმატა: «მესმის და ვხედავ...»

დიახ, მან დაინახა, როგორ იქცა ნაფოტებად მისი საყვარელი აივანი. დაინახა ის, რასაც თქვენ წინასწარვე გრძნობთ — მისი სასახლე ხუხულასავით ჩამოინგრა და ვეებერთელა მტვრის ღრუბელი დააყენა. ჯელსომინომ კიდევ აიღო ერთი მაღალი ნოტა, რათა მტვერი გაეფანტა და ყველამ დაინახა, რომ სასახლის ადგილას ერთმანეთში არეული ნანგრევებიღა ეყარა.

— სიტყვამ მოიტანა და უნდა გითხრათ, რომ თქვენ საუცხოო მელოტი თავი გაქვთ, — კიდევ გამოელაპარაკა ჯაკომონს მის გვერდზე მდგომი კაცი. — ნუ მიწყენთ, ჩემო კარგო, ნახეთ, მეც მელოტი ვარ.

ჯაკომონმა ხელი მოისვა თავზე, მერე მეზობლის თხოვნა დააკმაყოფილა და მისი მელოტი, პინგ-პონგის ბურთივით მრგვალი, პრიალა თავი შეათვალიერა.

— თქვენ მართლაც მშვენიერი მელოტი თავი გქონიათ, — უთხრა მან მეზობელს.

— რას ბრძანებთ, მე სრულიად ჩვეულებრივი მელოტი ვარ, აი, თქვენი თავი კი სულ სხვაა, პირდაპირ ანათებს. განსაკუთრებით ასეთ მზეში ისე ბრწყინავს, კაცი თვალს ვერ გაგისწორებთ.

— აჰ, გეყოფათ, თქვენ ნამეტან გულკეთილობას იჩენთ ჩემს მიმართ, — ჩაილაპარაკა ჯაკომონმა.

— გეფიცებით, არ ვაზვიადებ! იცით, რას გეტყვით? თქვენ რომ ჩვენი მელოტთა კლუბის წევრი გამხდარიყავით, დაუყოვნებლივ პრეზიდენტად აგირჩევდით.

— პრეზიდენტად?

— დიახ, პრეზიდენტად, თანაც ერთხმად.

— ნამდვილად გაქვთ მელოტთა კლუბი?

— აბა რა! გუშინდლამდე ფარულად არსებობდა, ახლა კი აღარ დავმალავთ. ქალაქის ყველაზე უკეთესი ხალხის ჩვენს კლუბშია თავმოყრილი. იცით, რა ძნელია კლუბის წევრად გახდომა? უნდა დაამტკიცოთ, რომ თავზე არცერთი ღერი თმა აღარ გაქვთ. ზოგიერთები დარჩენილ თმას იგლეჯენ, ოღონდ კლუბში მივიღოთ.

— თქვენ ამბობთ, რომ მე...

«— თუნდაც სანაძლეოს დავდებ, რომ თქვენ ჩვენი პრეზიდენტი იქნებოდით.

ჯაკომონმა იგრძნო, ერთი წუთიც და მთლად აუჩუყდებოდა გული.

«როგორ შევცდი, — ფიქრობდა ის. — სწორედ ვერ ავირჩიე ცხოვრების გზა. მაგრამ ახლა ძლიერ გვიანაა. ხელახლა ვერ დავიწყებ ცხოვრებას».

მან ისარგებლა იმით, რომ ხალხი ამოძრავდა, ჩამოსცილდა თავის მოსაუბრეს, მიატოვა მოედანი და ცარიელ ქუჩას დაადგა. ჩემოდნიდან თორმეტი პარიკის სევდიანი შარიშური მოესმოდა. ჯაკომონმა რამდენიმეჯერ შეამჩნია, რომ საკანალიზაციო ჭებიდან ვიღაცები იყურებოდნენ. ეჩვენებოდა თუ რა იყო, თითქოს ისინი ადრე სადღაც ენახა. ნეტავი მისი მეკობრეები ხომ არ იყვნენ? ჯაკომონს უნდოდა, კარგად დაჰკვირვებოდა მათ, მაგრამ ისინი მაშინვე იმალებოდნენ ყავისფერკოსტიუმინი დარბაისელი მელოტი მოქალაქის დანახვაზე.

ჯაკომონმა თავის დახრჩობა გადაწყვიტა და მდინარისაკენ გასწია. მაგრამ როცა მდინარესთან მივიდა, გადაიფიქრა, გახსნა ჩემოდანი, ერთი-მეორეზე ამოალაგა პარიკები და წყალში გადაყარა.

«— მშვიდობით, — ჩურჩულებდა ჯაკომონი. — მშვიდობით, პატარა ცრუპენტელებო!

მაგრამ პარიკები არ ჩაძირულან, ისინი იმავე დღეს ამოიღეს წყლიდან პატარა ბიჭებმა, რომლებიც ნიანგებზე ნაკლებად არ ყაჩაღობდნენ მდინარეზე. ბიჭებმა პარიკები მზეზე გააშრეს, მერე თავზე ჩამოიცვეს და ქუჩებს მხიარული სიმღერითა და სიცილ-კისკისით ჩამოუარეს. აბა, რას იფიქრებდნენ, რომ ამით ჯაკომონ მეფის სახელმწიფოს ასამარებდნენ.

გავანებოთ თავი ჯაკომონს, წავიდეს, საითაც უნდა. თუ ბედი გაუღიმებს და სადმე მელოტთა კლუბის პრეზიდენტად საპატიო, ან თუნდაც მდივნად აირჩევენ, ღმერთს მადლობა შესწიროს. ჩვენ კი ისევ მოედანს მივაშუროთ, ვნახოთ, იქ რა ხდება.ჯელსომინომ დაამთავრა მრისხანე სიმღერა და შუბლზე ოფლი მოიწმინდა:

— ესეც ასე...

მაგრამ უცებ გულზე სევდა შემოაწვა... ფეხცანცარა ციცუნია კიდევ არსად ჩანდა.

— სად გაქრა, ნეტავ? — თავის თავს ეკითხებოდა ჩვენი გმირი. — საგიჟეთის ნანგრევებში ხომ არ მოჰყვა. დანგრევა კი კარგი ვიცი!

— ჯელსომინო ალბათ ბევრს იფიქრებდა ციცუნიაზე, მაგრამ ხალხმა აღარ აცალა.

— სვეტი, — უყვიროდნენ მას ყოველი მხრიდან, — სვეტი დაანგრიე!

— რატომ?

— სვეტზე ხომ ჯაკომონ მეფის ლაშქრობები და გმირობაა გამოსახული. ესეც სრული სიცრუეა. ჯაკომონს ცხვირიც არ გამოუყვია თავისი სასახლიდან.

— კარგი, — თქვა ჯელსომინომ, — ახლავე ისეთ სერენადას ვუმღერებ მაგ სვეტს, სულ ცეკვას დავაწყებინებ! მხოლოდ უკან დაიწიეთ, ქვეშ არავინ მოჰყვეს!

ხალხი სასწრაფოდ შემოეცალა სვეტს და, როგორც ქარიშხალის დროს აგორებული ტალღა, მოედნის კიდეებს მიენარცხა. სწორედ ამ დროს ჯელსომინომ, როგორც იქნა, დაინახა მიწიდან ორი მეტრის სიმაღლეზე სამთათიანი კატის კარგად ნაცნობი გამოსახულება.

— ფეხცანცარა! — დაიყვირა მან და გულზე უცებ მოეშვა.

ნახატი შეტოკდა, კონტურები გაუმრუდდა, მაგრამ მალე შეწყვიტა მოძრაობა.

— ფეხცანცარა! — დაუძახა ჯელსომინომ უფრო ხმამაღლა ამჯერად ხმამ დასძლია წინააღმდეგობა და მარმარილოში შეიჭრა.

ფეხცანცარა ციცუნია მოსწყდა სვეტს და კოჭლობით ჩამოხტა მიწაზე.

— შენი ხმის ჭირიმე! — კნაოდა ციცუნია და ჯელსომინოს ლოყაზე ჰკოცნიდა. — შენ რომ არ გამოჩენილიყავ, ამ სვეტზე დავრჩებოდი სამუდამოდ და ბოლოს და ბოლოს წვიმა ჩამომრეცხავდა. ყველამ იცის, რომ სისუფთავე მიყვარს, მაგრამ სულაც არ მინდა ზედმეტ ბანვა-რეცხვას შევეწირო.

— მე რაღა მოხელე ვარ? — გაისმა ამ დროს ბანანიტოს ხმა. მან იდაყვებით გაარღვია ხალხის ტალღა და, როგორც იქნა, მიაღწია მეგობრებამდე. — თუ როდისმე ასეთი რამ დაგემართა, ხელახლა დაგხატავ და მაშინ უფრო ლამაზი და ნამდვილი იქნები, ვიდრე იყავი.

ერთად თავმოყრილ სამ მეგობარს ალბათ, ბევრი რამ ექნება ერთმანეთთან სალაპარაკო, ამიტომ სჯობია, მარტონი დავტოვოთ.

სვეტი?

კაცმა რომ თქვას, ვის რა უნდა დაუშავოს სვეტმა? სვეტზე გამოსახული სიცრუე ხალხს გაახსენებს იმ დროს, როცა ქვეყანას განაგებდა უსირცხვილო მატყუარა და საკმარისი იყო ერთი კარგი სიმღერა, რომ მისი სახელმწიფოდან ქვა ქვაზე აღარ დარჩენილიყო.

უბრალოა დასასრული წიგნის,
ნათელია და მიხვდებით ამას:
არ იქნება, ვერ გადასჭრის ომები
კაცთა შორის კამათსა და დავას!

თავი ოცდამეერთე

ახლა რამდენიმე ჩანაწერს წაგიკითხავთ და ჩვენი ამბავიც გათავდება. ეს არის უკანასკნელი ფურცლები იმ ჩანაწერებისა, რომელიც მაშინ გავაკეთე, როცა ჯელსომინო თავის თავგადასავალს მიყვებოდა. მეოცე თავის დამთავრებას ვჩქარობდი და ორიოდე ფურცელი ჯიბეში ჩამრჩა. ერთ ფურცელზე წერია: რა ბედი

ეწია შემდეგში ჯაკომონ მეფეს, არავინ იცისო. ამიტომ ვერ გეტყვით, პატიოსან ცხოვრებას ეწევა, თუ ისევ ცუდ გზას დაადგა.

მეორე ფურცელზე წერია: თუმცა ჯელსომინო კმაყოფილი იყო იმით, რაც გააკეთა, მაგრამ მეფის სასახლის ნანგრევებს როცა ჩაუვლიდა, ისეთ მოუსვენრობას იგრძნობდა ხოლმე, თითქოს ფეხსაცმელში კენჭი ჩავარდნიაო.

რა საჭირო იყო ამ მშვენიერი სასახლის დანგრევა, წუხდა გულში ჯელსომინო. მარტო ფანჯრები რომ ჩამემტვრია, ჯაკომონი მაშინაც გაიქცეოდა. მერე მეშუშეს დავუძახებდით, მინებს ჩავასმევინებდით და ყველაფერი რიგზე იქნებოდა.

ჯელსომინო ამ ტანჯვისაგან რომ ეხსნა, ბანანიტომ აიღო რამდენიმე ფურცელი ქაღალდი, საღებავები და ხატვას შეუდგა. საღამოს სასახლე უკვე მზად იყო.

— აივანი არ დაგავიწყდეს, — უთხრა ჯელსომინომ.

როცა ბანანიტომ აივანიც დახატა, ხალხმა სთხოვა, ასულიყო აივანზე და სიტყვა ეთქვა.

— ერთ რამეს გირჩევთ, თუ დამიჯერებთ, — უთხრა ხალხს ბანანიტომ, — უკეთესი იქნება, მიიღოთ კანონი, რომელიც ამ აივნიდან სიტყვის წარმოთქმას აკრძალავს. თუ მაინცადამაინც ძალიან გინდათ სიტყვის მოსმენა, გირჩევთ, ჯელსომინოს მიმართოთ, მე მხატვარი ვარ და ლაპარაკი არ მეხერხება.

ამ დროს აივნიდან კნავილი მოისმა:

— მიაუ!

ყველამ ზევით აიხედა. აივანზე ფეხცანცარა ციცუნია გადმომდგარიყო. მოედანზე ტაშმა იქუხა. მეტი სიტყვა აღარავის მოუთხოვია.

ნახეთ, რა წერია ერთ ფურცელზე: თურმე დეიდა სარიყლაპია უპატრონო კატების ინსტიტუტის დირექტორად დაუნიშნავთ! სწორი გადაწყვეტილებაა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სანამ დეიდა სარიყლაპია ამ ინსტიტუტის დირექტორი, იქ კატების ყეფას ვერავინ გაიგონებს. რომოლეტამ სწავლა განაგრძო. აქამდე ალბათ სკოლასაც დაამთავრებდა და, ვინ იცის, თვითონაა მასწავლებელი.

აი, კიდევ ერთი პატარა ფურცელი. ზედ მოკლედ წერია: «ომი დამთავრდა ანგარიშით 1 : 1».

ე... ჰე... ეს ომი კინაღამ გადამავიწყდა...

ჯაკომონის გაქცევიდან რამდენიმე დღემ გაიარა. საზღვარს მტერი მოადგა. თურმე ჯაკომონს, იმ იმედით, ბანანიტო ზარბაზნებს დამიხატავსო, თავისი ქვეშევრდომებისაგან მალულად მეზობელი სახელმწიფოსათვის ომი გამოეცხადებინა. მაგრამ ამ ქვეყნის ხალხთან ხუმრობა არავის გამოადგებოდა. მათი არმია მაშინვე ფეხზე დადგა და სამშობლოს დასაცავად გამოემართა.

— ჩვენ ომი არ გვინდა, — შეწრიალდნენ ახალი მინისტრები. — ჩვენ ისეთები არა ვართ, როგორიც ჯაკომონი იყო.

ერთმა ჟურნალისტმა გადაწყვიტა, მისულიყო ჯელსომინოსთან ამ ამბავთან დაკავშირებით ინტერვიუს მისაღებად. ჯელსომინო ამ დროს მთელი სულითა და გულით მეცადინეობდა სიმღერაში, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა, ნამდვილი კონცერტი გაემართა.

— ომი? — იკითხა მან. — რა სისულელეა ომი! ურჩიეთ მოწინააღმდეგეს, ომის ნაცვლად ფეხბურთი ვითამაშოთ-თქო. შეიძლება, ერთი-ორმა კაცმა ფეხი იტკინოს, სამაგიეროდ, საქმე დიდი სისხლისღვრის გარეშე მოგვარდება.

საბედნიეროდ, ეს აზრი მოწინააღმდეგესაც მოეწონა. თურმე ომი არც მათ უნდოდათ. ფეხბურთის მატჩი ჩატარდა პირველსავე კვირა დღეს. ჯელსომინო ისე გაიტაცა თამაშმა, რომ თავი ვეღარ შეიკავა და უცებ დაიყვირა: «მიდი! მიდი!» თქვენ

ალბათ გახსოვთ, როგორ შეაგდო ჯელსომინომ თავისი ხმით ბურთი მშობლიურ სოფელში. ახლაც იგივე ამბავი გამეორდა. ჯელსომინოს ხმაზე ბურთი მოწინააღმდეგის კარში შევარდა.

«არასგზით არ შეიძლება ომის თაღლითურად მოგება, — იმავე წამს გაიფიქრა ჯელსომინომ. — ფებურთის თამაშის წესებით ყოველგვარი ხრიკები აკრძალულია».

ერთ წუთსაც არ გაუვლია და ჯელსომინომ მეორე კარშიც შეაგდო ბურთი. ალბათ მის ადგილას თქვენც ასე მოიქცეოდით.